„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ" – ვაჟა

განმეორებითი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2017 წ. აპრილი * №52 * ფასი 1,50 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



ბედიის მონასტერი, X-XI

ნაცარქექიას ეარქეტივული მპაპზრებისათვის

გვ. 7,15

ცრუ წმინდანი ცრუ მართლმადიდებლური ეკლესიისა...

გვ. 18,19

საკუთარი ბიზნესის „ლობისტო" მთავრობებო, წადით მოუსავლეთში!

ლეილა ცომაია

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ, 1992 წლიდან, საქართველოში მოქმედი ხელისუფლებები, „ლობისტის" ლექსიკოლოგიური კატეგორია - საქმიანობაც განვმარტოთ, ბარემ! „ლობისტებ-ი (ინგ. Lobby კულუარები), კაპიტალისტური მონოპოლიების აგენტები"...

90-ანი წლების დასაწყისში, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ფორსირებულმა პოლიტიკამ, სახელისუფლო წრეები აღძრა, ქვეყანაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ჩალის ფასად დატაცების რეფლექსი, რაც ქმედით აქტივობაშიც გადაიზარდა. ეს კი დღითიდღე აღატაკებდა სახელმწიფო საქართველოს. ფუნქციონერი სახელმწიფო მოხელენი და წვრილ-მსხვილი საწარმოოს ხელმძღვანელები, ველური სიხარბით ეპატრონებოდნენ და იტაცებდნენ მათთვის ხელმისაწვდომ ობიექტებს, სახელმწიფო ხაზინაში თანხების შეტანის ვალდებულების გარეშე ან მიზერული შენატანებით, რითაც დანაშაულებრივად ძარცვავდნენ სახელმწიფოს - ხალხს და ვანდალურად ანგრევდნენ ქვეყნის ეკონომიკას.

ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კატეგორიული წინააღმდეგი იყო პრივატიზაციის კანონის ნაჩქარევად მიღებისა; მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ამ კანონის შემოღება სახელმწიფო უძრავ-მოძრავი ქონების სრულფასოვან ინვენტარიზაციამდე, რასაც სწორედ ასე განმარტავდა თავის საპრეზიდენტო მიმართვებში. სახელმწიფოსა და ერზე მოამაგე საქართველოს პრეზიდენტს, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, რომელიც მოითხოვდა პრივატიზაციის კანონის დაჩქარებულ მიღებასა და სწრაფ ამოქმედებასაც.

იმისათვის, რომ ეროვნულ მთავრობაში არ გაღრმავებულიყო კრიზისი, კონფლიქტის განმუხტვის მიზნით ზვიადი იძულებული გახდა მიეღო კომპრომისული გადაწყვეტილება პრივატიზაციის კანონის შემოღებაზე. თუმცა, მან პრემიერ-მინისტრობიდან მალევე გადააყენა თენგიზ სიგუა, როგორც არასაიმედო (ავანტიურისტი) სამთავრობო კადრი, რომელიც მთელ რიგ სახელმწიფოებრივ საკითხებშიც ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტს.

ერთერთი უმთავრესი ფაქტორი, რის გამოც, რეაქციული ოპოზიციის მხრიდან აღიძრა აგრესია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ, პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო ქონების დატაცებაში ხელისშეშლა იყო.

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

პოსტ-ზვიადისტურ საქართველოში, ამ მაფიურმა კლანმა, თენგიზ სიგუას მოთავეობით, ხელში ჩაიგდო რა მთელი სახელმწიფო ქონება (ბანკების ჩათვლით), გააღატაკა ხალხი. სიგუა, დღემდე გაუსამართლებელია ამგვარი მძიმე სახელმწიფო დანაშაულობებისათვის და სასათფურე პირობებშიც ცხოვრობს. მაფიური კლანები კვლავ აღზევდნენ ხელისუფლებაში დატაცებული ქონების შესანარჩუნებლად. მას შემდეგ, 25 წელია, თითქოს იცვლებიან ხელისუფლების ლიდერები პოლიტიკური ორგანიზაციებით, მაგრამ არ იცვლება ხალხის სოციალურ-ეკონომიკური დონე და იგი სიღატაკის ზღვარზე მერყეობს. ხელისუფლების შიგნით კვლავ შევარდნაძის კადრები ბოგინობენ, რომლებიც, ძირითადად, საკუთარი ბიზნეს-საქმიანობის ლობისტობით არიან დაკავებულნი . ხალხისთვის კი, ცხოვრების დონისა და ეკონომიკის სრული სტაგნაციაა. ის რომ, მთავრობები, წლიდან წლამდე 10-20 ლარს ე.წ. დანამატის სახით მიუგდებენ ხალხს და ისიც ფასების გაზრდისა და ლარის გაუფასურების ფონზე, ცხადია ვერაფერი შეღავათია. სახელისუფლო დაპირებები, ხალხის ცნობიერებაში უკვე ასოცირდება უტიფარ ტყუილთან, მაგრამ პოლიტიკური თაღლითები მაინც ბრუნდებიან ხელისუფლებაში.

ხელისუფლება, ხალხის ცნობიერებაში, მონსტრად და დილემად იქცა!

აღარც პოლიტიკური პერსპექტივა იხილვება და აღარც კრიმინალური სიჯანსაღე;

მიმდინარე წლის 10 თებერვლისა და 11-12 მარტის მოვლენებმა ხომ სრულ შოკში ჩააგდო საქართველოს მოსახლეობა; დეკანოზ გიორგი მამალაძის დაპატიმრება სერიული მკვლელობის ჩანაფიქრის მოტივით (პატრიარქის, შორენა თეთრუაშვილისა და კიდევ სინოდის რომელიღაც წევრის) და 11-12 მარტს, ბათუმის ქუჩებში ატეხილი „სპონტანური რევოლუციური“ ქარიშხალი, სახილველად და მოსასმენადაც უმძიმესი იყო. ორივე ფაქტზე, ხელისუფლება კი, სრულიად მოუქნელად და არადამაჯერებლად გამოიყურებოდა.

დეკანოზ გიორგი მამალაძის „დანაშაულებრივი“ ჩანაფიქრის შესახებ, პროკურატურას ჟურნალისტმა ირაკლი მამალაძემ აცნობა (გამოჩნდა მეორე დამსმენიც - ენჯ-ოჩნიკი დავით გამზარდია) და ფარული ვიდეოკადრებიც წარუდგინა. იგი, საზოგადოებისთვის ცნობილი, უფრო საყდრისის მცველის სახელით გახდა, ვიდრე ჟურნალისტობით. საყდრისის მცველი ჟურნალისტ-აქტივისტები კი, საბოლოოდ გამჟღავდნენ, როგორც სუს-ის საიდუმლო

აგენტები (ნინო მიქიაშვილი და სხვ.) და კიდევაც მივიღეთ ის, რაც მოსალოდნელი იყო ამგვარი ტიპის აქტივისტ ჟურნალისტებისაგან - საყდრისის აფეთქება მმართველი ხელისუფლების მიერ!

თავად დეკანოზი გიორგი მამალაძე უარყოფს ბრალდებას სულისმიერი ძრწოლვით და წყევლით: „ყოვლად წმინდა სამებავ, კრულყვოს, მზე დაუბნელოს, ზეცამ ნვიმა არ მისცეს, მიწამ ნაყოფი შეუწყვიტოს, წყალი სისხლად ექცეს და მისი სისხლი წყლად, თუ მე შევიძინე ციანიდი, პატრიარქის, რომელიმე სასულიერო პირების ან შორენას მოსაწამლად. მე ვიყო ჩემი ოჯახით წყეული, ან ყველა ის პიროვნება და მისი ოჯახი, ვინც ეს მომიწყო და ჩამიდო ჩანთაში საწამლავი. აწ და უკუნისამდე, ამინ!“ (იხ.http://pirveliradio.ge/?newsid=82078).

გამოძიება გრძელდება და ძნელია პროგნოზირება, შეძლებს თუ არა დეკანოზი სასურველ თავისმართლებას - „ოქროს მოწმის“ - ირაკლი მამალაძის ბეჯითი „მტკიცების“ ფონზე. თუმცა, მის მიერვე ფარულად გადაღებულ ვიდეოში, თავად ჟურნალისტი მამალაძე გვევლინება დეკანოზის წამქეზებელ-თანამზრახველად პირადი დაინტერესების მოტივით - პატრიარქად აღზევებულმა დეკანოზმა იგი რომელიმე ეკლესიაში გაამწესოს სარფიან საეკლესიო პირად.

27 მარტს, პროკურატურა იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსთვის, პატიმრობაში მყოფი დეკანოზისთვის პატიმრობის ვადის ერთი თვით გახანგრძლივების შესახებ. დეკანოზს, კანონით დადგენილი წინასწარი პატიმრობის ვადა ამოეწურა, ხოლო პროკურატურამ, მისი ბრალეულობის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებები ვერ მოიპოვა. სასოებით მოველით დეკანოზის გამართლებას, რათა არამართლმადიდებელმა შინაურმა და გარეშე მტრებმა, ვეღარ შეძლონ საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტისა და რწმენის შერყევა.

მას შემდეგ, რაც პაატა ბურჭულაძემ, სრული პოლიტიკური პროფანობით დაკარგა შანსი ახალ პარლამენტში მანდატების მოპოვების, მის პარტიას - „სახელმწიფო ხალხისთვის“ - სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ლიდერი ნიკა მაჭუტაძე. მასზე, ჩვენს გაზეთში ადრე ვწერდით, რომ იგი

„ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტ პოლიტიკურ აქტივისტს წარმოადგენდა და ეს დღეს სულაც არ არის დაფარული (ისევე, როგორც ახალგაზრდა „რეფორმატორი“ ირაკლი ღლონტი). თუ გავაანალიზებთ იმ ხისტ რეალობას, რომ „ნაციონალები“ დანაწევრდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებად, 2020 წლისთვის საქართველოს საშინელებათა ჟანრის ხელისუფლება ელის; უკვე გამოკვეთილია „ნაციონალების“ ახალი სტრატეგია სახელისუფლო უმრავლესობად ქცევის, პლიუს ნიკა მაჭუტაძის და ირაკლი ღლონტის პარტიებით. ეს კი, თითქმის სრული ერთპარტიული პარლამენტისა და მთავრობის წინაპირობას წარმოადგენს, თვით „რესპუბლიკელების“ შესაძლო ალიანსითაც.

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ვეტო დაადო პარლამენტის მიერ ინიცირებულ კანონს „მოსმენების შესახებ“, რისი უფლებამოსილება ენიჭება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. პრეზიდენტის პოზიციაა, რომ მოქალაქეთა ფარული მიყურადება და მოსმენების სამსახური უნდა დაექვემდებაროს პრემიერ-მინისტრს. იგი სრულიად სამართლიანად შიშობს, რომ უსაფრთხოების სამსახურს დაქვემდებარებულ კანონს, ხელისუფლება გამოიყენებს პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ. ამგვარი საფრთხე რეალურია და აჩენს რეჟიმის შექმნის შესაძლებლობას. ოცნების საპარლამენტო უმრავლესობამ დაძლია პრეზიდენტ მარგველაშვილის ვეტო, რითაც კარტ-ბლანში მისცა, ისედაც განუსაზღვრელი უფლებების მქონე ძალოვან სტრუქტურებს.

ძალოვანი სტრუქტურები კი, თავისი ფინანსური პოლიციით, წარმოადგენენ ხელისუფლების სიმდიდრის უზრუნველყოფის გარანტს...

პრემიერმა კვირიკაშვილმა საქართველოს მოასახლეობას „ახარა“, რომ ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქი აშენდება. იგი გეგმავს, ინგოროყვას ქუჩის მთავრობის კანცელარიის სასტუმროდ გაყიდვასაც, რაც სააკაშვილის იდეაც იყო. აქვს კი, უღატაკეს სახელმწიფო საქართველოს, მსგავსი ფუფუნების - „სამთავრობო ქალაქის“ - მშენებლობის უფლება, როცა შიმშილით სულს ღაფავს საქართველოს მოსახლეობის 70% ? ამ გრანდიოზული პროექტის შესრულებას, ალბათ მილიარდამდე ლარი დასჭირდება და რა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს იგი? რომ უკეთ გამდიდრდნენ ხელისუფალნი?! ხომ ყველამ უწყის, სამთავრობო ტენდერებით, ფაქტიურად როგორ მდიდრდებიან ხელისუფლების კლანები, რისთვისაც იგონებენ, სწორედ, ამგვარ გრანდიოზულ პროექტებს? და სულაც ამ ხარბი მადით მოდიან ხელისუფლებაში?!

საკუთარი ბიზნესის „ლობისტო“ მთავრობებო, წადით მოუსავლეთში!

ქართველ ერს ეულოცავთ „ეზა-ლიბერალიზაციის“ ამოქმედებას ევროკავშირის ქვეყნებში და უეზო მიმოსვლის ბირველ ისტორიულ თარიღს - 28 მარტს. დაე, ეს დღე გახდეს საწინდარი, უახლოეს მომავალში, ჩვენი საშობლო საქართველოს, ევროკავშირში სრულუფლებიანი გაწევრიანების.

რე-ნაციონალიზაცია

ირაკლი კაკაბაძე

დღეს მომავლის ხედვა აუცილებელია. ეს არის სრულებით კატეგორიული იმპერატივი ხვალინდელი დღისთვის. მომავლის ხედვის გარეშე საზოგადოება მთლიანად კასტრირებულია.

ქართველმა ხალხმა - მისი ყველა ეთნიკურ-რელიგიური შემადგენელი ნაწილით - უნდა დაიბრუნოს ის, რაც 1992 წლის 6 იანვრის მერე წაართვეს. ამის გაკეთება შესაძლებელია. არავინ დაგვაჯეროს იმაში, რომ რისი გაფუჭებაც ადამიანმა შეძლო, იმისვე გაკეთება ადამიანს არ შეუძლია. ქართველ ხალხს - მიუხედავად იმისა რომ ბოლო 25 წლის მანძილზე პრაქტიკულად გენოციდი მიმდინარეობდა საქართველოში და არა მარტო საქართველოში - აბსოლუტურად და პოზიტიურად შეუძლია დაიბრუნოს ის, რაც მას უკანონოდ ჩამოართვეს 1992 წლიდან. ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ჩვენში ქურდივით შემოიპარა ნეოლიბერალიზმი და მთელი ქვეყნის ავლა-დიდება გადასცა ბანკირების და მევახშეების სულ პატარა უმცირესობას და მათს მეგობარ მულტი-ნაციონალურ კომპანიებს.

1992 წლიდან სულ უფრო და უფრო საქართველოს ყველა ხელისუფლება მულტი-ნაციონალური კორპორაციების და ფინანსური ელიტების მომსახურე პერსონალია; ქართველი ხალხი კი უქონელი მონების მდგომარეობაში ჩაგდებული თავისუფლებადაკარგული ადამიანების ერთობა - 2 მილიონამდე ადამიანმა ქვეყანა დატოვა;

ამის გამოსწორება აუცილებლად შეიძლება; აუცილებელია ის, რაც ქართველ ხალხს უკანონოდ წაართვეს - მას დაუბრუნდეს; აუცილებლად უნდა მოხდეს მიწის და საცხოვრებელი ფართის რე-ნაციონალიზაცია; ეს არის სრულებით აუცილებელი ამ ქვეყნის გადარჩენისათვის;

იმისათვის რომ ქვეყანაში არ მოხდეს ძალადობრივი აჯანყება, რა შემთხვევაშიაც ხელის მოთბობის მსურველიც ბევრია - აუცილებელია დაიწყოს მშვიდობიანი, მაგრამ რადიკალური მოძრაობა იმისათვის, რომ საქართველოში მიწა და წყალი იმ ქართველ ხალხს დაუბრუნდეს, ვისაც ის წაართვეს 1992 წლის ძალადობრივი გადატრიალების შემდეგ; ვინაიდან და რადგანაც 1992 წლის 6 იანვრის შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება სრულებით უკანონო აქტი იყო - მას მერე ნებისმიერი მთავრობის მიერ მიღებული კანონიც და ქონების გადანაწილებაც, შესაბამისად უკანონოა.

ცხადია, აქ ჩნდება კითხვა, რამდენად რეალურია ამ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა? პასუხი ცალსახაა: მშვიდობიანი და არაძალადობრივი გზით - მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას გზით - ეს აბსოლუტურად შესაძლებელია და უფრო მეტიც, საჭიროა! ამისათვის, უბრალოდ საჭიროა რომ ქართველი ერის პოლიტიკური ნება გაერთიანდეს და შეიქმნას კონსესუსი; ზვიად გამსახურდიას მთავრობის უკანონო დამხობის შემდეგ ქართველ ერს უკანონოდ ჩამოართვეს მიწა და დაიწყეს მისი გასხვისება - შესაბამისად საქართველოს მიწა არის ბანკირების, მევახშეების და ტრანსნაციონალური კორპორაციების უკანონო ოკუპაციის ქვეშ; საჭიროა მიწის და საცხოვრებელი ფართის დე-ოკუპაცია - კომერციული დამპყრობლის ხელიდან განთავისუფლება: ეს შესაძლებელია - და ჩვენ უნდა დავიწყოთ ორგანიზება, რომ საყოველთაო-სახალხო გაფიცვა მოეწყოს მთელს საქართველოში მიწის და საცხოვრებელი ფართის რე-ნაციონალიზაციის მოთხოვნით. უფრო მეტიც - კონსტიტუციაშიც უნდა ჩაიდოს მიწის და საცხოვრებელი ფართის გარანტიები ქართველი ერისათვის - იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული ეკოლოგიური და სოციალური კატასტროფა;

ხელისუფლებამ უნდა იცოდეს რომ თუ არ მოხდა ქართული მიწის და საცხოვრებელი ფართის რე-ნაციონალიზაცია - ეს იქნება ქართველი ერის სრული გენოციდი ქართველებისვე ხელით - ისევე როგორც თუ არ მოხდა შრომითი უფლებების დაცვა; ჩვენი პარადიგმა - ახალი პარადიგმაა - მრავალხმოვანების პარადიგმა ნეოლიბერალიზმის შოვინიზმის მაგივრად; ჩვენი პატრიოტზიმი და კოსმოპოლიტიზმი ვაჟა ფშაველას ზოგადსაკაცობრიო კატეგორიაა - სადაც ეთნოცენტრიზმის ადგილს „სტუმარ-მასპინძლის“ ჰუმანიზმი იჭერს.

პროგრესის ქართული მოდელი მულტი-კულტურალიზმის ბუნებრივი და არახელოვნური კატეგორიაა - ის არის ხელგაშლილობის და არა ყალბი „ტოლერანტობის“ კატეგორია; ეგრეთწოდებული „ტოლერანტობა“ გამორიცხავს სიყვარულს - ის ნიშნავს სიძულვილის უბრალოდ შეკავებას ქმედების დონეზე; შეკავების ფილოსოფიას კარგი შედეგი საბოლოოდ არა აქვს; ადამიანს შეუძლია ითმინოს ცოტა ხანს თუ შედარებით მეტ ხანს - მაგრამ ბოლოს მისი შეკავების უნარი მარცხს განიცდის და იგი, ან თვითონ ზარალდება, ან სხვას აზარალებს. ხელ-გაშილობის პარადიგმა კი პირიქით - ეფუძნება სიყვარულს და არა შეკავებას - და სიყვარულის დოქტრინით ცხოვრებას არანაირი არაბუნებრივი შეკავება არ სჭირდება; უფრო მეტიც, სიყვარულს წახალისებაც უხდება - ადამიანი სიყვარულის მეტობას არასდროს დაუღუპავს - სიყვარულის ნაკლებობა კი მას ყოველთვის ღუპავს;

ჩვენი პარადიგმაა მრავალხმოვანება ერთფეროვნების ნაცვლად;

ჩვენი ცხოვრების პრინციპია ხელ-გაშლილობა „შეკავების“ ნაცვლად;

ეს ის პრინციპებია, რომლებითაც კაცობრიობამ უნდა იცხოვროს 21-ე საუკუნეში. თუ ეს ვერ მოხდა, მაშინ კაცობრიობას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია;

ჩვენ უნდა მოვახდინოთ არა მარტო ქართული მიწის და საცხოვრებელი ფართის, არამედ ჩვენი მრავალხმოვანების, სიყვარულის და ხელ-გაშლილობის რე-ნაციონალიზაცია; ჩვენ უნდა დავიბრუნოთ „ჩაკრულოს“, „სტუმარ მასპინძელის“ და „ვეფხისტყაოსნის“ კულტურა; ჩვენ უნდა დავიბრუნოთ მრწამსი იმაში რომ ადამიანი ღმერთმა თავისი სახის მიხედვით გააჩინა და აქედან გამომდინარე აუცილებლად იმსახურებს საცხოვრებელ ფართსაც, საარსებო მინიმუმსაც და ეკოლოგიურად სუფთა და არა-პრივატიზებულ მიწასაც;

ადამიანი ღმერთის შვილია და არა მევახშეების; მევახშეობა შეცდომაა და სიყვარული ღმერთია.

მზადება რეფერენდუმისთვის

ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის

პრესკონფერენცია მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის 31 მარტის რეფერენდუმსა და საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის მეგობრულ ვიზიტზე საქართველოს რესპუბლიკაში.

– ბატონო ზვიად, თქვენი პროგნოზი ხვალინდელ რეფერენდუმთან დაკავშირებით...

– ჩვენ ველოდებით, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცემს ხმას. მე ვგრძნობ, რომ რაღაც „შეთქმულებაა“ ჟურნალისტებისა ჩემს წინააღმდეგ. მათ სურთ ყველა საიდუმლოება გამომძალონ. მოგახსენებთ, არც ერთ კონფიდენციალურ შეხვედრაზე სახელმწიფოს მეთაურებს შორის არ ხდება ისე, რომ ჟურნალისტებს ყველა საიდუმლოება გაანდონ. აქვე, იმასაც დავამატებ, რომ ძირითადი, ჩემი და ბატონი ელცინის საუბრიდან, ჟურნალისტებს ეცნობათ.

– ბატონო ზვიად, ბოლო ხანებში გამოქვეყნდა თქვენი ერთი ოფიციალური მიმართვა და დეპეშა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არძინბას სახელზე. მოჰყვა თუ არა ამ მიმართვას ოფიციალური პასუხი და რა შედეგებს ელოდებით აფხაზეთიდან ხვალინდელ რეფერენდუმზე?

– ოფიციალური პასუხი ჯერჯერობით არ მიმიღია, ვინაიდან არძინბა გუშინ ჩამოვიდა მოსკოვიდან, რაც შეეხება ვითარებას აფხაზეთში, იგი დამაკმაყოფილებელია. დარწმუნებული ვარ. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იქაც საქართველოს დამოუკიდებლობას მისცემს ხმას.

– ბატონო ზვიად, თუ შეიძლება მოკლედ თქვენი შეხვედრის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტთან რიჩარდ ნიქსონთან.

– ბატონი ნიქსონი მეგობრული ვიზიტით იმყოფება საქართველოში. მისი მიზანია პოლიტიკური სიტუაციის შესწავლა. როგორც თვითონ ბრძანა, ამით აშშ-ს ახლანდელი პრეზიდენტი ბუში ყოფილა დაინტერესებული. ხვალ ბატონი ნიქსონი დაათვალიერებს რამდენიმე სარეფერენდუმო და საარჩევნო უბანს თბილისში და გაემგზავრება მოსკოვს.

– ბატონო ზვიად. 1969 წელს სწორედ პრეზიდენტ ნიქსონის ინიციატივით შემუშვდა ე.წ. გუამის დოქტრინა, რომელიც გულისხმობდა ამერიკის ჩარევას რეგიონალურ მოვლენებში. თქვენის აზრით, რამდენად რეალურია ამერიკის მთავრობის ინტერესები საქართველოს მიმართ?

– ოფიციალური ამერიკის ინტერესები, ამჟამად მიმართულია არა ცენტრისაკენ, არამედ საბჭოთა კავშირში რეგიონებისაკენ. ამის დასტურია ნიქსონის ვიზიტი და მისი განცხადება, რომ საქართველოთი თეთრი სახლია დაინტერესებული. ამასვე ადასტურებს საბჭოთა კავშირში ვიზიტი ბატონ ბეიკერისა, რომელიც არა მარტო გორბაჩოვს, რესპუბლიკის ხელმძღვნელებსაც შეხვდა.

– ბატონო ზვიად, რეფერენდუმი აფხაზეთში დიდი დარღვევებით ჩატარდა...

– რეფერენდუმი, არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ კავშირშიც დიდი დარღვევებით ჩატარდა. ეს ყველამ კარგად იცის. ვაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენს ხელთაა. პროკურატურამ მოსთხოვა, ე.წ. კომისიას სიები, მაგრამ არძინბა აცხადებს, რომ ისინი უკვე მოსკოვში, ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიაშია გადაგზავნილი.

– ბატონო ზვიად, თქვენი და ელცინის შეხვედრის შემდეგ, გამოქვეყნდა შეხვედრის ოქმი, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით სამაჩაბლოდან გაყვანილ უნდა იქნეს საკავშირო ჯარები, რათა ერთობლივი მოქმედება დაიწყოს საქართველოსა და რუსეთის მილიციამ. ამას კი საკავშირო თავდაცვის სამინისტრო არ დაეთანხმება, ყოველივე ეს სიტუაციის დაძაბვას ხომ არ გამოიწვევს?

– ეს შეიძლება დღეს და ხვალ არ მოხდეს, მაგრამ მომავალში აუცილებლად მოხდება, ვინაიდან ელცინის გავლენა საკავშირო თავდაცვის სამინისტროზე დღითიდღე იზრდება, შესაძლოა მან ამას მიაღწიოს. გარდა ამისა, ეს პირობა მიმაჩნია ერთადერთ შესაძლო გადაწყვეტად იმ მძიმე პრობლემისა, რომელსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა ეწოდება. სხვა გზა ნამდვილად არ არსებობს.

– ალბათ, თქვენთვის არ იყო ადვილი, უარი გეთქვათ საქართველოს იმ მცხოვრებთა ხმებზე, რომლებიც რეფერენდუმის დღეს უცხოეთში იქნებიან?

– მათ უფლება არ აქვთ წართმეული. უბრალოდ, ისინი შეადგენენ პეტიციებს თავიანთი ხელმოწერით, რომ უერთდებიან რეფერენდუმს. უკვე დაიწყო ასეთი წერილების მოსვლა, კერძოდ, პარიზიდან.

– თვითონ რუსეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, ამომრჩეველთა სამმა მეოთხედმა ხმა მისცა პრეზიდენტობის შემოღებას. ეს საკითხი საერთოდ არ იქნა განხილული პარლამენტში. იქნება თუ არა გარანტია ქართველ ხალხს, რომ რასაც მოითხოვს, იმას შეუსრულებენ?

– უპირველეს ყოვლისა, მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საქართველოსა და რუსეთის პარლამენტებს შორის. კერძოდ, იმ არნახულ ერთსულოვნებას, რომელიც საქართველოს პარლამენტში არსებობს და იმ ორად გახლეჩილობას შორის, რომელიც რუსეთის პარლამენტშია. ასე, რომ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი პარლამენტი ერთსულოვნად მიიღებს გადაწყვეტილებას და განიხილავს რეფერენდუმის შედეგებს.

– თქვენ თქვით, რომ რეფერენდუმით გაარკვევთ, თუ ვინ იქნება საქართველოს მოქალაქე. როგორ მოახერხებთ ამას?

– არაქართველების უმრავლესობა მიიღებს მოქალაქეობას, ვინაიდან უმრავლესობა ხმას დამოუკიდებელ საქართველოს მისცემს.

– ყოველდღიურად ახალ-ახალი კონფლიქტები ხდება საქართველოში. ჯერ ოსეთი, შემდეგ ჯავახეთი, აფხაზეთი. როგორ ფიქრობთ, რაშია ამ კონფლიქტების სათავეები?

– პირველად მესმის თქვენგან, რომ რაღაც კონფლიქტებია ჯავახეთში და აფხაზეთში. ასე, რომ ვილაცამ შეცდომაში შეგიყვანათ. რაც შეეხება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, იქაც შემცირდა დაძაბულობა და ნაკლებია კონფლიქტები.

– საიდუმლო არ არის, რომ მოსახლეობას სურს თვითგამორკვევა და თავისუფლება, რეფერენდუმის შედეგების შემდგომი ნაბიჯები?...

– ჩვენს მიერ გადაიდგმება გარკვეული ნაბიჯები, პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც გაითვალისწინებენ მოსახლეობის სურვილს, ოღონდ ეს ბევრად იქნება დამოკიდებული დასავლეთის ქვეყნებზე და ცენტრის მზადყოფნაზე მოლაპარაკებისათვის.

– თვლით თუ არა, რომ მოსკოვის დამსჯელმა ღონისძიებებმა ფასების მომატების შესახებ შეიძლება გამოიწვიოს დესტაბილიზაცია საქართველოში?

– ჯერჯერობით მოსახლეობა გაგებით ეკიდება ამ პრობლემას, ვინაიდან ხვდება, რომ ეს ჩვენი ბრალი არ არის, ყოველივე ცენტრიდან მომდინარეობს. ჩვენ მივმართეთ მოსახლეობას ამ საკითხთან დაკავშირებით. პრესაში გამოქვეყნდა ჩვენი მიმართვა, სადაც განმარტებულია ამის მიზეზი. გარდა ამისა, ფასების მომატების გადაწყვეტილებისათვის მე არ მომიწერია ხელი, არც ბატონ თენგიზ სიგუას. მასზე ხელი მოაწერა პრემიერ-მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, რომელიც ამჟამად გათავისუფლებულია.

– თქვენი პროგნოზი ხვალინდელ არჩევნებზე?

– რაც შეეხება ხვალინდელ პროგნოზს არჩევნების შესახებ, ჩემის აზრით, მოსახლეობა მხარს დაუჭერს ბლოკს „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, თუმცა, შესაძლოა, სხვა ბლოკებისა და პარტიების წარმომადგენლებიც იქნენ არჩეულნი.

– მე მინდა უფრო ნათლად დავინახო, თუ რა კავშირი აქვს ხმის მიცემას, საქართველოს რეფერენდუმსა და საქართველოს მოქალაქეობის სტატუსს შორის. არის თუ არა გარანტია, რომ ხმის მიცემა იქნება საიდუმლო და მისი შედეგები არ იმოქმედებს პიროვნების შემდგომ ცხოვრებაზე?

– არც ერთ ქვეყანაში არ აძლევენ მოქალაქეობას იმ პირებს, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი სახელმწიფოსადმი, ერისადმი, ცუდ მიზნებს ისახავენ და პატივს არ სცემენ ენას, სუვერენიტეტს. ასე, რომ ნურავის უკვირს, თუ ჩვენ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

– თვლით თუ არა, რომ ყველაზე დიდი მოვლენა მსოფლიოში ელცინის პოლიტიკის გამარჯვება იქნება?

– ბატონი ელცინის პოპულარობა დღითი-დღე იზრდება და ჩვენ მივესალმებით ამ პიროვნებას, ვინაიდან იგი იმპერიული რუსეთის განსახიერება კი არ არის ჩვენს თვალში, არამედ დემოკრატიული რუსეთისა.

– ბატონო ზვიად, გვაინტერესებს, სცნობს თუ არა საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში?

– ხშირად, ვინც ასეთ შეკითხვებს გვისვამს, თავად არ იცნობს ამ ხელშეკრულებების ტექსტსა და შინაარსს.

– მე ეჭვი არ მეპარება, რომ ხვალ საქართველო თავისუფალი იქნება. მაინტერესე ბს, რა ურთიერთობა გექნებათ ჩემს ქვეყანასთან, მოლდავეთთან?

– უკვე მზადდება ხელშეკრულება საქართველოსა და მოლდავეთს შორის და ეს იქნება, ალბათ, კეთილი დასაწყისი ჩვენი სუვერენული სახელმწიფოების მეგობრობისა და ურთიერთობისა.

ქალბატონებო და ბატონებო, მინდა მოგახსენოთ, რომ ხვალინდელ დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. ამიტომ გთხოვთ, მაქსიმუმი გააკეთოთ იმისათვის, რომ მსოფლიოში სწორი ინფორმაცია გავიდეს ხვალინდელი რეფერენდუმის შესახებ.

სასტუმრო „მეტეხი“,
30 მარტი, 1991 წ.

სოჭი,საინგილო,ლორე,დვალეთი,ტაო-კლარჯეთი 1991წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე იურიდიულად დღესაც საქართველოს შემადგენლობაშია!

ნოემბერი 3, 2016

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის კითხვაზე „ გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე „ ამომრჩეველთა 98 %-მა პასუხი გასცა „დიახ ,“ რის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტში ჩაიწერა :“1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია (იურიდიულად) ერთიანი და განუყოფელია.

„ანუ ყველაზე უმაღლესი ძალის დოკუმენტის - რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს საზღვრები იურიდიულად დადგინდა 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით ..

სოჭი, საინგილოლორე, ვალეთი, ტაო-კლარჯეთი ...1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე იურიდიულად დღესაც საქართველოს შემადგენლობაშია ...

საქართველო იყო ძლიერი და აღსდგება ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე და შავი ზღვიდან – კასპიის ზღვამდე.

„სანამ რუსეთს და საქართველოს შორის არ დადგინდა ახალი საზღვრები ორივე სახელწიფოს შეთანხმებით, საერთაშორისო სამართლის თანახმად ორსახელმწიფოთა შორის ბოლოს აღიარებული საზღვრები რჩება ძალაში ანუ ის რაც 1920 წლის ტრაქტატით იქნა აღიარებული. იმ დროისთვის სოჭი საქართველოს საზღვრებში შედიოდა და დღესაც ეს იურიდიულად ძალაში რჩება... (რაც სხვათაშორის სერგეი ლავროვს 2005 წელს მოლაპარაკებების დროს შევახსენე, რათა ბაზებზე მოლაპარაკების დასრულების შემდეგ საზღვრების საკითხზე მოლაპრაკების აუცილებლობაში დამერწმუნებინა იგი...) და ეს არის ყველაზე პრინციპული საკითხი!...„– სალომე ზურაბიშვილი.

წყარო: https://oknws.com

9 აპრილის ტრაგედიის გამომძიებელი, რუსი სამხედროების გამმართლებელი გენერალი ივანიშვილის ბანკში მრჩევლად მუშაობდა

ჟურნალისტი ეკა წამალაშვილი წერს, რომ ერთ-ერთ მასალაზე მუშაობისას, 1989 წლის 9 აპრილის ამბების შემსწავლელი რუსი გენერლის ალექსანდრე კატუსევის ბიოგრაფიისა და საქმიანობის მნიშვნელოვანი დეტალები გაარკვია და აღმოჩნდა, რომ ის ივანიშვილის ბანკ „როსიისკი კრედიტში" მრჩევლად მუშაობდა.

„გენერალი ალექსანდრ კატუსევი - საბჭოთა კავშირის უკანასკნელი სამხედრო პროკურორი, მან წარმოადგინა სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე თბილისის 9 აპრილის გამოძიების დასკვნა,რომელშიც სადამსჯელო ოპერაცია ერთმნიშვნელოვნად იყო გამართლებული.

ამ ამაზრზენი დასკვნის საპროტესტოდ ქართველმა დეპუტატებმა და ანდრეი სახაროვმა დარბაზი დატოვეს.

დავინტერესდი რა ბედი ეწვია მას შემდეგ გენერალ კატუსევს, სად იყო, რას აკეთებდა და აღმოვაჩინე, რომ სსრკ დაშლის შემდეგ, წლების მანძილზე ის ბიძინა ივანიშვილის ბანკ „როსიისკი კრედიტში" მუშაობდა მმართველის მთავარი მრჩევლის პოზიციაზე...

PS. „все дороги идут в Рим", - წერს ეკა წამალაშვილი.

„აფხაზეთის ხმამ" დამატებით გაარკვია, რომ ალექსანდრე კატუსევი, რომელიც 2000 წელს, 61 წლისა გარდაიცვალა, სამხედრო იურისტი და სსრკ-ს მთავარი სამხედრო პროკურორი, ასევე სსრკ-ს გენერალური პროკურორის მოადგილე იყო. მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება ჰქონდა და მთავარ სამხედრო პროკურორად სწორედ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გადაიყვანეს. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მის ბიოგრაფიაში შეგნებულად იყო გამოტოვებული, რომ სწორედ ის ხელმძღვანელობდა სამხედრო პროკურატურის გამოძიებას და წარადგინა დასკვნა, რომელსაც გენერალი როდიონოვი დაეყრდნო, როცა ანგარიში სსრკ-ს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე წარადგინა.

წყარო: ***http://www.fmabkhazia.com/news/***

ქუთაისში 9 აპრილის მონუმენტს იღებენ - მიმდინარეობს სამუშაოები

ქუთაისში, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. მონპლაზირის თაღთან მდებარე 9 აპრილის მონუმენტს იღებენ. ადგილზე შესაბამისი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

„Topnews.com.ge-ის" ინფორმაციით, მონუმენტის აღებას არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლია" აპროტესტებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელი გია გოქაძე ქალაქის მერის, შოთა მურღულიას ინტერესებს ხედავს.

„ქალაქის მერი ქალაქის ისტორიულ ნაწილებში ყველა თავისუფალი სივრცის მიტაცებითაა დაკავებული. ერთადერთი რაც მას უნდა ის არის, რომ სარგებელი ნახონ მან და მისმა ახლობლებმა, მეტი ფული ჩაიდონ ჯიბეში," - აცხადებს გოქაძე.

წყარო: http://allmedia.ge/sazogadoeba/item/5057

newpress.ge -ს ინფორმაციით, 1997 წელს დადგმული 9 აპრილის მემორიალი, რესტორნის ინტერესებს ეწირება, რომელიც აქ მოგვიანებით აშენდა და მის გამო სკვერში შექმნილი ვითარება შეურაცხყოფს 9 აპრილს დაღუპულთა სულებს. მემორიალი ცენტრალურ ბულვარში განთავსდება. ნიშანდობლივია, რომ 9 აპრილის მოქანდაკე რეზო რამიშვილი სწორედ ამ ძეგლის მოვლას შეეწირა. 2004 წელს დაზიანებული ძეგლის შეღებვის დროს, რამიშვილი მონუმენტიდან გადმოვარდა და დაიღუპა.

10 წლის წინ ბაძაგრაცვეულ თამაზიკო ჭოველიძის ძეგლიანის აღდგენაზე ღლესაც აჩავინ გრუნავს...

ასე გამოიყურება, დღესაც, თამრიკო ჭოველიძის მემორიალური დაფა ყოფილ გამომცემლობა „სამშობლოს" კედელზე ჭოველიძის ქუჩის დასაწყისში, რომელიც 2007 წელს გაძარცვეს ფერად ლითონებზე „მონადირე" სოციალურმა ტიპებმა; მათ, შინდისფერი მარმარილოს მემორიალიდან ვანდალურად მოგლიჯეს 9 აპრილის მსხვერპლის თამრიკო ჭოველიძის წლოვანების განმსაზღვრელი 16 ბრინჯაოს მერცხალი, რისთვისაც სააკაშვილის პოლიციას, არც გამოძიება უწარმოებია და ცხადია, არც არავინ დასჯილა.

(ამასთან დაკავშირებით იხილეთ ინტერვიუ თამრიკოს მამასთან, არკადი ჭოველიძესთან გაზეთ „განმათავისუფლებელში" 2008 წ. N16), რომელიც მერაბ კოსტავას იდუმალებით მოცულ წინათქმასაც პირველად ჩვენს გაზეთში ახმოვანებს...https://iberiana2.files.wordpress.com/2016/05/ni16.pdf).

გულსატკენია, რომ ე.წ. ნაციონალები დღემდე გამოხატავენ უპატივცემულობასა და არასათანადო მოპყრობას 9 აპრილის მსხვერპლთა მიმართ; მათ მიერ ორგანიზებულ რევანშისტულ მიტინგებზე პარლამენტთან, მათი აქტივისტები ასე უგუნურად აბობღდებიან ხოლმე 9 აპრილის მემორიალზე და ეგზალტირებულად ბუქნაობენ. მათ ლიდერთაგან კი არავის მოსდის აზრად, წინასწარი გაფრთხილებით, მიკროფონში მოუწოდონ და დაუშალონ ახალგაზრდებს მემორიალზე წამოხტომა.

ამგვარი მორალურ-სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ვალდებულებისაგან, პოლარულად დაშორებული აღმოჩნდნენ თვით უზენაესი საბჭოს ის დეპუტატებიც და ეროვნული მოძრაობის ყოფილი წარმომადგენლები, რომლებიც დღეს საკაშვილის პოლიტიკურ „ფანებად" გვევლინებიან. აი, ესენიც: რეზო კემულარია, ბეჟან ჯავახია, ირაკლი კენჭოშვილი, გია მამფორია, ნონიაშვილი, ოჩიაური, ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური,პაატა ჩიქოვანი, ქეთევან ქურდოვანიძე, თამარ ებრალიძე, მაია კერესელიძე, თამაზ კერძევაძე და სხვ.

9 აპრილის არსებული მემორიალის ასე საბუქნაო ასპარეზად გადაქცევის საფრთხისა და მისი არქიტექტურული მიზანშეუწონლობის გამო, ზვიად განმათავისუფლებლის პარტიელები იმთავითვე ვაპროტესტებდით მემორიალის, კონკურსის გარეშე დადგმის გადაწყვეტილებას 2004 წელს, როდესაც საკაშვილის ხელისუფლებამ, სრულიად მოულოდნელად, არჩევანი გააკეთა არქიტექტურაში თითქმის უცნობ კახა ქორიძეზე (ყოფილი მსახიობი - „ღიმილის ბიჭები", შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი, შემდგომ განათლების მინისტრის მოადგილე, ბაგრატიონის „სამეფო კარის" კანცლერი), რომელსაც მართალია დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი, მაგრამ ამ დარგში იგი არასოდეს ყოფილა განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული, თუმცა საკაშვილის ხელისუფლებამ, სწორედ მასზე გააკეთა არჩევანი 9 აპრილის მემორიალთან დაკავშირებით, მაშინ როცა მრავალი ნიჭიერი და ცნობილი არიტექტორი სთავაზობდა ხელისუფლებას გაცილებით უკეთეს პროექტებს, მაგრამ საკაშვილმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა დიდად არ გაეღიზიანებინა რუსეთის პოლიტელიტა...

ვიმედოვნებთ, რომ ეს უსახური მემორიალი ოდესმე აუცილებლად შეიცვლება და მის ადგილას წამოიმართება 9 აპრილის შესატყვისი და სადაგი მაღალი ხელოვნების არქიტექტურული ძეგლი, რითაც დამსახურებულ პატივს მივაგებთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფლებისათვის შეწირულ უახლესი ისტორიის გმირებს! (*რედ.*).

წითელი დისიდენტები

საბჭოთა იმპერიას, საქართველოში, გარდა „წითელი ინტელიგენციისა“, აგრეთვე, არცთუ ცოტა ჰყავდა საკუთრივი სატელიტი „წითელი დისიდენტებიც“, რომლებმაც შემდგომ თავი მოიყარეს ეროვნული მოძრაობის პირველ ლეგალურ ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ (გურამ მამულია, ზურაბ ჭავჭავაძე, გურამ ყორანაშვილი, ციალა არდაშელია, ჯუმბერ კოპალიანი, ვახტანგ ძაბირაძე...) და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ძირითად ბირთვს ამ საზოგადოებისა.

ეს საზოგადოება შეიქმნა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას „ჰელსინკის კავშირის“ ალტერნატივად და მისი ლიდერები აქტიურად უპირისპირდებოდნენ ზვიადს, ხოლო მერაბის გადაბირებას ლამობდნენ, რასაც გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც მერაბის „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ გადასვლით, მაგრამ დროებით...

ჩემს ამჟამინდელ თემას არ წარმოადგენს ამ უახლესი ისტორიის პერიპეტიების განხილვა, არამედ, ამჯერად, მხოლოდ ერთ დოკუმენტურ ფილმში, წითელი დისიდენტის, ჯუმბერ კოპალიანის ჩვეულ როყიო განაცხადზე შევაჩერებ ყურადღებას.

დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ნათელი იგი“ (იხ. www.youtube.com/watch?v=1lbO2zqaESc) ეძღვნება ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეებს (ფილმის სამხატვრო ხელმძღვანელი და წამყვანი - კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი , დამდგმელი რეჟისორები: ირაკლი პაპავა, ნინო ჭავჭავაძე, 2004 წელი).

ამ ორნაწილიან ფილმში, ჯუმბერ კოპალიანი, მოკლედ მიმოიხილავს რა 9 აპრილის მაპროვოცირებელ ფაქტორს (გაგახსენებთ, რომ აპრილის მიტინგები თბილისში, აფხაზეთის სოფელ ლიხნის კრებაზე, სეპარატისტების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგელობიდან გასვლისა და რუსეთთან მიერთების მოთხოვნას მოჰყვა), ამბობს: „4 აპრილს, ზურაბ ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მთავრობის სასახლის წინ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი აფხაზეთში შექმნილი მძიმე სიტუაციის განმუხტვის მიზნით. მიტინგმა ხელისუფლებას ნაუყენა უაღრესად რეალისტური, შესრულებადი მოთხოვნები. ხელისუფლება იძულებული გახდა მეორე დღესვე დაეწყო ამ მოთხოვნების შესრულება; მეორე დღეს თანამდებობიდან გაათავისუფლეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (*გულისხმობს ბორის ადლეიბას - ლ.ც.*) და აი ამის შემდეგ გარკვეულმა ძალებმა, სამწუხაროდ, 6 აპრილიდან აქციას მიმართულება შეუცვალეს, რამაც 9 აპრილის ტრაგედიამდე მიგვიყვანა. ხოლო შემდგომში, რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციამდეც“-ო.

გოგა ხაინდრავა, ნიკო ჩიგოგიძე, გურამ ყორანაშვილი, გელა ნიკოლეიშვილი, ჯ.იოსელიანი, იგორ გიორგაძე(?...), ჯუმბერ კოპალიანი, თემურ კვირკველია

იმისათვის, რომ მცირედი წამოდგენა მაინც შეგიქმნათ „დისიდენტ“ ჯუმბერ კოპალიანის პიროვნებაზე, ერთ ისტორიულ „სალაღობო“ ფაქტს გავიხსენებ 80-იანი წლების დასაწყისიდან; ათეისტურ საბჭოთა საქართველოში, მიუხედავად აკრძალვებისა, ეკლესიები, დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე (ქრისტეშობა და აღდგომა), განსაკუთრებით სიონის ტაძარი მომლოცველებს ვერ იტევდა ხოლმე. ერთ აღდგომის ღამეს, ვერც ჩვენ - დისიდენტმა ქალებმა - შევაღწიეთ სიონის ტაძარში, და ლიტანიობამდე გარეთ მოგვიწია ყოფნა. მაშინ ტაძრებში რადიოფიცირებული არ იყო წირვა-ლოცვები და მღვდელმთავრების ხმები მხოლოდ ფრაგმენტულად გვწვდებოდა. გარდა რელიგიური წესისა, დისიდენტები, სიონში პროკლამაციებსაც ვავრცელებდით ხოლმე და არც ამჯერად შეგვიკავებია თავი ჩვენს პატრიოტულ საქმიანობაზე; ნანა ჯაფარიძემ, ციცო არზიანმა და მე ფრთხილად დავიწყეთ მოქმედება. როგორც სჩანს, ერთ-ერთმა „მოკავშირემ“, ჩვენს მიერ მიწოდებული პროკლამაცია, ტაძრის ეზოში მომრავლებულ უშიშროების წარმომადგენლებს გადასცა და ჩვენზეც მიუთითა.

უშიშროების ყურადღების ცენტრში და გარემოცვაში თანდათან ვექცეოდით. ამ თვალით საჩინო ვითარებაში, ციცო არზიანმა სიტყვა დაგვიგდო: „მე თქვენთან არ ვარ“-ო და უცნობივით გაგვერიდა. ზვიად გამსახურდიაც სადღაც აქვეა, მაგრამ მასთან კონტაქტს ახლა, მითუმეტეს, როგორ შევეცდებით. და აი, სიონის ეზოსკენ დევკაცა ჯუმბერ კოპალიანი მოემართება განუყრელი სვანური ქუდით. მასზე სწორება, გაწევ-გამოწევით, როგორღაც შევძელით და ნანა ჯაფარიძემ ჩვენი განსაცდელის შესახებ ყურში ჩასჩურჩულა. შევატყვე, ჯუმბერს როგორ ეცვალა ფერი; რამდენიმე წამში კი უტყვად და უკუსვლით გაიძურწა ტაძრის ხალხმრავალ ეზოდან. სახტად დარჩენილ ნანა ჯაფარიძეს სასოწარკვეთით და გაოცებით აღმოხდა: „მიგვატოვა... გაგვეპარა...“ ეს იყო რეაქცია ულამაზესი ქალისა დევივით მამაკაცის მიმართ, რომლისგანაც ჩვენ მხოლოდ მორალურ თანადგომას და გამხნევებას ველოდით.

მას შემდეგაც არაერთხელ გვიგრძნია „თანამოაზრე“ ჯუმბერ კოპალიანისა და მისნაირი „დისიდენტის“ სიმყიფე, რაც საბოლოოდ მათ რეაქციონურ ქმედებებშიც გადაიზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული ხელისუფლების მიმართ...

ხოლო, რასაც ჯუმბერ კოპალიანი ზემოციტირებულ გამოსვლაში ამბობს (აწ უკვე 2004 წელს), ცალსახად მეტყველებს მის უწყვეტ, მტკიცე კავშირზე რუსეთის კგბ-სთან, რომლის პოლიტიკურ ინტერესებშია, რომ საკუთარ ისტორიაში როგორმე დაამკვიდროს აზრი 9 აპრილის ტრაგედიისა და აფხაზეთის ომის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებზე, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე გადაბრალების შესახებ. ჯუმბერ კოპალიანიც ზვიად-მერაბის თანატოლია და 1939 წელსაა დაბადებული. იგი უკვე წლებია დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელია და აქტიურად იცავდა საყდრისს. სავარაუდოდ, ისეთი „პატრიოტული გულწრფელობით“, როგორც „დისიდენტობაში“...

ჩემს მიერ გამოქვეყნებულ ამ ფოტოზე კი, სვანურქუდიანი ჯუმბერ კოპალიანი, რუსეთუმე თანამზრახველებთან ერთად, 1991 წელს, აპროტესტებს რუსეთის საინფორმაციო „ვრემიას“ გადაცემის შეწყვეტას და ზვიადის ხელისუფლებისაგან მოითხოვს არხის აღდგენას. საბოლოოდ, ეს ჯგუფი, სრული შემადგენლობით, შეიარაღებული გადატრიალების ავანგარდშიც ჩადგა ახალფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ.

გოგა ხაინდრავა, ნიკო ჩიგოგიძე (აწ-გარდაცვლილი - ილ. ჭავჭავაძის საზ.), გურამ ყორანაშვილი, გელა ნიკოლეიშვილი, ჯ.იოსელიანი, იგორ გიორგაძე (?...), ჯუმბერ კოპალიანი, თემურ კვირკველია. ეს ე.წ. პატრიოტები, დღემდე ყოველგვარი მეთოდებით ცდილობენ, დააკნინონ 31 მარტისა და 9 აპრილის სიდიადე საქართველოს უახლეს ისტორიაში და სისხლი, ქართველთა ხელიდან მოსცხონ მას. თითქოს, არ უწყოდენ მათ, მტრებთან უსისხლო გამარჯვებების არარსებობის შესახებ, თვით მსოფლიოს სახელმწიფოთა ისტორიაშიც.

„საწუხარ არს, ესე!“

ლეილა ცოფანია

საქართველოს დეპუტატთა კლუბი, 28 ოქტომბერი, (პროექტი)

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს,

ბატონ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990წ.) დეპუტატების

მ ი მ ა რ თ ვ ა

სახელმწიფო „საქართველოს“ კონსტიტუციის (1995 წლის 24 აგვისტოს რედაქცია) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით „საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით“. აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაშია ამავე კონსტიტუციის 1.1 მუხლთან. კერძოდ, ეწინააღმდეგება 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის, აგრეთვე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ სულისკვეთებასა და სამართლებრივ შინაარს.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის განსაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით (ისევე როგორც მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ორპალატიანი პარლამენტი - რესპუბლიკის საბჭო და სენატი) არის საქართველოს საზღვრებს გარედან თავსმოხვეული ფორმულა, რომელიც შემოგვთავაზეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავმჯდომარის სპეცწარმომადგენელის თავმჯდომარეობით, რუსეთის ფედერაციისა და ეუთოს წარმომადგენლობით გამართულ ჟენევის შეკრებაზე 1994 წლის 15-18 ნოემბერს, როგორც „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების“ გზა. ქართულმა მხარემ აღნიშნული შეთავაზება ჟენევაში გამართულ მორიგ შეხვედრაზე 1995 წლის 7-9 თებერვალს გაიზიარა და 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციის პირველი თავის ზოგად დებულებებში ასახა.

საქართველოს სახელწიფოებრიობა არ უკავშირდება სსრ კავშირს და მის დაშლას, იგი არ არის სსრ კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი „ახალი სახელმწიფო“. საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ პრინციპული უარი განაცხადა 1991 წლის 21 დეკემბერს სსრ კავშირის 11 რესპუბლიკასთან ერთად ხელი მოეწერა „ალმა-ათის დეკლარაციასა“ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) იმავე დღეს მიღებულ სხვა დოკუმენტებზე, რომელთა შინაარსი კონცეპტუალურ წინააღმდეგობაში იყო საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის განსაზღვრების აღიარებულ პრინციპებთან, სახელმწიფოებრივ იდენტობასა და ეროვნულ სუვერენიტეტთან. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებითა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველოს რესპუბლიკა (1990-1995წ.წ.) წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წ.წ.) გამგრძელებელ სახელმწიფოს, მათ შორის არსებობს უწყვეტი სამართლებრივი მემკვიდრეობა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი უწყვეტობის საფუძველია.

ხოლო „ახალი სახელმწიფო - საქართველო“-ს კონცეფცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაციასა და საბჭოთა კავშირში გაწევრიანების, მისი ფაქტობრივი ანექსიის უკანონობის დოქტრინალურ საკითხს აყენებს ეჭვის ქვეშ, ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოებრივ უწყვეტობას, ეროვნული ერთობის (ხალხის) სამართლებრივ განგრძობადობას, შეუძლებელი ხდება ქართველი ერის სასიცოცხლო სივრცის, მისი სახელმწიფო საზღვრების დადგენა-დაცვა, საშინაო მშვიდობის მიღწევა, ზღუდავს ქართველ ერს საკუთარი სახელმწიფო შეიმეცნოს დროში და სივრცეში არსებულ უწყვეტ სუბიექტად, ეფექტურად იმოქმედოს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990 წ.) დეპუტატები გთავაზობთ:

2.1.მუხლი - ჩანაწერი: „საქართველოს სახელწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით“ შეიცვალოს ჩანაწერით: „საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები განისაზღვრება 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით“;

ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლი მთლიანად;

1.1. მუხლში: ჩანაწერი: „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში“ შეიცვალოს ჩანაწერით: „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის(1990წ.) დეპუტატები: ა.იმნაძე, დ.ტაბიძე, ლ.ცოფურაშვილი, ა.რცხილაძე, პ.კოღუაშვილი, ტ.ფუტკარაძე, გ.ჩორგოლაშვილი, ი.ბურკაძე, რ.პეტრიაშვილი, ა.საკანდელიძე, ნ.შავთვალაძე, ა.არაბული, ა.სილაგაძე, თ.ყურაშვილი, ნ.სანებლიძე, თ.დიხამინჯია, ფ.დიაკონიძე, გ.ურიადმყოფელი, დ.ფიროსმანიშვილი.

2017 წლის 21 თებერვალი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ამერიკაზე

ახალი დამოუკიდებელი საქართველოს სნრაფვამ ევრო–ამერიკული ინტეგრაციისაკენ (რუსეთის იმპერიის გაღიზიანების ფონზე), ჩვენში დარაზმა პრორუსული ორიენტაციის ძალები, რომლებიც 80–90–იან ნლებში, თითქოს ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში იყვნენ და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების გულმხურვალე მხარდამჭერად გვევლინებოდნენ. დღეს კი ისინი განსაკუთრებულ მიუღებლობას ავლენენ ამერიკის მიმართ და რუსეთის ფედერაციასთან ალიანსისაკენ მოგვინოდებენ. 2013 ნლიდან აღმოცენებული რუსეთის სატელიტი პოლიტიკური ორგანიზაციები განსაკუთრებულ აგრესიას საქართველოს ნატოში განევრიანების სურვილის ნინააღმდეგ გამოხატავენ. მათ ემხრობიან ე.ნ. ეროვნულები, რომლებიც თავიანთი პოზიციის გასამყარებლად ზვიად გამსახურდიასა და ილია ჭავჭავაძისეულ „კავკასიის გაერთიანების“ იდეურ მიმართულებას უსვამენ ხაზს და იმას კი არ უფიქრდებიან, რომ მათეული იდეის ხორცშესხმამდე, საქართველო სახელმიფოებრივად უნდა გადარჩეს ძლიერი მფარველის მეშვეობით, რათა შევინარჩუნოთ არსებული ტერიტორიული მდგომარეობა, ხოლო პერსპექტივაში კი დავიბრუნოთ 90–იანი ნლებიდან დაკარგული ტერიტორიები.

ჩვენი გაზეთის ნინა ნომრებში დავბეჭდეთ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წერილები და ინტერვიუები, რომლებშიც ისინი დეკლარირებდნენ ევრო–ამერიკული ინტეგრაციისაკენ სნრაფვას, ხოლო ამჯერად ვბეჭდავთ თვით ილია ჭავჭავაძის ანალიტიკურ სტატიას ამერიკის ჰეგომონობაზე.(რედ.).

ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი

ილია ჭავჭავაძე

ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვსთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ. იმისდა მიუხედავად, რომ ეგ აზრი მეტად ადვილი გასაგებია, მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ. ასორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მონტესკიე სჩიოდა, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისათვის არა ჰზოგავს არავითარ ხარჯს და ამითი თავს იღარიბებს და იღატაკებსო.

მონტესკიეს სიტყვას არავინ გაუფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხვანან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაახრჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს. ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელი ხალხისა. ეს ერთი მერვედი ნლიდგან ნლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანაოძმეთა ნაშრომითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს ნელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს.

ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი იხდის ნელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის ნელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა 12 ½–ს.

ეხლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27 000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი ნელიწადში იხდის 4 ½ ფრანკს.

როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩება ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამგვარად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმმწიფონი–კი თანდათან ვალებში სცვივიან.

რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება.

ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვთ სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისათვისაც ქალაქ ნიუ–იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადაწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე. უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელლმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა.

ტფილისი, 25 თებერვალი, 1889

როგორი მმართველობის სახელმწიფოა საქართველო?

გასულ წელს საქართველომ ახალი მოწვევის პარლამენტი აირჩია. საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობის ზრდა 2010 ნლის კონსტიტუციურ რეფორმას მნიშვნელოვნად უკავშირდება. ხსენებული რეფორმის შედეგად, საქართველოში დამკვიდრებული მმართველობის ფორმა მრავალჯერ გახდა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საგანი. ნაწილის განმარტებით, პოლიტიკური სისტემა საპრეზიდენტო მმართველობის მოდელიდან საპარლამენტოზე გადავიდა, მეორე მოსაზრების მიხედვით კი, ქვეყანაში კონსტიტუციური მოწყობის შერეული მოდელი ამოქმედდა.

საქართველოში მოქმედი მმართველობის ფორმის განსაზღვრის მიზნით, პირველ რიგში აუცილებელია საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შერეული მოდელების მოკლედ დახასიათება.

საპრეზიდენტო მოდელში, პრეზიდენტი პირდაპირი არჩევნების შედეგად ირჩევა, ნიშნავს და უძღვება მთავრობას.პრეზიდენტს არ გააჩნია პარლამენტის დათხოვნის, ხოლო პარლამენტს პრეზიდენტის გადაყენების უფლება. პრეზიდენტი წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს, ასევე მთავრობის მეთაურს. მისგან განსხვავებით, საპარლამენტო რესპუბლიკებში აღმასრულებელი ხელისუფლება არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. ზოგიერთ შემთხვევაში, მთავრობის პარალელურად, არსებობს პრეზიდენტის პოსტიც, თუმცა ის პარლამენტის მიერ არის არჩეული და შესაბამისად, მისი როლიც ცერემონიულია. მთავრობის მეთაური არის საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შერჩეული პრემიერი, რომელიც განაგებს როგორც საშიანაო ისე საგარეო პოლიტიკას. პარლამენტს უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს პრემიერს (მთავრობას). რაც შეეხება მესამე, შერეული ტიპის მოდელს, ის პოლიტიკური მეცნიერის მაურის დუვერჟეს სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის მოდელის აღსაწერად პირველად გამოიყენა ტერმინი ნახევრადსაპრეზიდენტო. ხსენებული მმართველობის დროს სახელმწიფოს მეთაური არის პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი, ხოლო მთავრობის მეთაური საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შერჩეული პრემიერი. პრეზიდენტი განაგებს საგარეო პოლიტიკას და არის უმაღლესი მთავარ სარდალი. პრემიერი განაგებს საშინაო პოლიტიკას. პარლამენტს უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს პრემიერს (მთავრობას). პრეზიდენტს შეუძლია ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ან დაითხოვოს პარლამენტი.

2010 ნლის კონსტიტუციური რეფორმის შედეგად, მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ინსტიტუტად გადაიქცა და მისი ფორმირების საპარლამენტო მექანიზმი შეიქმნა. პრეზიდენტი მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობას ჩამოშორდა. უფებამოსილების შეკვეცის მიუხედავად, უცვლელი დარჩა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესიც. ამით კი, ქვეყანაში მმართველობის პრემიერ-საპრეზიდენტო მოდელი დაინერგა და არა საპარლამენტო, როგორც მას ხშირად უწოდებენ. მნიშვნელოვანია პრეზიდენტის უშუალო კონსტიტუციური უფლებამოსილებებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი რჩება სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდლად და საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლად. პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროების საბჭოსაც. მის განკარგულებაში რჩება ვეტოს გამოყენების უფლება და პრემიერმინისტრის წამოყენებისა და დანიშვნის უფლება. საქართველო დღეს არის შერეული მმართველობის მოდელის ერთ-ერთი ქვეტიპი, რომელსაც პრემიერი-პრეზიდენტის სისტემა ეწოდება. ამ სისტემაში პრეზიდენტი ხალხის მიერ არის არჩეული. მთავრობა მხოლოდ პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი და პრეზიდენტს რიგი უფლებამოსილებები აქვს. პრეზიდენტი არის ხელისუფლების ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირების, კონსტიტუციის დაცვის გარანტი. ზუსტად ამიტომ ვფიქრობ, რომ საქართველო არის შერეული მოდელის სახელმწიფო საპარლამენტო მმართველობისკენ გადახრით.

ფალვა ხარატიშვილი

თსუ იურდიული ფაკულტეტის სტუდენტი

მეცნიერება

ნაცარქექიას არქეტიპული გაპაზრებისათვის

რუსუდან ჩოლოყაშვილი

კერა, ბუხარი ქართველი და, საერთოდ, კავკასიელი კაცისათვის დღესაც ახლობელია და უძველესი კეთილშობილური ტრადიციების შემხსენებელი. არა მარტო ჩვენთვის, ყველა კულტურაში კერას საკრალური მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენ მისი ერთგული მცველიც გვყავს ნაცარქექიას სახით, რომელიც ზღაპარში წარმატებულიც არის – უძლიერეს დევთა საძმოს დამმარცხებელი, მთელი მათი სახლ-კარისა და ქონების დამსაკუთრებელი, თუმცა ამ ზღაპრულმა გმირმა დროთა განმავლობაში კომიკური ელფერი შეიძინა და ღიმილისმომგვრელ პერსონაჟად იქცა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მთელი სისრულით არა გვაქს გააზრებული თვით კერის, ბუხრის დანიშნულება და მისი მცველის მნიშვნელობა იმ უძველესი ეპოქის ოჯახისათვის, რა დროსაც არის ეს ზღაპარი შექმნილი და არ ვითვალისწინებთ, რომ მისი ყოვლისშემძლეობა და მიღწევები სწორედ რწმენის ერთგულებით აქვს მას დამსახურებული, რისი არსიც დღეს დავიწყებული გვაქვს.

გავიხსენოთ: „იყო ერთი ზარმაცი კაცი, ცისმარე დღე იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა“. „იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი იყო, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა, ამისთვის ნაცარქექია დაარქვეს“. ორივე ზღაპარში მობეზრდათ მისი უზნეობა (ამავე მიზეზით – რ.ჩ.) და სახლიდან გამოაგდეს. კარი ჩაუკეტეს.

არა და საცხოვრისში კერაა უმთავრესი კომპონენტი, რომლის გარშემოც ტრიალებს ყოველივე. იგია საცხოვრისის პირდაპირი სიმბოლო, მისი საწყისი. თუ კერა ჩაქრებოდა, ოჯახიც ქრებოდა. ის იყო მთავარი ცენტრი, რომლის ირგვლივაც ბრუნავდა მთელი „შინაური“ სამყარო“. ნაცარქექია კერის წმინდა ნაცარში ალბათ მაგიურ ნიშნებს ხატავდა. ქართლსა და კახეთში გამოსახულების გამომყვანის საქმიანობა მეტისმეტად საპატიოდ ითვლებოდა. ნაცარს დიდი საკრალური დანიშნულება ჰქონდა. მაგიურ გამოსახულებებს სწორედ ნაცარტუტეთი ასრულებდნენ. მაგიური მხატვრობის საშუალებით ადამიანები ცდილობდნენ გამოეწვით: სიუხვე, ნაყოფიერება, ცხოველთა და ფრინველთა გამრავლება. ე.ი.

ნაცარქექიამ მშვენივრად იცოდა, რას აკეთებდა. „ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ხანაში... განსაკუთრებული დანიშნულების ჩანს კერიის უკან, კედლის გასწვრივ გამართული შემაღლებაც“. ამ შემაღლების რიტუალურ და საკულტო დანიშნულებას ადასტურებს მისი კარნიზის შემკობა-მოხატვაც და ყოველდღიური ყოფისათვის უსარგებლო, უჩვეულო ფორმის ე.წ. „ნაცრის ნაძერწობები“. როგორც ირკვევა თითოეული ასეთი საცხოვრისი სახლი, ამავე დროს, შინაურ სამლოცველოსაც წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს შუა კერასთან დაკავშირებული ანთროპომორფული ქანდაკებების მსგავსი თოხის ზედადგარები, რომლებიც ამა თუ იმ კერპის მიერ კერის განაყოფერების აქტს წარმოადგენს. რადგან ამ სამოსახლოების ტერიტორიაზე დადასტურებული არ არის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი (არ ჩანს საკულტო ნაგებობებიც), გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კულტის მსახურება, სახელდობრ, საცხოვრებელ ნაგებობებში ხდებოდა. კერა ითვლებოდა სახლის ცენტრად, სადაც სრულდებოდა მრავალი სახის რელიგიური ცერემონიალი დაკავშირებული ასტრალური ნაყოფიერებისა და მიცვალებულის კელტთან.

დასახლებას სამლოცველო ალბათ მის გარეთ ჰქონდა, რომელიც მთელი სამოსახლოს იდეოლოგიური ერთიანობის სიმბოლო იყო; ცალკეულ საცხოვრისებში კი ოჯახები ატარებდნენ საკუთარი „ფუძის ანგელოზისადმი“ მიძღვნილ მსახურებას. „ფუძის ანგელოზი“ ოჯახის მფარველი ღვთაებაა, ნაყოფიერების, დოვლათის, ხვავის, ბარაქის მომნიჭებელი ღვთაება, რომელსაც შესთხოვენ წყალობას მის ფრთებქვეშ შეხიზნულ, მის წყალობა-მადლს შემყურე, ოჯახისათვის.

„შინ ადამიანს კეთილი ანგალოზი ჰყავს ჩასახლებული, რომელიც მფარველობს და ხელს უმართავს მას; გარეთ კი უკიდეგანო, ათასნაირი – კეთილითა და ბოროტით დასახლებული, ბოლომდე შეუცნობელი სამყაროა“.

სახლში, კერაზე ენთო წმინდა ცეცხლი, იდგა ოჯახის ერთობის გამომხატველი დედაბოძი, ინახებოდა სხვადასხვა კერპები. ფურტეს დე კულანჟის მიხედვით, ბერძენთა და რომაელთა ყოველ სახლში გამართული იყო საკურთხეველი, რომელშიც მუდმივად იყო წმინდა ნაცარი. ოჯახის მამა იყო ერთადერთი ქურუმი და არა სცნობდა სხვა იერარქიას; რელიგია ბატონობა არა ტაძარში, არამედ ოჯახში...

ყველა ოჯახს საკუთარი ღმერთი ჰყავდა.

კერაა ის ადგილი, სადაც დავანებულია, სადაც „გამოჩინებულია“ ოჯახის მთავარი ღვთაება – „ფუძის ანგელოზი“. კერაა დამაკავშირებელი ოჯახის წევრებისა და მფარველი ანგელოზისა, იგია შემაერთებელი ხიდი, მათ შორის ურთიერთკავშირის გაბმის საშუალება... კერაზე დანთებული ცეცხლი ოჯახის უკვდავებაა. საცხოვრებელ ნაგებობას, სახლს, საზოგადოდ, უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის, ინდივიდისა და, კერძოდ, ერთ ჭერქვეშ, ერთ კერასთან, ერთი „მფარველი ანგელოზის ფრთებქვეშ“ შემოკრებილი კოლექტივის ყოფითი შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

ხშირად „ნაცარქექიას“ ზღაპარში კერიას ნაცვლად ბუხარი გვხვდება, რომელსაც იგივე დატვირთვა აქვს, რაც კერას. კერიას ნაცვლად ბუხარი გაჩნდა მას შემდეგ, რაც განვითარების შემდეგ ეტაპზე დარბაზის ძველი სტრუქტურის შეცვლა გარდამავალი ეტაპით ქართლსა და კახეთში, საცხოვრებელი ფართის შემცირებით აღინიშნა. ეს, უპირველეს ყოვლისა, დიდი ოჯახის დაშლით იყო გამოწვეული.

აქედან გამომდინარე, შემცირდა შიდა სივრცე, შუა ცეცხლი კი ბუხარმა შეცვალა.

აიგო რა საცხოვრებელი, მას შემდეგ იქცა ჭერი ცის, ხოლო იატაკი – მიწის სიმბოლოდ; მას შემდეგ მიენიჭათ კედლებს ზღვარის ფუნქცია; მას შემდეგ იქცა „კერა უწმინდეს ადგილად; მას შემდეგ დაივანა დედაბოძში „ფუძის ანგელოზმა“.

სამშენებლო ტრადიციაში პ. ბუხრაშვილი გულისხმობს სამშენებლო მასალისა და ძირეული არქიტექტურული ფორმების (იატაკი – „ქვესკნელი“, კედლები და შიდა სივრცე – „სკნელი“, გადახურვა – „ზესკნელი„) ერთობლიობას, რაც თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება კონკრეტულ გარემო პირობებს და მასთან ადამიანის ერთგვარ, „ბიოცენოზში“ შესვლის შედეგად არის ჩამოყალიბებული.

„კერა“, „სახლი“, „ოჯახი“ ქართულ ენაში სინონიმებია. კერა ოჯახური კერპთმსახურების მთავარი ადგილია. გაჩნდა რა კერა, გაჩნდა საოჯახო ღვთისმსახურებაც. კერა და ოჯახური რელიგია – გენოთეიზმი თანატოლნი, თანასწორნი და თანაზიარნი არიან... უკვე ნეოლითის ხანიდან, როცა ჩნდება პირველი სისტემური დასახლებები. კავკასიაში უნდა ვივარაუდოთ ოჯახური რელიგიის ფორმირებაც... და დასრულებულ სახეს იძენს ენეოლითის ეპოქაში.

საცხოვრისმა ძირითადად გარდაქმნა ადამიანის ფსიქიკა, მისი სივრცული შეხედულებები, სოციალურ-ეკონომიკური პირობები. საცხოვრისმა ადამიანი გარკვეული კუთხით გამოაცალკევა გარემოს. სახლმა ადამიანი გამოჰყო კოსმოსისაგან, აღიმართა ქაოსსა და მას შორის და ამით შეიძინა ურთიერთდამაკავშირებლის თვისებები. ოდითგან საცხოვრისში იყო თავმოყრილი ოჯახური ყველაზე წმინდა რელიკვიები, საკრალური ფუნქციის მატარებელი სხვადასხვა ნივთები. მაგალითად, სახლიდან გაგდებულმა ნაცარქექიამ ოჯახიდან თან წაიღო ერთი გუდა ნაცარი, ახალი ყველი და სადგისი. მდინარის მეორე ნაპირს რომ მიადგა, დაინახა უშველებელი დევი. „რა ექნა, იფიქრა და ეს მოიგონა, აბა, გავივლი და მტვერს დავაყენებო. ნაცარქექიამ გუდას სადგისი უჩხვლიტა და რომ გაიარ-გამოიარა, საშინელი მტვერი დადგა. დევი გაოცდა, შეშინდა კიდეც; ქვა აიღო და გამოსძახა – აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო!

ნაცარქექიამ უცბად ახალი ყველი ამოიღო, თან დაიხარა, ვითომ ქვა აიღო, მაგრად მოუჭირა ხელი, წყალი თქრიალით გამოადინა და დევს შესძახა: – აბა, აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი, წყალს გამიყვანე, ფეხის დასველება არ მინდაო.

დევი მაშინვე გამოვიდა, ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა: – ოჰ, რა მსუბუქი ყოფილხარო?! – ეს იმიტომ, რომ ერთი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებული და თუ ხელი გავუშვი, მაშინ ვეღარც კი დამძრავო. – რაკი ეგრეა, აბა, გაუშვი ხელიო, – უთხრა დევმა. ნაცარქექიამ სადგისი (ჩხირი) ამოიღო, დევს კისერზე ჩაურჭო. დევმა საშინელი კივილი მორთო და სთხოვა ხელი ისევ ცისთვის მოეკიდა. როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა: – წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო“.

არა მარტო ნაცარქექიას შველის და ხელს უმართავს სახლიდან წამოღებული ნივთები, ასეა სხვა ზღაპრებშიც. მაგალითად, ზღაპარში „ოქროსტარიანი ცული“ ბოლოლა ძმას არაფერი ერგო ძმების გაყრის შემდეგ. ტყეში შეშის მოსაჭრელად მამა-პაპის დანატოვარი ცულით წავიდა და ხელიც მოემართა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცული დაღლილს წყალში ჩაუვარდა და ვეღარ იპოვა, წვეროსანმა კაცმა მდინარიდან ამოუღო ოქროსტარიანი ცული. ვაჟმა სხვისი ცული რომ იურა, ახლა ვერცხლისტარიანი მიანოდა, შემდეგ – სპილენძისტარიანი. ვაჟმა ყველაზე უარი რომ თქვა – ჩემი არ არისო, ბოლოს იმისიც ამოუღო და „სამი ცული აჩუქა ამ ბიჭს“. ზღაპარ „მძლეთამძლეშიც“ გაუმართლა ძმების მიერ დაჩაგრულ ჩოფანო ძმას, რომელმაც სახლიდან წამოიღო მამის დატოვებული ლეკური ხმალი და იქაურობას გაშორდა“. მოჯამაგირეობით ნაშოვნი ფულით, „ხმალს ქარქაში გაუკეთა, რკინაზე ოქროს ასოებით წააწერა „მძლეთამძლე“, გადაიკიდა მხარზე და საით მიდის, არ იცის. ეს რომ ნახეს, ცხრა ყაჩაღმა დაიძმობილა“. გაუმართლა ღორზე სანადიროდ წასულსაც; მოხერხებით მოკლა თავისი ხელმწიფის მტერი ხელმწიფის ფალავანი და ქვეყანა აწიოკებას გადაარჩინა. სამაგიეროდ მადლიერმა ხელმწიფემ იმავე დღეს დასწერა ჯვარი თავის ქალიშვილზე და ტახტიც დაულოცა. ეს ჩოფანო ხელმწიფე გახდა. მისი ამხანაგები ვეზირებად დაიყენა, მოიხმო ძმებიც და დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება.

ზღაპარში „ივანიკა და სიმონიკა“ სიმონიკას მხოლოდ ერთი თხა (ძროხა) არგუნეს და სახლიდან გაისტუმრეს. იმან კი თხა კლდეს (ასკილს) მიაბა, რომელიც შემდეგ გასამრჯელოს ვერ მიღების მიზეზით ჩამოანგრია (მოთხარა), საიდანაც ოქრო-ვერცხლით სავსე ქილა ჩამოვარდა. გამდიდრებულმა შემდეგ სხვა ხიფათებსაც გაუძლო (სახლის დაწვას, ცოლის მოკვლას) და გაგრძელა ცხოვრება ბედნიერად.

ნაცარქექია ურწმუნო რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ აღდგომა დღეს წირვაზე მიდის. წირვის შემდეგ დაბრუნებულს კი რძალმა კარი მაგრად ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა, მსგავსად ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოსლიდან გამობრუნებული ოჯახის უფროსისა, რომელიც სახლიდან უკან ვეღარ შევიდოდა, სანამ ოჯახის ნაყოფიერებასთან დაკავშირებით სათანადო დიალოგი არ გაიმართებოდა კარის ზღურბლზე ოჯახის უფროსსა და დიასახლისს შორის. ხაზს, შორისად ჩადებულ ნივთს და კედელს ერთურთის მსგავსი – შემომფარგვლელის, დანარჩენი სივრცისგან გამომცალკევებელის, შემომზღუდველის ფუნქცია ეკისრება. სივრცის „შიდა“ და „გარე“ სამყაროებად დაყოფა უძველეს დროში, კერძოდ კი იმ პერიოდში უნდა მომხდარიყო, როდესაც სოციალურმა თავისი სამეურნეო და საცხოვრებელი ტერიტორია დაიმკვიდრა. უნდა ვიფიქროთ, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ცნობიერებაში, სამყაროს ორ ძირითად ნაწილად სივრცისეული დაყოფის გაფორმება – „შინ“ და „გარე“ ცნებებად, ქრონოლოგიურად ქრისტემდე VI ათასწლეულის ბოლოსა და V ათასწლეულის დასაწყისს ემთხვევა.

ზვიად გამსახურდია: „(ნაცარქექია) სიზარმაცისა და ბაქიაობის განსახიერება კი არ არის, როგორც ზოგიერთ კალმოსანს ჰგონია, არამედ ჭკუისა და მოხერხებისა... ნაცარქექია ქართველი ოდისევსია, იგი ახერხებს ციკლოპის მოტყუებას და დამარცხებას. ოღონდ კარგი იქნებოდა, თუ მის შესახებ მსჯელობას განვავითარებთ და მასში მხოლოდ პოლიტიკურ მებრძოლს და დიპლომატს კი არ დავინახავთ, არამედ სულიერ პლანში მებრძოლს უნივერსალურ ბოროტებასთან. იგი მედიტატორია და მოაზროვნე, იგი ჭვრეტითი ნატურაა (ნაცარი აზრის სიმბოლოდ იშიფრება ყველა ზღაპარში). აქედანაა მისი გარეგანი პასიურობა.

ამ თვალსაზრისით იგი ზეეროვნული სახეა, ზოგადსაკაცობრიო სახე... ალბათ, ამიტომაც დაუკავშირა მღვდელმა გრიგოლ ფერაძემ ნაცარქექია წმინდა გიორგის სახეს".

სწორედ ამ პერიოდისა და გაგების პერსონაჟი ჩანს ჩვენი ნაცარქექია, იმ უდიდესი ფუნქციის მატარებელი, რასაც ოჯახის შინაური სამლოცველოს მფარველი და დამცველი ჰქვია. ის უფრთხილოდებოდა ოჯახის წმინდა ცეცხლს და ზრუნავდა ოჯახის ფუძის ანგელოზზე. მისი მისია იმდენად დიდი იყო და მნიშვნელოვანი ოჯახისათვის, რომ სწორედ ის ხდებოდა პასუხისმგებელი თავის თავზე აეღო ოჯახიდან გაგდებული „განტევების ვაცის“ ფუნქცია, ე.ი. თავის თავზე აეღო ოჯახის ცოდვები, წასულიყო „შინიდან“ „გარეთ“, ისე რომ არც კი იცოდა, სად მიდიოდა და მხოლოდ შემდეგ, მრავალ ჭირნახული და განახლებული დაბრუნებულიყო სახლში, რაც ოჯახის შემდგომი აღორძინებისათვის დიდი სიკეთის მომტანი და უკეთესი მომავლის საწინდარი იყო. ეს ტრადიცია მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული.

სახლიდან გაგდებული ნაცარქექია ბოლოს დევებთან მოხვდა. მას „დევის სახლი ძალიან მოეწონა“ – იმ დროის შესაფერისად ჰქონდათ გამართული.

დაინახა, ვეება კეცი ბუხარში იყო შედგმული. დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა, ხმიადისთვის ყურის გდება, არ დამწვარიყო.

ნაცარქექიას უნდოდა კეცი მიებრუნებინა... როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა და ნაცარქექია ქვეშ მოჰყვა. სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოაკლდათ, აიღეს დიდი კოკა და ნაცარქექიას უთხრეს: ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო... ნაცარქექიას ბარი აეღო ხელში და ქვევრს უტრიალებდა. ბოლოს მასპინძელმა დევმა სუფრასთან დაახველა და ნაცარქექია ჭერს მიეკრა... ჭერის კოჭს ეჭიდებოდა, გიჩვენებთ სეირსო.

შეშინებული დევები სახლიდან გაცვივდნენ და გაიფანტნენ. ე.ი. არც დევებს ჰქონდათ ურიგო ცხოვრება: მათი სახლი იმ დროის შესაბამისად იყო გამართული.

„ცენტრალურ ამიერკავკასიაში (თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველო), საცხოვრისის სამშენებლო ტრადიციის განვითარებაში, მოყოლებული ენეოლითის ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ჩათვლით, დაფიქსირებული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა ეტაპები გამოიყოფა. ერთ-ერთია ძელური შენობების სამშენებლო ტრადიცია (ქრისტემდე III ათასწლეულის II ნახევარი), რომლისთვისაც დამახასიათებელია სამშენებლო მასალად მასიური ძელებისა და რიყის „ხურდა“ ქვის გამოყენება, ნაგებობების ძელურივე გადახურვა როგორც ბანური, ასევე ორფერდა ტექნოლოგიით, თავხეების, კოჭების, კეხის, საყრდენი ბოძების გამოყენებით“.

უნდა ითქვას, დევების დამარცხება მხოლოდ ნაცარქექიას დამსახურება არ არის, მათ თვითონაც შეუწყვეს ხელი ამ საქმეს – არაერთხელ გამოიჩინეს რა გულგრილობა საკუთარი სახლ-კარისა და მო-

გაგრძელება გვ. 15

ზვიად გამსახურდია

აღდგომა

საფლავი თორმეტი ადლი,
სუდარა – თავთახ კრული,
გწყალობდეთ აღდგომის მადლი,
ანგელოსი მხიარული!
„თქვენ რომ მეუფე დაფლეთ,
აღსდგა, აქ არ გახისვენებს,
დღეიდან ბნელს ნათელი დაფლეთს,
განჰკურნავს ცოდვილთა სენებს“
უფალი ჯოჯოხეთს შთახდა,
იხსნა სულნი მართალთა,
ანგელოსნი დარჩნენ სახტად
ცა დასთმეს ფერგამკრთალთა,
და გარდამოხდნენ ქვეყნად
რათა შეეგებონ მწეს,
ადამს, ძეუფის სეხნას,
სასუფევლის მზეს.
რა შვებაა, რა ზარია,
აღსდგა ღმერთი სულმნათი,
დედამიწა ტაძარია,
ზეცა – მისი გუმბათი.
რა ზამთარი იდგა ქვეყნად,
ან რა სიმწრის გოდება,
აქ კი ზეცა გარდაგვეხსნა,
ედემი გველოდება.
ზეიმით და ზარით მოდის
წელიწადი წლეული,
აღარ გვმართებს გლოვა ლოდის,
წარწყმდა გველი წყეული.
შვება სუფევს კიდით კიდე,
ქვესკნელით ცის თაღამდი,
მზემ დახია ბნელის რიდე,
ისმის ლოცვა–ღაღადი.
რა შვებაა, რა ზარია
აღსდგა ღმერთი სულმნათი
დედამიწა ტაძარია
ზეცა მისი გუმბათი.
ჩოხჩხი რომ გ ზარავდათ ყველას,
და ცელი გაბასრული,
დაეძხო, განქარდა წყევლა,
ვარსკვლავეთს აღ ზევდა სული.
ოსანა ისმის დასთა
დიადობს სხივთა ფენა,
მას ქერუბიმთა დასტა
შეეგებება ზენა.
დასცა ქაოსი მძვინვარე,
დახსნა სიკვდილის მხარე,
აღსდგა სიკვდილში მღვიძარე,
ცის შეუმუსვრელი სახე.
სად ჯვარი მისი გებულა,
აღყვავებულა სხვა ხე,
ედემად დავანებულა
ანგელოსთ მეინახე!
დაივიწყეს აჩრდილთ მოთქმა
და სიკვდილის ჭალაკი,
განახლებულ კაცთა მოდგმას
ერგო საღვთო ქალაქი.
ვის წყალობა ზეცით თან სდევს
მსხვერპლის არდარიდებით,
ის აღდგომის შარავანდედს
შეემოსავს დიდებით!
რა შვებაა, რა ზარია
აღსდგა ღმერთი სულმნათი,
დედამიწა ტაძარია,
ზეცა – მისი გუმბათი.

(კრებულიდან „კოსმიური წირვა")

ილია ჭავჭავაძე: სააღდგომო წერილი

ქრისტე აღზდგა! აღზდგა მაცხოვარი კაცობრიობისა! მთელის ქვეყნის ქრისტიანობა ჰგალობს დიდებულს საგალობელს ქრისტეს აღზდეგისას. დიდი და პატარა სიხარულით ჰღაღადებს: „ქრისტე აღზდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. ქრისტიანობამ იცის — რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღზდგა ქრისტე და აღადგინა თვისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თვისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა.

რით მოგვანიჭა ცხოვრება მკვდრეთით აღდგომილმა ღმერთმა, ქვეყანაზედ მოვლინებულმა, ვითარცა ჭეშმარიტი ძე კაცისა? ძველის მოძღვრებისაგან განდიდებულს, გაპატიებულს ხორცს, რომელსაც მარტო „კბილი კბილისა წილ ჰშიოდა და თვალი თვალისა წილ“, მოკვდინებული ჰყვანდა სული, რომელიც მარტო ყოვლად მხსნელის სიყვარულის სხივითა ჰნათობს, ჰთბება, ჰყვავის, სცოცხლობს და სულდგმულობს. აი ეს მკვდარი სული აღზდგა მკვდრეთით ქრისტეს აღდგომითა. რა საცხოვარი ძალი იყო ესოდენ ძლიერი, რომ მკვდარი სული მკვდრეთით აღადგინა? ეს იყო და არის მარტო ერთი მცნება, რომელიც ფესვად გაედგა, საძირკვლად დაედვა მთელს მშვენიერს, დიდებულს, მართლადა ცხოვრების მომნიჭებელს მოძღვრებას ქრისტესას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

აი, მხსნელი კაცობრიობისა! აი, მაცხოვარი!.. ამას გარედ ადამიანს შველა არა აქვს, თუ უნდა, რომ კაცად, ღვთის სახედ და მსგავსებად დარჩეს. ამ ყოვლად მაცხოვარს, ყოვლად მხსნელს ფესვზედ ამოვიდა, გაიშალა, გადაჰფინა შტოები, აყვავდა მთელი იგი დიადი ხე ახალის ცხოვრებისა, რომელსაც ახალი აღთქმა, ქრისტიანობა ჰქვიან და რომელსაც ეს მცნება, როგორც მზე, ანათებს და ათბობს. ამ მცნებამ გააპო კაცობრიობის ცხოვრება ორ დიდ ნაწილად და შუა გაუტარა დიდი კვალი სამზღვრადა. კვალს იქით დარჩა მოძღვრება შურისძიებისა, სამაგიეროს გადახდისა, ჯავრისა და მრისხანებისა, და კვალს აქედ — მოძღვრება ურთიერთობისა, ურთიერთის სიყვარულისა, შენდობისა, მიტევებისა, მშვიდობისა შეწყნარებისა. იქ რისხვა და მსჯავრია, აქ მშვიდობის ყოფა და მიტევება!

„არა კაც კლა, არა იმრუშო, არა იპარო, და არა ცილი სწამო, არა გული გითქმიდეს არარაზედ, რაიც იყოს მოყვასისა შენისა“, — ამბობდა ძველი მოძღვრება ძველის ცხოვრებისა. რა არის ეს — ნუ მოჰკლავ, ნუ მოიპარავ, ნუ იმრუშებ, ნუ ცილს სწამებ, ნუ შეიშურვებ? ეს ის არის, რომ ნუ იქმ ბოროტსაო. მოვიდა ახალი აღთქმა, ახალი მოძღვრება ახალის ცხოვრებისა და გვეუბნევა: არამც თუ ნუ იქმ ბოროტსა, ჰქმენ კეთილიო. ნუ იქმ ბოროტსა მცნებაა ძველისა, ჰქმენ კეთილი, მცნებაა ახალისა და ამით განირჩევა ძველი აღთქმა ახალისაგან. დიდი მანძილია ბოროტის არაქმნისა და კეთილის ქმნის შორის. ერთმანეთს არასფერში არა ჰგვანან. ბოროტის არაქმნა იგია, რომ არ მიაყენო ვნება მოყვასსა, კეთილის ქმნა იგია, რომ სიკეთე მიანიჭო, სიკეთე უყო. საკმაო არ არის, რომ კაცი არ მოჰკლა, უნდა აცოცხლო კიდეც; საკმაო არ არის არა გამოსწირო რა, უნდა შესძინო კიდეც; საკმაო არ არის არა ცილი სწამო, უნდა მართალს მიუწყავდე კიდეც; საკმაო არ არის არა გული გითქმიდეს მოძმის კეთილისათვის, უნდა გიხაროდეს, მხიარულობდე კიდეც, უნდა შველოდე, ხელს უწყობდე; საკმაო არ არის არა გძულდეს მოძმე, უნდა გიყვარდეს კიდეც, საკმაო არ არის არყოფა ბოროტისა, უნდა კეთილის ყოფა; საკმაო არ არის ბოროტისათვის ხელ-ფეხი შეიკრა, უნდა სიკეთისათვის ხელი, ფეხი გაშალო, ამოქმედო.

ძველი აღთქმა ხორცის უვნებლობისათვის ფარი იყო, ახალი აღთქმა სულის აღდგომისათვის საცხოვარი ღონეა. ამიტომაც იქ კბილი კბილის წილ არის და თვალი თვალის წილ, ესე იგი ხორცი ხორცის წილ, აქ კი სიყვარული, შენდობა და მიტევება. ესე იგი, სულის დადება მოყვასისათვის. დიდმა მოძღვრებამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისამ გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოავლინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერობაზედ არაფერი არა ჰხეირობს, არაფერი არ მოდის, არ იზრდება, არა ჰყვავის, არა სცხოვრობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვენიჭა ცხოვრება, იმიტომ — რომ მკვდარ იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით.

აბა დაუკვირდით თვითონ ჟამს ქრისტეს აღზდეგის დღესასწაულისას, და საოცრად განსურათებულია ეს ძველისა და ახლის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბნელისა და ნათელის ერთმანეთისაგან გაყრა. თითქო იგავია, თითქო განგებ არის ასე მომხდარი, რომ თვალითაც დავინახოთ ის, რასაც გულითა ვგრძნობთ, გონებითა ვხედავთ. როდის მოდის დღესასწაული ქრისტეს აღზდეგისა? თითქმის პირველ ხანს გაზაფხულისას, ესე იგი, მაშინ, როცა ზამთრისაგან გაყინული, სუდარა-მოსილი, განძრცვნილი, უმწვანო, უყვავილო, უსიხარულო, უსიცოცხლო ბუნება სიცოცხლისათვის თვალს ახელს, იღვიძებს ხელახლად ამწვანებისათვის, აყვავებისათვის, ახალის ცხოვრებისათვის. თუ ზამთრისაგან კვდება ბუნება, გაზაფხულისაგან მკვდრეთით აღზდგება ხოლმე. იქ მიძინებული სიკვდილია ძველისა, აქ მკვდრეთით აღდგომილი, ახლად გამოღვიძებული სიცოცხლეა. თუ ზამთარი სიბერეა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობისა, აღდგომისა, სიცოცხლისა.

არამც თუ დრო წლისა, არამედ საათიც კი დღისა, როცა პირველად აღმოვიტყვით ხოლმე „ქრისტე აღზდგაო“. — ეს საათიც კი გვაშინებს, რის მომასწავებელია აღდგომა ქრისტესი: აღზდგა ქრისტე და ბნელი უნდა განშორდეს ნათელსა, ნათელმა უნდა იმეფოს, იხელმწიფოს. ეს ის საათია, როცა ღამე უკუიქცევა თვისის სიბნელითა და მის მაგიერ ცხოველმყოფელი დღე მოდის თვისის სინათლითა. ამოდის თუ არა ცაზედ ალიონი — ეს წინამორბედი განთიადისა და მტრედისფრად გარიჟრაჟდება გუმბათი ცისა, ზარი დღესასწაულისა გვიწვებს სადიდებლად და საგალობელად ქრისტეს აღზდეგისათვის, თითქო გვეუბნებოდეს: აღზდეგით ძილისაგან, მიდის ბნელი და მოვალს ნათელი. იხილეთ და გაიხარეთ! ეს ის საათია, როცა ღამის სიბნელე უთმობს ადგილს დღის სინათლესა, როგორც ძველის ცხოვრების ბნელმა დაუთმო ადგილი ახალის ნათელსა.

ცხოვრების მომნიჭებელ ქრისტეს აღზდეგის დღესასწაულს უკეთესი დრო ვერ შეერჩეოდა, თუ არა განთიადი გაზაფხულისა, ესე იგი, ის ხანი და საათი, როცა ცხოველმყოფელი სითბო სცვლის სიცივეს, ნათელი ბნელსა და მთელს ბუნებას აღიმილებს საცხოვარი ძალი ახლად აღორძინებისა, ახლად გაშლისა, ახლად აყვავებისა, ახლად ცხოვრებისა... მოძღვრება ქრისტესი იგივე განთიადი იყო, იგივე გაზაფხული კაცობრიობის ცხოვრებისათვის!

ივერია,
ტფილისი, 4 აპრილი, 1887 წელი
წყარო: https://matiane.wordpress.com/2016/04/30/ilia-chavchavadze-easter-editorial/

რომაული ლეგიონები საქართველოში

ძველი რომის გაძლიერება ძვ.წ. III საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისიდან იწყება, როდესაც მან დაიმორჩილა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები და გახდა ძლიერი სახელმწიფო, როგორც პოლიტიკურად ასევე ეკონომიკურად. ამის შემდგომ ის იწყებს აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნების დაპყრობაზე ფიქრს.

რომის საჯარისო ნაწილები საქართველოს ზღვისპირეთში (კოლხეთში) ძვ.წ. 65 წლიდან გამოჩნდნენ. ჩვენთვის უცნობია კოლხეთის სანაპიროზე რომაული სამხედრო ნაწილების განლაგების ზუსტი თარიღი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მეცნიერების გარკვეული ნაწილი ოქტავიანე ავგუსტუსის დროს ვარაუდობს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ რომს აღმოსავლეთ საზღვარზე მხოლოდ ოთხი ლეგიონი ჰყავდა დისლოცირებული, ეს საეჭვო უნდა იყოს. მკვლევართა ნაწილის აზრით, რომაული ლეგიონების ჩადგომა კოლხეთში უფრო მოგვიანებით, ან ნერონის მმართველობის დროს, ან მის შემდგომ, ვესპასიანეს პერიოდში უნდა მომხდარიყო.

წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი განლაგება კოლხეთის სანაპირო ზოლზე ნერონის მმართველობის დროიდან უნდა იწყებოდეს. ამ მოსაზრებას გვიმყარებს ნერონის პოლიტიკური კურსი, მან შეცვალა წინამორბედი იმპერატორების პოლიტიკა აღმოსავლეთთან დაკავშირებით და მათი ლიკვიდაციისკენ აიღო კურსი. ახ. წ. 57 წელს კაპადოკია-მცირე არმენიის საზღვარზე გადმოისროლეს XII და XV ლეგიონები. 60 წელს დაიმორჩილეს არმენია და 63 წელს გააუქმა პოლემონიდების სამეფო. ლეგიონების გადმოსროლასთან ერთად მათ ააშენეს რამოდენიმე სტრატეგიული პუნქტი და სასიმაგრო ნაგებობები. ამის შემდეგ ნერონს კოლხეთში ფართო ასპარეზი ეძლევა ფართომასშტაბიანი ოპერაციების საწარმოებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ რომ რომაული გარნიზონები კოლხეთის სანაპიროზე ახ.წ. 57-66 წწ. შორისაა დისლოცირებული. ყოველ შემთხვევაში ახ. წ. I საუკუნის დასასრულისათვის აფსაროსსა და სებასტოპოლისსში რომაული გარნიზონების ყოფნას ადასტურებს, როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური მასალებიც. ბიჭვინთაში აღმოჩენილია რომის ლეგიონების ყოფნის დამადასტურებელი ნივთები: ჯილდო-ნიშანი ანუ ფალერა-ჯილდო, ვერცხლის სამკლაური ღვთაება ფორტუნას გამოსახულებით, რომელსაც საჭე და სიუხვის ყანწი უპყრია ხელთ; გონიოსთან აღმოჩენილია ოქროს გარსაკრავი ლომისა და ჯიხვის ჭიდილის გამოსახულებით; კლდეეთში აღმოჩენილი მახვილის ტარზე გამოსახულია ღვთაება ვიქტორია და არწივი, რომელსაც ნისკარტით დიდების გვირგვინი უჭირავს. იმპერიის ეპოქაში ფალერებით აჯილდოვებდნენ არა მარტო ცალკეულ მეომრებსა და სამხედრო დანაყოფებს, არამედ პრორომაული ორიენტაციის ადგილობრივ მმართველებსაც. მაგალითად ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა სედოხეზების მეფეს ანიკეტის გადმოცემისათვის ჯილდო გადასცეს.

პონტო-კავკასიის სასაზღვრო თავდაცვითი სისტემა ნერონის პერიოდში ჩამოყალიბების პროცესში იყო. ამ მიმართულებით ნერონის დაწყებული საქმე ვესპასიანემ განაგრძო (ახ.წ. 69-79). მან 74-76 წლებში გარნიზონები განალაგა სირია პალესტინის ხაზზე, ეგვიპტესა და არაბეთში; ლეგიონური შენაერთები ჩაყენა, აგრეთვე, კომაგენაში, ჩრდილოეთ სირიის ქალაქებში - ზევგმასა და სურაში; მის დროს გარნიზონები ჩადგნენ ანკირასა და ევმენიაში, ხოლო სირიის ცნობილ ქალაქებში - პალმირაში, ბოსტრასა და ჰერასაში ციხესიმაგრეები აშენდა.

არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვესპასიანეს დროს თითქოს რომაული გარნიზონები იდგნენ არა მარტო აფსაროსსა და ფაზისში, არამედ მცხეთაშიც, რაც არ დასტურდება არქეოლოგიური მასალებით. თუმცა მცხეთაში აღმოჩენილია ახ.წ. 75 წლით დათარიღებული ვესპასიანეს წარწერა, რაც ადასტურებს რომაელთა მონაწილეობას მცხეთაში ჩატარებულ საფორტიფიკაციო სამუშაოებში. ვესპასიანეს წარწერაზე ვკითხულობთ: ,,თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა... იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანისა და ამაზასპის ძეს, კეისრის მეობარსა და რომაელთა მოყვარულ ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს“. ამ დროიდან ჩნდება იბერიასა და კოლხეთში რომაული ტიპის სამშენებლო და კერამიკული ნაწარმები.

ეჭვს არ იწვევს რომაელების დაბანაკება დარიალის ხეობაში. პლინიუსის ცნობით, აქ მდებარეობდა ციხესიმაგრე „Castellum Cumania“, რომელიც მომთაბარეების გასაკონტროლებლად იყო აგებული. მკვლევართა თვალსაზრისით, იგი დარიალის ციხეს უნდა წარმოადგენდეს. ასეა თუ ისე, ერთი რამ აშკარაა, ვესპასიანეს დროიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს და მისი როლიც მნიშვნელოვნად ჩანს გაზრდილი. ამ სისტემის ციხესიმაგრეთა ქსელი იმპერატორ ადრიანეს დავალებით, 131 წელს საგანგებოდ მოინახულა და მათი თავდაცვისუნარიანობა შეამოწმა კაპადოკიის ლეგატმა ფლავიუს არიანემ. არიანეს, როგორც ეს მისი ,,პერიპლუსიდან“ ჩანს, პირველად აფსაროსის ციხესიმაგრე და აქ მდგომი გარნიზონის საბრძოლო მზადყოფნა შეუმოწმებია. არიანეს ცნობით, ,,აფსაროსში... დგას ხუთი სპეირა““, რაც ხუთ კოჰორტად ანუ ნახევარლეგიონად მიაჩნდათ. მკვლევართა უმრავლესობას კი აფსაროსის რომაული შენაერთები ლეგიონურ გარნიზონებად მიაჩნიათ და არა ნახევარლეგიონებად.

გონიოს ტერიტორიაზე ნაპოვნია რომაული სამხედრო შენაერთის არსებობის დამადასტურებელი მასალა: ტვიფრი, სამხედრო შენაერთების დამღები, რომლებზეც ვკითხულობთ: 1) COH (ors) II ; 2) (C) OH (ors) II . მეცნიერების აზრით, დამღები ასე იშიფრება _ Cohors II Claudiana. ამ მოსაზრებას, რომ რომაული ლეგიონები ახ.წ. II საუკუნეში გონიოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, ამყარებს ფაიუმში (ეგვიპტე) ნაპოვნი პაპირუსი, სადაც მოხსენიებულია ამ ლეგიონის ლეგიონერი მარციალი: Mar]tialis vet (eranus)… [Omnium […].i Apsaro de [gen]re eius M Va[l]er […] Coh. II Claudiana […} etc., რომლის კოჰორტაც ახ.წ. II საუკუნეში კაპადოკიაშია განლაგებული დამხმარე კოჰორტის სახით. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ კოჰორტის ფუნქციაში არ შედიოდა ომის დროს მანევრები. ფაიუმში აღმოჩენილმა პაპირუსის ფრაგმენტმა ნათელი მოჰფინა ამ საკითხს და ნათელი გახადა, რომ აფსაროსში დისოცირებული სამხედრო შენაერთები იყვნენ დამხმარე კოჰორტები, ნახევარლეგიონები და არა სრული ლეგიონები.

როგორც ცნობილია, II ს-ში ლეგიონის ძირითადი ერთეული _ კოფორტა 600 მეომრისაგან შედგებოდა. ანუ გამოდის, რომ აფსაროსში 3000 ჯარისკაცი იდგა. სამხედრო ძალის ამგვარი კონცენტრაცია კი საკმაოდ დიდია ნებისმიერი ციხესიმაგრისათვის. მისი ზომებიდან გამომდინარე (195x245მ) ფიზიკურად ვერ დაეტეოდა აფსაროსის ციხესიმაგრეში 3000 ჯარისკაცი. მას მხოლოდ 1200-დან 1400-მდე ჯარისკაცის დატევა შეეძლო. ასევე ძალიან საინტერესო ცნობას გვაწვდის აბელარის წარწერა ქ. ნოლას (იტალია) მახლობლად, რომლისგანაც ვგებულობთ, რომ მარციო პრეტორიო ცელერი დაუჯილდოვებია ტრაიანეს პართიის წინააღმდეგ (113-117) ბრძოლაში მონაწილეობის გამო, რომელიც პონტოს აფსაროსში განლაგებული რომის დამხმარე ნაწილების სარდლის მოვალეობას ასრულებდა.

შემდეგი ციხესიმაგრე, რომელიც არიანემ მოინახულა იყო სებასტოპოლისი. არიანე წერს: ,,მოხერხდა ჯარისკაცებისათვის ხელფასის მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვალიერება, მხედრების გავარჯიშება ცხენზე შეხტომაში, ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება, კედლებისა და თხრილების შემოვლა“. წყაროზე დაყრდნობით ვხვდებით, რომ სებასტოპოლისში მდგარი რაზმი ძირითადად კავალერიის ნაწილებისგან შედგებოდა და სებასტოპოლისის სიმაგრის ფართობით თუ ვიმსჯელებთ (0,6-0,8 ჰა) მისი გარნიზონი 200 ჯარისკაცს არ აღემატებოდა. როგორც არიანეს ცნობებიდან ირკვევა, ახ.წ. II ს. პირველ ნახევარში რომაელთა ბატონობის ძირითადი საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში - სებასტოპოლისში ყოფილა.

რომაელების აქტიურობა იბერიის ხელისუფალთ რასაკვირველია აწუხებდა, ამის გამო ფარსმან II-მ გახსნა ჩრდილოეთის გადმოსასვლელები და ალან-ოსები შეუსია კაპადოკიას, არმენიასა და ალბანეთს. შემდგონ ანტონინუს პიუსი აგვარებს ფარსმან II-სთან ურთიერთობას და მას კაპიტოლიუმში აძლევს მსხვერპლშეწირვის რიტუალის ჩატარების უფლებას. ასევე მარსის მოედანზე უდგამს ძეგლს და უფართოებს საზღვრებს.

რომაული სამხედრო შენაერთების პიტიუნტში ჩადგომის დროსთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ლათინური წარწერა პიტიუნტის კასტელიუმიდან. ეს წარწერა მიეკუთვნება GL ჯგუფს, რომელიც საკმაოდ იშვიათად გვხვდება ლათინურში. ამ წარწერის მიხედვით პიტიუნტში რომაული გარნიზონი 135-152 წწ. შორის უნდა ჩამდგარიყო. საინტერესოა სატალაში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი და კრამიტები, რომელიც წარმოადგენს ბიჭვინთის დამღების ზუსტ ანალოგს, რომელიც ეკუთვნის XV ლეგიონს. ეჭვს არ იწვევს, რომ კოლხეთის ზღვისპირა პუნქტების გარნიზონები კაპადოკია-მცირე არმენიის საზღვარზე დაბანაკებული XII და XV ლეგიონების შენაერთებით იქნებოდნენ დაკომპლექტებული.

ახ.წ. III ს. შუა ხანებიდან რომს გოთების წინააღმდეგ უწევს ბრძოლა. 252-267 წწ. გოთებმა მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთის სანაპიროზე საზღვაო ლაშქრობათა მთელი სერია მოაწყვეს. გოთების ლაშქრობათა ტალღამ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ცენტრებსაც გადაუარა, მათ ორჯერ დალაშქრეს ეს ტერიტორიები. პირველად მათ 255-256 წწ. მოაწყვეს თავდასხმა, ხოლო მეორე ლაშქრობა 257 წელს უნდა მომხდარიყო. საბოლოო ჯამში 270 წელს ნაისასთან რომაელებმა შეძლეს გოთების საბოლოოდ დამარცხება და დუნაის იქით გადარეკეს.

გოთების შემოსევის მერე აღდგა სებასტოპოლის-აფსაროს-პიტიუნტის ციხესიმაგრეთა ქსელი, რომელთა ფუნქციონირება თითქმის მთელი IV ს. მანძილზე გრძელდებოდა. IV ს-ში აღმავლობის გზაზეა სებასტოპოლისი და აფსაროსი. მკვლევართა გარკვეული ჯგუფი კატეგორიულად უარყოფს IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში რომაული გარნიზონების ყოფნას პიტიუნტში. ამ ინფორმაციის ბრმად მიღება არადამაჯერებელია, თუმცა ისიც აღსანიშნავია რომ III-IV სს-სთან შედარებით შემცირებულია კერამიკული ნაწარმისა და მონეტების რაოდენობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მათ შორს ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობა გაწყდა. ამ თემაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის და თან ადასტურებს რომაული გარნიზონების ყოფნას პიტიუნტში ბიზანტიელი ავტორი - თეოდორიტე კვირელი (393-457 წწ.), რომელიც მოგვითხრობს იოანე ოქროპირის პიტიუნტში გადასახლებასთან დაკავშირებით: ,,პიტიუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოში და რომაელთა სამფლობელოისი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“.

ამრიგად, კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომის ლეგიონების (XII (Legio Fulminata) და XV (Legio Apollinaris)...) ცალკეული ვექსილაციების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც წერილობითი წყაროებით, ისე არქეოლოგიური მასალებით დასტურდება

გოგა ჭანტურია

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

(სტატიის ავტორს წყაროები მითითებული აქვს - რედ.).

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

იზა ჭკადუა

***

მე იის ფერი დამაკლდა,
როცა ვხატავდი იებს,
სული ზეცამდი ამაღლდა,
რადგან დაღლამდი ვსდიე..
ჟამი გადიქცა არაკად,
სულ არ იცვლიდა იერს,
(ჩამოიარე ამაყად,
გული მატკინე ძლიერ).
უნაყოფობა ტრფობისა,
ბოლოს უღმერთოდ მამხელს,
ლხინი ნაღველმა მოსრისა,
ვწუხ, და..
ბრალი აქვს ნაღველს.

***

ქარის ჩურჩული არ ესმის ნიავს,
სიოს არ ესმის ხმაური ქარის,
დახშულ სარკმელში კარია ღია,
ოთახში ბზინავს ფერები მთვარის.
დრო ვით ანაცვლებს ღამეს და დილას,
როგორ ათანხმებს, როდის, ან, რა გზით,
შენამულია მზერის წინ მინა,
და მაინც მოსჩანს მზე, -
- მზეზე ნაზი.
გამიბევრდება სიამე დღეთა,
შორია ვიცი სამოთხის კარი,
მე, სულგახსნილი მოვედი შენთან,
რომ მომეხადა სინდისთან ვალი.

***

მე ახლა წავალ, წავალ და შემდგომ,
დაგიბრუნდები უცხო და შორი,
როცა ხმაურში დუმილი მეტობს,
როცა დუმილით სავსეა ჭორი.
დაგიბრუნდები წუთით და წამით,
არ გამომრჩება ვუმზირო ზეცას,
სავსე ხარ დღეო, უმანკო გვამით
ცრემლი ხარ მძიმე...
სხვა ცრემლზე მეტად.
წავალ და ვიცი, სულ უბრად, შემდგომ,
შევახებ თითებს შორეულ მწვერვალს,
როგორი დიდი ყოფილხარ, ღმერთო!..
მე კი სულ ანცი,
სიცელქეს ვბედავ..
მე მართლა წავალ, წავალ და შემდგომ,
დაგიბრუნდები უცხო და შორი,
როცა ხმაურში დუმილი მეტობს,
როცა დუმილით სავსეა ჭორი.

***

მე რა ვიცოდი...
ამ ფიქრის შემწეს,
თუ, მზის ფარდაგებს მიქსოვდა ბედი,
ო, რახანია ზღვის ნაპირს ვეძებ
და ვმღერი, ვმღერი ვით თეთრი გედი.
მე რა ვიცოდი...
მთის ამაყ მეფეს,
დაგქონდა ჩუმად ლექსი და
ბწკარი,
რომ გზებს და ხიდებს
მომავალს შენსკენ,
სულ უგზო-უკვლოდ ფანტავდა ქარი.
მე რა ვიცოდი...
მერე და მერე...
გამიქრებოდა გრძნობა და კვალი,
(რამდენი დილა ვიხმე და ვფერე,
რამდენი სული ჩავბერე ყვავილს)...
მე რა ვიცოდი...
ჩამავალ ღელეს,
გადაიტანდა თოვლი და ზვავი,
რატომღაც მერე...
და მაინც მერე...
იყო თანხმობა,
იყო უარიც...

***

არც ისე მყარად,
როგორც უწინ,
ჯიხვთ საფრენ კლდეზე,
არც ისე სუსტად,
როგორც მთაზე ჩამავალ მთვარის,
არც ისე ცუდად,
არ მივლია, შენდობის შემდეგ,
არც ისე ახლოს არ მყოლიხარ,
როგორაც მყავდი.
და ახლა როცა
გაზაფხულის აისით ვხარობ,
და ახლა როცა...
(უნდობლობას დაუდგეს თვალი),
შეფარვით ისევ...
მთელი ქვეყნის განსაცდელს განდობ,
სამარის კარად,
შემინახე ეს ცოდვა-ბრალი.

***

მზე არც შორს ჩანს და არც ახლოს მოდის,
(ო, ეს სიგიჟე სწყინდება ქალაქს),
როდის იყო რომ არ ახლდი ლოდინს,
ლოდინს, რომელიც სულ გმობდა ღალატს...
როდის გენდე ან, არ გენდე როდის,
მიყვარდი დიდი დუმილის ფასად,
და წვიმებს, ქარებს, გრიგალებს, ოდით
ვიგერიებდი რისხვით და ნაზად...
დასრულდა თითქოს ის უცხო დრამა,
(რატომღაც ისევ გარდასულს ვეტრფი),
თუ ახლაც სხვათა ტკივილით დავალ,
რა მინდა მქონდეს ამაზე მეტი...
მზე არც შორს ჩანს და არც ახლოს მოდის,
(ო, ეს სიგიჟე სწყინდება ქალაქს),
როდის იყო რომ არ ახლდი ლოდინს,
ლოდინს, რომელიც არ ცნობდა ღალატს...

***

უწინ და... ახლა...
რა უცხოდ ბარდნის,
ფიფქი არა...
ხსოვნა და დარდი,
ვერასგზით მართობს,
უკვე გაზრდილს ფიფქი და თოვა,
მე ანგელოზთან,
როგორც ბავშვი საცქერლად გყავდით „
და მზეს ველოდი,
როგორც დედას ,, ნეტავ თუ მოვა“ „
და ისევ ისე.. .
ჩუმი ელდით ველოდი რასმეს,
ოცნებებს ცხადად,
სტუმრებს სახლში... მდელოზე წოლას,
ზეცაზე ნისლებს,
მე რომ ციურს ვეძახდი კაცებს,
და სულ ველოდი...
მეგონა რომ ერთ დღესაც მოვა.
დამწუხრდა შემდგომ,
უცოდველი ბავშვური ჟინი,
აკრიფა მინდვრის ყვავილები
და გაჰყვა შარას,
ის ჩია გოგო,
უჩინარიც, ხილულიც, მშვიდიც,
დღეს უშფოთველი სინანულით
ჟამთა სვლას მალავს.

◇◇◇

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

თამარ ბერიშვილი

გეორგიადა!

დარბაზიდან იყურება საქართველო,
ქართული ჰანგებს ისრაელში ელიან.
თუმც ქართული მშობლიური ენაა და
ისრაელში ამ ენაზე მღერიან.
ქართველი ვარ ამაყობენ ზეიმობენ,
ერთმანეთთან სიყვარულზე გალობენ,
იხსენებენ წარსულს დიად სამშობლოზე,
და ამოსვლას ზოგჯერ გულშიც ნანობენ.
როგორ მიყვარს ეს ერი და ეს ქვეყანა.
ოცდაექვსი საუკუნე რა არის?
კიდევ ერთი ოცდა ექვსი ალბათ ვფიქრობ,
ორი ერის სიყვარულის ზღვა არის.
ამ ზეიმსაც საქარველოს სახელი აქვს
ორი ერის სიყვარულზე გალობა
დაგელოცოთ განვლილ და გასავლელი
უფლის რჩეულთ გქონდეთ დიდი წყალობა!
ერთობის და სიყვარულის მესაჭე ხარ
ლეგენდა ხარ მეგობრობის და ტრფობის
დაილოცოს ორი ერის სიყვარული
და ერთობა სიყვარულის ნაყოფი!!!!
2017 გეორგიადა ეილათში.

მოდის გაზაფხული

მოდის გაზაფხული ნაზად ფეხაკრეფით,
თითქოს არც კი უნდა ზამთრის ჩანაცვლება,
ია- ენძელებით ხელდამშვენებული,
ბუნება იღვიძებს და ჩუმად გვეფერება.
მოდის გაზაფხული კვირტთა აფეთქება
ცის და დედამიწის უჩინარი ტრფობა,
ბუნების ზეიმი, ყვავილთა სურნელი,
ვარდის და ბულბულის საიდუმლო ლტოლვა.
მოდის გაზაფხული, მოდის იმედები,
იასამნის სურნელს ვერ აკავებს მინა,
სარკმელს შემოხსნის და სულში ჩაგიძვრება,
ლექსად ამღერდება სული პაწაწინა.
მოდის გაზაფხული... მოდის გაზაფხული...

გიორგი გელაშვილი



***

უცებ უჩინარ ხელებით
გაიხსნა ზეცის კარები
და ლურჯ სარკეში, ჩემგან რომ
იყო შორს, მიუკარები,
ჩარჩოდ რომ ერტყა მნათობნი
ანთებულ კელაპტარებით,
ანაზდად კვლავ შენ გამოჩნდი
ჩემსკენ მოწვდილი მკლავებით,
ჩაღიმებული ტუჩებით,
ჩაღამებული თვალებით.
მომიახლოვდი და შენი,
გულში ჩაკვრა რომ მენება,
უეცრად გაქრა ჩვენება,
ო, გაქრა ტურფა ჩვენება,
ოცნებამ ღამეც გატეხა,
დაწყებულიყო თენება...

ანდერძი შეილიშვილებს

მიყვარხართ, სულზე უტკბესნო,
თვით სიცოცხლეზე მეტად,
ჩემო პატარა გიორგი,
ჩემო პაწია ბექა!
საფიცარ ხატად სამშობლო
თქვენ მიგეჩნიოთ ერთხმად,
იყავით სახელოვანნი
და პირნათელი ღმერთთან.
პატივი ეცით წინაპრებს,
ვისი ჯილაგის თქვენ ხართ.
გახდით სიკეთის ქომაგნი,
ბოროტს დაატყდით მეხად.
ნამუსის ქუდი გეხუროთ
სიმართლე გეცვათ ბეგთრად.
დაგმეთ ომები, მშვიდობის
ჯარისკაცები გერქვათ.
შრომა გიყვარდეთ, არ გარგებთ
იოლი გზების ჩხრეკა,
ოფლით ნაშოვნი გერჩივნოთ
მაცდური განძის ქექვას.
ლუკმა სხვას გაუნაწილეთ,-
ცოტა წაგიყვანთ ბევრთან,
ძლიერს არ დაეჩაგვრინოთ,
იყავით მუდამ ერთად.
თქვენზე სუსტსა და უძლურსაც
არ დააჭიროთ ჩექმა,
ანგელოზს დაუძმობილდით,
ნუ მიენდობით ეშმაკს.
თუ შეასრულებთ, რასაც გთხოვთ,
ნანატრ ყოფაში შეხვალთ,
რითაც დღეს გმოძღვრავთ, იმასვე
უცვლელად გეტყვით მე ხვალ.
ეს არის ჩემი ანდერძი,
თქვენთვის რომ მსურდა მეთქვა,
ჩემო პატარა გიორგი,
ჩემო პაწია ბექა!

1998 წ.

მხატვრის ტკივილი...

მენატრება აფხაზეთი
მამის ნაფეხურები,
ზღვას რომ ვხედავ მაგონდება
აფხაზეთის პალმები,
მენატრება ის ადგილი
გმირთა ნატერფალები.
აფხაზეთო, როდის გნახავ,
ნეტა სად ხარ,
ნეტა, რად მემალები,
დამიღონდა გული მე და
დამიმძიმდა თვალები,
გმირთა გმინვა მესმის ღამით
ვერსად ვერ ვემალები,
-დავუბრუნოთ საქართველოს გმირთა
ნაიარევი -
საქართველოვ, საქართველოვ,
შენ კი გენაცვალები!

***

ველრასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემს მშობელ
მხარეს, მიწას მადლიანს .
თუ ჩემი მხარე არ შევიყვარე, ვერ შევიყვარებ
მზიანს სხვა მხარეს,
ველარ წარმოვთქვამ სიტყვას მადლიანს,
ვერც შემიყვარებს ჩემი ქვეყანა
აღარცა მეტყვის სიტყვას მადლიანს .
მე გულით მიყვარს დედა სამშობლო,
სამაჩაბლო თუ აფხაზეთია .
შენ გამიქარწყლე დარდი გულისა,
მე შევეცდები ჩემო ქვეყანავ,
რომ ჩამოგბანო გულზედ წყლულია,
თქვენ გაგახაროთ, მეც გავიხარო, ამაზე მეტი
რა დამრჩენია,
რწმენით, იმედით და სიყვარულით სიცოცხლე
შენთვის მომირთმევია.

ემზარ ცირდავა

უ კ რ ა ი ნ ა

წამებული წამებულთა ოჯახიდან

დამპყრობელი და განსაკუთრებით რუსი დამპყრობელი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს დაპყრობილი ერების საუკეთესო შვილების, ვინც მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდა რუსს, ცილისწამებას, სახელის გატეხვას, დემონიზაციას.

წარმოაჩენდა რა, ამათუ იმ ერის ჭეშმარიტად საუკეთესო შვილებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებად, ავანტურისტებად, ჯალათებად. ასე იყო საქართველოსთან მიმართებაშიც... გავიხსენოთ ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი დასი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები...

ამჯერად რუსეთის დეზინფორმაციის მანქანა მიადგა უკრაინის თავისუფლებას შეწირულ შვილებს.

მათი უპირველესი სამიზნე სტეპან ბანდერაა, რომლის სიძულვილი დღესაც ვერ მოუნელებია მოსკოვიის იმპერიას და მის მესვეურებს; წარმოაჩენენ მას, როგორც ფაშისტს, რუსების, პოლონელების, ებრაელების გენოციდის მოთავესა და შემოქმედს. მაგრამ, აი, რას მეტყველებს გერმანიის უშიშროების სამსახურის 1942 წლის 23 ოქტომბრის მოხსენება: გერმანელები იმყოფებიან სტალინგრადის მისადგომებთან. უშიშროების სამსახურის მთავარ საიმპერიო სამმართველოში მოდის საიდუმლო მოხსენება: „ბანდერას ორგანიზაციამ დაიკავა აშკარად მტრული პოზიცია გერმანიასთან მიმართებაში და იყენებს ყოველგვარ საშუალებებს, შეიარაღებული ბრძოლის ჩათვლით, უკრაინის დამოუკიდებლობის აღსადგენად“.

კამათებში ხშირად გაიგონებთ იმას, რომ УПА - უკრაინის ამბოხებულთა არმია გასამართლდა ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ, ხოლო მისი ჰეროიზაციის მცდელობა წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვას. ამის პასუხი კი ცალსახაა: ნიურნბერგის ტრიბუნალის დასკვნებში ОУН-УПА არ მოიხსენიება!

ქვეყნის აქტიური საზოგადოების მიერ სტეპან ბანდერა აღიარებულია „დიდ უკრაინელად“, მაგრამ ეს სრულად არ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც ახლოს მივიდა მათთან ის, ვინც პატივისცემით, ან პირიქით, ვინც მტრულად ეკიდება ამ პიროვნებას.

ის განეკუთვნება იმ სიმბოლოებს, რომლებზედაც ბევრს საუბრობენ, მაგრამ ერთობ ცოტა იციან მასზე. მისი სახელით ხშირად სპეკულირებენ, როგორც ერთნი, ასევე მეორენი.

და მაინც ვინ იყო სტეპან ბანდერა?

წამებული წამებულთა ოჯახიდან!

სტეპან ანდრეის ძე ბანდერა (ბანდერა - თანამედროვე გაგებით ნიშნავს დროშას) დაიბადა 1909 წლის 1 იანვარს სოფელ ძველ უგრინივში, გალიციის კალუშის მაზრაში, რომელიც იმ დროისათვის შედიოდა ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში, ბერძნულ-კათოლიკური წესის ეკლესიის მღვდლის ოჯახში. მასთან ერთად ოჯახში კიდევ სამი ძმა და სამი და იზრდებოდა.

საეკლესიო კალენდრით წმინდა წამებული ბონიფატი მოიხსენიება 1 იანვარს. საინტერესოა, რომ სახელი სტეპანი, რომელიც დაარქვეს ბანდერათა მოდგმის ახალშობილს, ეჭვგარეშეა დაარქვეს პირველი ქრისტიანი მოწამის არქიდიაკონ სტეფანეს ხსოვნისათვის. მოახდინა ამან გავლენა თუა არა სტეპან ბანდერაზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ მას დაებედა მოწამებრივი ბედისწერა და ეს ფაქტი სათუო აღარაა. სტეპან ბანდერა არ გამხდარა ერთადერთი წამებული თავისი ოჯახიდან. მისი ღვიძლი ძმები ოლექსა და ვასილი დაიღუპნენ აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში. ოლექსა ბანდერა იყო პოლიტეკონომიური მეცნიერების დოქტორი და დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა იტალიაში. მისმა სიკვდილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და გახდა მიზეზი იმისა, რომ უკრაინელებმა განსაზღვრულ ფორმებში მიიღეს შეღავათები ოსვენციმში ყოფნისას. მეორე ძმა ბოდგანი დაიღუპა ნაცისტების ხელით, რომელიც იმყოფებოდა უკრაინის სამხრეთში უკრაინის ნაციონალისტთა ორგანიზაციის (ОУН) დაჯგუფებებში. თუ ბანდერას სამი ძმა შეეწირა ნაცისტებს, დებს ხვედრად ერგო ბოლშევიკები. მარტამ, ვლადიმირამ და ოქსანამ იწვნიეს ხანგრძლივი გადასახლების წლები, რომლის დროსაც ისინი მრავალჯერ ჩამოჰყავდათ მოსკოვში, მოითხოვდნენ რა მათგან დაეგმოთ ძმა, რისთვისაც კეთილდღეობას ჰპირდებოდნენ, მაგრამ დები ყოველთვის გადასახლებაში ბრუნდებოდნენ, არ სურდათ რა სტალინის რეჟიმთან თანამშრომლობა.

წამებული შვილების მამამ გაიზიარა თავისი შვილების ბედი. მამამ ანდრეი ბანდერამ გამოიარა პირველი ომი, როგორც უკრაინის გალიციის არმიის კაპელანმა და მეორე მსოფლიო ომის დროს გახდა ბოლშევიკების მეთვალყურეობის სამიზნე.

თავის დროზე სტეფან ბანდერა ორჯერ შეეცადა გაეყვანა მამა და დები უკრაინიდან, მაგრამ მამა ანდრეი-შუამავლის პირით შეუთვალა: „ლტოლვილობაზე უარს ვამბობ, ხალხის მიტოვება არ შემიძლია...“. ბოლშევიკებმა 1941 წლის 10 ივლისს მღვდელი გადაიყვანეს კიევში და დაკითხვის შემდეგ დახვრიტეს.

მამა ბანდერას სახელი შეტანილია რწმენისთვის წამებულთა სიაში, რომელთა მიმართ ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიაში დაწყებულია ბეატიფიკაციის პროცესი.

იაროსლავა ბანდერას (ოპარივსკი), სტეპანის მეუღლის ოჯახმა განიცადა, აგრეთვე დევნა და გაანადგურეს. პირველად მამა - მღვდელი დაიღუპა უკრაინის გალიიციის არმიაში კაპელანად უკრაინა-პოლონეთის ომის დროს. მეორე მსოფლიო ომის დროს კი აწამეს დედა და ძმა.

„ალამი“

ესპანურიდან თარგმნით „bandera“ ნიშნავს ალამს ან ბაირაღს, მაგრამ რევოლუციიის სიმბოლოდ ბანდერა გახდა არა გვარის გამო, არამედ ნების უძლეველი ძალით.

ს.ბანდერა ავტობიოგრაფიაში წერდა, რომ იზრდებოდა სახლში, სადაც მეუფებდა უკრაინული მამულიშვილობის ატმოსფერო, ცოცხალი ეროვნულ-კულტურული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესებისა. სტეპანის მამა ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას უკრაინული სახელმწიფოს აღორძინებაში 1918-1920 წლებში. ის იყო არჩეული დასავლეთ უკრაინის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატად.

1920 წლისთვის დასავლეთ უკრაინა დაიპყრო პოლონეთმა, ამ დროისათვის სტეფანე სწავლობდა გიმნაზიაში, სწავლება მიმდინარეობდა პოლონეთის ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ ზოგიერთი მასწავლებელი ახერხებდა სავალდებულო პროგრამაში ჩაერთო უკრაინული ეროვნული შინაარსი. ამასთანავე არსებობდა მოსწავლეთა ეროვნული არალეგალური წრეები, რომლებიც კრებდნენ სახსრებს უკრაინული პერიოდული გამოცემებისათვის. მეოთხე კლასიდანვე ბანდერა დადიოდა გიმნაზიის არალეგალურ ორგანიზაციაში.

გალიციის ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდებში მოქმედებდნენ სხვადასხვა ლეგალური, ნახევრად ლეგალური და არალეგალური ორგანიზაციები, რომელნიც თავიანთ მიზნად ისახავდნენ უკრაინის ეროვნული ინტერესების დაცვას. 1920 წელს პრაღაში ოფიცერთა ჯგუფმა დაარსა „უკრაინის სამხედრო ორგანიზაცია“ (УВО), რომლის მიზანიც იყო პოლონურ ოკუპაციასთან ბრძოლა.

УВО-ს პატრონაჟის ქვეშ იმყოფებოდნენ პატრიოტული ახალგაზრდული ორგანიზაციები. УВО-ს წევრი სტეპან ბანდერა გახდა 1928 წელს. 1929 წელს უკრაინულმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა УВО-ს მონაწილეობით ჩაატარეს გაერთიანებული კონგრესი, რომელზედაც დაარსდა უკრაინის ნაციონალისტთა ორგანიზაცია ОУН, რომელშიც გაწევრიანდა ბანდერაც. მოგვიანებით, 1932 წელს მოხდა ОУН-სა და УВО-ს გაერთიანება.

მიუხედევად იმისა, რომ პოლონეთმა დაიპყრო დასავლეთ უკრაინა, მისი ხელისუფლების ლეგიტიმურობა დასავლეთ უკრაინის მიწებზე გადაუჭრელი რჩებოდა ანტანტის ქვეყნების მხრიდან. ეს საკითხი გახდა დასავლეთის ქვეყნების პრეტენზიის საბაბი პოლონეთის მიმართ, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისისა.

აღმოსავლეთ გალიციის უკრაინული უმრავლესობა უარს ამბობდა პოლონეთის ხელისუფლების ქვეშევრდომობაზე. ბოიკოტი გამოეცხადა 1921 წლის მოსახლეობის აღწერას, 1922 წლის პოლონეთის სეიმის არჩევნებს. 1930 წლისათვის ვითარება გამწვავდა. უკრაინული მოსახლეობის დაუმორჩილებლობის საპასუხოდ პოლონეთის მთავრობა შეუდგა მოსახლეობის „პაციფიკაციის“ ფართომაშტაბიან ოპერაციას, ახლანდელი ტერმინოლოგიით აღმოსავლეთ გალიციის ტერიტორიის „გაწმენდას“. 1934 წელს ბერიოზე კუტუზოვსკში შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკი, რომელშიც იმყოფებოდა დაახლოებით 2 ათასი პოლიტიკური პატიმარი, უმეტესად უკრაინელებით. ერთი წლის შემდეგ პოლონეთმა უარი განაცხადა თავის ვალდებულებებზე ერთა ლიგის მიმართ ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მხრივ. პერიოდულად იყო მცდელობა კომპრომისის გამონახვისა, მაგრამ მათ არ მოუტანიათ არსებითი შედეგები.

1934 წელს გახორციელდა თავდასხმა პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ბრონისლავ პარაცკიზე, რომლის შედეგადაც ის დაიღუპა. ტერაქტში მონაწილეობა მიიღო ს. ბანდერამ. პარაცკიზე თავდასხმის მომზადებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს ბანდერა ასთერთმეტ სხვა თანამონაწილესთან ერთად და 1936 წელს გაასამართლეს ვარშავის საოლქო სასამართლოს მიერ. სტეპან ბანდერას მიესაჯა სიკვდილით დასჯა. პოლონეთის სეიმის მიერ გამოცხადებული ამნისტიით სიკვდილით დასჯა შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით.

ვარშავასა და ლვოვში გამართული საჩვენებელი სასამართლოები ОУН-ს საქმეზე, „ბანდერასა და ამხანაგების საქმე“, უნდა გამხდარიყო პოლონეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ოპონენტების განადგურების მაგალითი, მაგრამ ბანდერას პროცესი იქცა უკრაინული ნაციონალიზმის ტრიუმფად. მისი გამოსვლა სასამართლოზე გადაბეჭდეს პოლონურმა და საზღვარგარეთულმა საინფორმაციო საშუალებებმა და პროცესი გადაიქცა კომიკურ მომენტად. მაგალითად, როდესაც ბანდერა შეჰყავდათ სასამართლო დარბაზში, განსასჯელები ბანდერას ხვდებოდნენ შეძახილებით „დიდება უკრაინას!“, რაც იწვევდა მოსამართლეებთან ერთად დამსწრე საზოგადოების დაბნეულობას და დარბაზი ფეხზე ამდგარი ხვდებოდა ОУН ხელმძღვანელს.

სხვათაშორის, პოლონეთში სიტყვები „უკრაინა“ და „უკრაინელი“ აკრძალული იყო. მათ ნაცვლად იწერებოდა „Малопольска всходня" (восточная Малопольша) და „русин" - აღმოსავლურ სლავური ხალხი, მცხოვრები უკრაინაში, აღმოსავლეთ სლოვაკეთში, სერბეთის ვოევოდინაში, პოლონეთის სამხრეთ აღმოსავლეთში, უნგრეთსა და ჩრდილო- დასავლეთ რუმინეთში. ისტორიკოსების დიდი ნაწილის აზრით, დღევანდელმა რუსებმა სწორედ მათი ეთნონიმი მიითვისეს.

1936 წლის 26 ივნისს, როცა ლვოვის პროცესზე ბანდერა იძლეოდა ჩვენებას, დარბაზში მის გამოსვლას ყურადღებით უსმენდა მოსკოველი დიპლომატი სვეტნიალა. რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის ბრძოლის მიზნებისა და მეთოდების ახსნისას ბანდერა ამბობდა: „ОУН იმიტომ გამოდის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომ ბოლშევიზმი - ეს არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც მოსკოვმა დაამონა უკრაინელი ერი, მოსპო უკრაინული სახელმწიფოებრიობა...

ფიზიკური განადგურების მეთოდებით ბოლშევიზმი ებრძვის აღმოსავლეთ უკრაინის მიწებზე უკრაინელ ხალხს, კერძოდ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიწისქვეშეთებში დახვრეტებით, შიმშილით მილიონობით ადამიანის განადგურებით და ციმბირში მუდმივი გადასახლებებით... ბოლშევიკები იყენებენ ფიზიკურ მეთოდებს, ამიტომაც ჩვენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ვიყენებთ იმავე მეთოდებს“.

ბანდერა იმყოფებოდა მკაცრი რეჟიმის ციხეში. პოლონეთში გერმანიის შეჭრის შემდეგ, ქალაქში, სადაც იყო ციხე, იბომბებოდა. 1939 წლის 13 სექტემბერს, როცა პოლონეთის ჯარების მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა, ციხის დაცვა მიმოიფანტა. სტეპან ბანდერა გამოუშვეს ერთადგილიანი კამერიდან გათავისუფლებულმა უკრაინელმა პატიმრებმა.

კონოვალცოვის დაღუპვა როტერდამში საბჭოთა აგენტის პაველ სუდოპლატოვის მიერ იქცა უკრაინის ეროვნული მოძრაობის მძიმე დანაკარგად. მის მემკვიდრედ იქცა უახლოესი თანამებრძოლი პოლკოვნიკი ანდრეი მელნიკი - ერთობ განათლებული ადამიანი, თავშეკავებული და ამტანი.

მისი მომხრეების ფრაქციამ, ისარგებლეს იმით, რომ მათი მომხრეების უმრავლესობა იმყოფებოდა ციხეში, 1939 წლის აგვისტოს კონფერენციაზე რომში ანდრეი მელნიკი გამოაცხადა ОУН-ის ხელმძღვანელად. შემდგომმა მოვლენებმა უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის მიიღეს დრამატული შედეგები.

გათავისუფლებული ბანდერა ჩავიდა ლვოვში. მის ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე ლვოვი დაიკავეს საბჭოთა ჯარებმა. თავიდანვე იქ იგი იმყოფებოდა უსაფრთხოდ. მალე მან მიიღო მიწვევა კრაკოვიდან ОУН-ის შემდეგი გეგმების შესათანხმებლად. მას მოუწია საბჭოთა და გერმანიის სადემარკაციო ხაზის არალეგალურად გადაკვეთა.

კრაკოვისა და ვენის შეკრებების შემდეგ, ბანდერა გაგზავნილ იქნა რომში მელნიკოვთან მოსალაპარაკებლად. მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა, ხელმძღვანელობა ყოვნდებოდა. უთანხმოების სია - საორგანიზაციო და პოლიტიკური, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრილიყო მელნიკოვთან მოლაპარაკებებით, საკმაოდ ვრცელი იყო.

ОУН-ის წევრთა უკმაყოფილება იატაკქვეშა ხელმძღვანელობის მიმართ კრიტიკულ წერტილს უახლოვდებოდა. ამას გარდა, მელნიკის მომხრეების მიმართ იყო ეჭვი გამცემლობაში, რამეთუ გალიციასა და ვოლინში დაპატიმრებები უმეტესწილად შეეხო ბანდერას მომხრეებს.

უმთავრესი განხეთქილება იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიაში, ბანდერა თავის თანამოაზრეებით მიიჩნევდნენ, ОУН-ს დაემყარებინა კონტაქტები გერმანული კოალიციიის ქვეყნებთან, ასევე დასავლეთის მოკავშირე ქვეყნებთან, სხვა რომელიმე დაჯგუფებებთან დაახლოების გარეშე. აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ საკუთარი ძალები, რამდენადაც უკრაინის დამოუკიდებლობით არც არვინ იყო დაინტერესებული. მელნიკის ფრაქცია მიიჩნევდა, რომ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა უშედეგო იყო, მაგრამ დასავლეთის ქვეყნები უკრაინის დამოუკიდებლობით არ იყვნენ დაინტერესებულები, რაც ჯერ კიდევ ოციან წლებშიც გამოჩნდა; გერმანიამ მაშინ აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა. ამიტომ აუცილებელი იყო, რომ აქცენტი უნდა გაეკეთებინათ გერმანიაზე. მელნიკოველებს მიაჩნდათ, რომ არ შეიძლებოდა შეიარაღებული იატაკქვეშეთის შექმნა, რამეთუ ეს გამოინვევდა გერმანიის ხელისუფლების გაღიზიანებას და რეპრესიებს მათი მხრიდან, რაიც არ მოუტანდა დივიდენდებს არც პოლიტიკოსებსა და არც სამხედროებს. ვერ იქნა რა მოლაპარაკებების გზით კომპრომისის მიღწევა, ორთავე დაჯგუფებამ თავისი თავი გამოაცხადა ОУН-ის კანონიერ ხელმძღვანელად.

1940 წლის თებერვალში, ბანდერას ფრაქციამ კრაკოვში, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდობა შედიოდა და ОУН-ში უმრავლესობას შეადგენდა, ჩაატარა კონფერენცია, რომელმაც უარყო რომის კონფერენციის გადაწყვეტილებები და თავის ლიდერად აირჩია სტეპან ბანდერა. ამ სახით გაფორმდა განხეთქილება ОУН-ში - ОУНბ(ანდერა) ანუ ОУН-რ(ევოლუციური) და ОУНმ(ელნიკისა). შემდგომში ფრაქ-

→

ციებს შორის ანტაგონიზმმა მიაღწია იმ ზღვარს, რომ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ არცთუ იშვიათად ისეთი გააფრთებით იბრძოდნენ, როგორადაც უკრაინის დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ.

გერმანიის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ОУН-თან იყო წინააღმდეგობრივი: კანარისის სამსახური (Abwehr- სამხედრო დაზვერვა) აუცილებლად თვლიდა თანამშრომლობას უკრაინელ ნაციონალისტებთან, ნაცისტური პარტიული ხელმძღვანელობა ბორმანის მეთაურობით არ თვლიდა ОУН-ს სერიოზულ პოლიტიკურ ფაქტორად, ამიტომ უარყო ნებისმიერი თანამშრომლობა მასთან. ისარგებლა რა ამით, ОУН-მ შეძლო შეექმნა უკრაინული სამხედრო დანაყოფები „უკრაინელ ნაციონალისტთა ლეგიონი“ 600 მებრძოლით, „ნახტიგალი“ და „როლანდი“, რომელიც მეტწილად დაკომპლექტებული იყო პრობანდერული ორიენტაციის უკრაინელებისაგან. გერმანელებს განზრახული ჰქონდათ მათი გამოყენება გარკვეული მიზნებისთვის, ბანდერა კი იმედოვნებდა, რომ ეს დაჯგუფებები გახდებოდა მომავალში უკრაინის არმიის ხერხემალი.

ამ დროისათვის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის თანახმად საბჭოთა კავშირში შესულ დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე გაიშალა მასობრივი რეპრესიები. დაპატიმრებულ იქნენ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აქტივისტები, მრავალი მათგანი ჩამოახრჩვეს. გახორციელდა, სამკვიდრო ადგილებიდან, უკრაინელი მოსახლეობის ოთხი მასობრივი დეპორტაცია. იხსნებოდა ახალი ციხეები, სადაც ამყოფებდნენ ათეულათასობით პატიმარს.

მამა, ანდრეი ბანდერა ორი ქალიშვილით, მარტა და ოქსანა, დააპატიმრეს 1941 წლის 23 მაისს. გამომძიებლის კითხვაზე პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, მამა ანდრეიმ უპასუხა: „ჩემი შეხედულებებით ვარ უკრაინელი ნაციონალისტი, მაგრამ არა შოვინისტი. ერთადერთ სწორ სახელმწიფოებრივ წყობად უკრაინელებისათვის მიმაჩნია ერთიანი და დამოუკიდებელი უკრაინა“. 8 ივლისს კიევში საღამოს დახურულ სამხედრო ტრიბუნალის სხდომაზე გამოტანილ იქნა სასიკვდილო განაჩენი. განაჩენში იყო ნათქვამი, რომ ამის გასაჩივრება შეიძლებოდა ხუთ დღეში განაჩენის ხელში გადაცემის დღიდან, მაგრამ ანდრეი ბანდერა დახვრიტეს 10 ივლისს.

მარტა და ოქსანა, სასამართლოს გარეშე, ეტაპით გაგზავნეს კრასნოიარსკის მხარეში სამუდამო გასახლებით. მწარე სამსალის ფიალა არ იცლებოდა მესამე დის ვლადიმირასთვისაც. ის, ხუთი შვილის დედა დაუპატიმრეს თავის ქმართან თეოდორ დავიდიუკთან ერთად 1946 წელს. მას მიესაჯა 10 წლის სამუშაო კატორღა. მუშაობდა კრასნოიარსკის საკონცენტრაციო ბანაკებში. გადარჩა, მოიხადა სრული სასჯელი, დაუმატეს ყარაგანდაში ჩასახლება, შემდეგ ნება დართეს ბავშვებთან ერთად უკრაინაში დაბრუნებისა.

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერულმა გერმანიამ დაარღვია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი და თავს ესხმის საბჭოთა კავშირს. უკვე 1941 წლის 30 ივნისს ლეგიონი „ნახტიგალი“, რომან შუხევიჩის მეთაურობით შედის ლვოვში, ხელთ იგდებს ქალაქის სტრატეგიულ ობიექტებსა და იმავე დღეს ხდება „უკრაინის სახელმწიფოს აღორძინების აქტის“ გამოცხადება. შეიქმნა უკრაინის მთავრობა 15 მინისტრის შემადგენლობით იაროსლავ სტეცკოს, ს.ბანდერას უახლოესი თანამებრძოლის მეთაურობით.

საზეიმო კრებას ესწრებოდა Abwehr-ის ოფიცერი, რომელიც მეთვალყურეობდა ОУН-ის წევრებს. მან განმარტა, რომ კრება უკანონოა, რადგან მიმდინარეობს ომი და პოლიტიკური მოღვაწეობა აკრძალულია. უკრაინელებმა უნდა იშრომონ და დაემორჩილონ წესრიგს, დამყარებულს საოკუფაციო ხელისუფალთა მიერ. თავისი გამოსვლა დაასრულა ტრადიციული შეძახილით:

ჰაილ ჰიტლერ!

მაშინ წარმოდგა იაროსლავ სტეცკი და შესძახა:

— Хай живе, Степан Бандера! - გაუმარჯოს სტეპან ბანდერას!

რასაც დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა. გერმანელმა ოფიცრებმა წამსვე დატოვეს კრება.

ამას გარდა, ფრონტს კვალდაკვალ მიჰყვებოდა 7-12 პატრიოტი, რომლებიც ართმევდნენ გერმანელებს ინიციატივას და ადგილებზე აარსებდნენ უკრაინის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

ბანდერა შეცდა გერმანელებთან მიმართებაში. ჰიტლერი გაცოფებული იყო ბანდერას თვითნებობით. ის არ საჭიროებდა „უკრაინელ მოკავშირეებს“. დამოუკიდებელი უკრაინის შექმნა არ შედიოდა მის გეგმებში. ამ ნაყოფიერ მიწებზე მას განზრახული ჰქონდა გერმანელი კოლონისტების განსახლება.

ლვოვში ბანდერელების აქციას სწრაფადვე მოჰყვა გერმანული ხელისუფლების რეაქცია. 5 ივლისს კრაკოვში დააპატიმრეს ბანდერა, ცხრაში კი ლვოვში ი. სტეცკო. ბერლინში გადაყვანილ ბანდერას აუხსნეს, რომ გერმანელები უკრაინაში არ შესულან, როგორც განმათავისუფლებლები, არამედ დამპყრობლებად და მოსთხოვეს აღორძინების აქტის სახალხოდ უარყოფა. ვერ მიაღწიეს რა თანხმობას, ბანდერა ჩააგდეს ციხეში, წლინახევრის შემდეგ კი გადაიყვანეს ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ის 1957 წლის 27 აგვისტომდე იმყოფებოდა.

1941 წლის შემოდგომით კიევში მელნიკოველები შეეცადნენ უკრაინის მთავრობის ფორმირებას. მაგრამ ეს მცდელობაც სასტიკად იქნა აღკვეთილი. დაპატიმრებულ და განადგურებული იქნა 44 კაცი, მათ შორის 35 წლის უკრაინელი პოეტესა ელენა ტელიგა, უკრაინის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი.

1941 წლის შემოდგომით დანაწევრებული უკრაინული რაზმები გაერთიანდნენ პარტიზანულ შენაერთში „Полесская сечь"-ში. გერმანელთა ნაცისტური ტერორის გამძაფრების გამო უკრაინაში გაიშალა პარტიზანული რაზმები. 1942 წლის შემოდგომით ბანდერელთა ОУН-ს ინიციატივით მოხდა ყველა პარტიზანული დაჯგუფების გაერთიანება უკრაინის ამბოხებულთა არმიაში (УПА) ბატალიონ „ნახტიგალის“ მეთაურის უმაღლესი ოფიცრის რომან შუხევიჩის მეთაურობით. 1943-1944 წლებში УПА-ს რაოდენობამ მიაღწია 100.000 მეომარს და ის აკონტროლებდა ვოლინს, პოლესიეს და გალიშჩინას. მის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლების რაზმები, ქართველების, აზერბაიჯანლების, ყაზახების და სხვა, სულ 15 რაზმი. УПА აწარმოებდა ბრძოლებს არა მარტო ნაცისტური და სამჭოთა ჯარების წინააღმდეგ, არამედ წითელ პარტიზანებთანაც ვოლინის, პოლესიის, გალიჩიშნისა და ხოლმიშჩინის ტერიტორიაზე. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა პოლონეთის კრაიოვის არმიასთან.

1944 წლის გაზაფხულამდე საბჭოთა არმიისა და НКВД-ს მეთაურობა ცდილობდა გამოეხატა სიმპატია უკრაინის ეროვნული მოძრაობისადმი, მაგრამ უკრაინის ტერიტორიიდან გერმანული ჯარების გარეკვისთანავე საბჭოთა პროპაგანდამ დაიწყო ОУН-ს ჰიტლერერებთან გაიგივების პროპაგანდა. ამ დროიდან ОУН-УПА-სათვის იწყება ბრძოლის ახალი ეტაპი - საბჭოთა არმიასთან ბრძოლა. ეს ომი გაგრძელდა თითქმის 10 წელი, 1955 წლამდის.

ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოსვლის შემდეგ ბანდერამ ვერ მოახერხა უკრაინაში ჩასვლა. იგი დაკავებული იყო რა ОУН-ის საქმეებით. ორგანიზაციის ცენტრალური ორგანოები იმყოფებოდნენ დასავლეთ გერმანიაში. ОУН-ის ხელმძღვანელობის სხდომაზე ბანდერა აირჩიეს ხელმძღვანელთა ბიუროში, რომელშიც ის კურირებდა ОУН-ის საზღვარგარეთულ ნაწილებს.

1946 წლის თებერვალში ლონდონში გამართულ გაერთიანებული ერების გენერალურ ანსამბლეის სესიაზე გამოსვლისას უკრაინის სსრ-ს სახელით პოეტი მიკოლა ბაჟანი ითხოვდა დასავლეთის ქვეყნებისაგან დევნილობაში მყოფი უკრაინელი პოლიტიკოსების დიდი რაოდენობით გადაცემას, უპირველესად კი სტეპან ბანდერასი.

1947 წლის კონფერენციაზე სტეპან ბანდერა არჩეულ იქნა მთელი უკრაინის ორგანიზაციის ხელმძღვანელად. არჩევისას მან თქვა:“ მადლობთ! ვიღებ სასიკვდილო განაჩენს“. ამავე დროს ბანდერას სწამდა უფლის განსაკუთრებული ზრუნვა მასზე. ომის შემდგომ ბანდერას ოჯახი აღმოჩნდა საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. ნათესავები იძულებული იყვნენ მოგონილი გვარებით დამალვოდნენ საბჭოთა საოკუპაციო ხელმძღვენელობას და КГБ-ს აგენტებს. გარკვეულ დროს ოჯახი ცხოვრობდა ტყეში განცალკავებულ სახლში, ელექტროობის გარეშე. აუტანელ პირობებში უწევდა ექვსი წლის ნატალიას ექვსი კილომეტრით დაშორებულ სკოლაში სიარული. ოჯახი შიმშილობდა, ბავშვები იზრდებოდნენ დაავადებულნი.

1948-1950 წლებში ისინი გამოგონილი გვარებით ცხოვრობდნენ ლტოლვილთა ბანაკში. მამასთან შეხვედრები ისე იშვიათი იყო, რომ ბავშვებს ის კიდეც ავიწყდებოდათ. 50-იანი წლების დასაწყისში ოჯახი დასახლდა პატარა სოფელ ბრაითბრუნში. აქ სტეფანე ხშირად აკითხავდა ოჯახს, თითქმის ყოველდღე. 1954 წელს ოჯახი გადავიდა მიუნხენში, სადაც უკვე ცხოვრობდა სტეპანი.

მიუხედავად ОУН-ის უსაფრთხოების სამსახურის ძლიერი კონსპირაციული ღონისძიებებისა, მან აღმოაჩინა ხელმძღვანელის განადგურების ხუთი მცდელობა. წარმატებული გახდა მხოლოდ მეექვსე.

1959 წლის 15 ოქტომბერს სტეპანმა თავისი ბინის სადარბაზოდან გაუშვა დაცვა. კიბეზე მას შეხვდა ადამიანი, რომელიც ბანდერას უკვე ენახა ეკლესიაში. სპეციალური პისტოლეტიდან მან სტეპანს ესროლა ციანიდის კალიუმის ხსნარი. ბანდერა დაეცა. სტეფან ბანდერა დაასაფლავეს 20 ოქტომბერს მიუნხენის ვალდფრიდჰოფის დიდ სასაფლაოზე.

მკვლელი აღმოჩნდა КГБ-ს აგენტი უკრაინელი ბოგდან სტაშინსკი. მალე მას КГБ-ს თავმჯდომარემ შეპელინმა პირადად გადასცა „საბრძოლო დიდების ორდენი“. ამას გარდა სტაშინსკიმ მიიღო უფლება დაქორწინებულიყო გერმანელზე აღმოსავლეთ გერმანიიდან. ბერლინში გამართული ქორწინების შემდეგ სტაშინსკი ცოლთან ერთად გაიგზავნა მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად. ცოლთან საოჯახო საუბრების მოსმენამ უფროსობას მისცა მიზეზი ეჭვი მიეტანა სტაშინსკიზე საბჭოთა რეჟიმის მიმართ არალოიალური დამოკიდებულების გამო. ის გარიცხეს სკოლიდან და აუკრძალეს მოსკოვის დატოვება.

სტაშინსკის ცოლს მოახლოებული მშობიარობის გამო 1961 წელს ნება დართეს გამგზავრებულიყო აღმოსავლეთ ბერლინში. 1962 წლის დასაწყისში აცნობეს ბავშვის გარდაცვალების შესახებ. შვილის დასაფლავების გამო სტაშინსკის ნება დართეს აღმოსავლეთ ბერლინში ხანმოკლე გამგზავრებისა. მათზედ მიღებულ იქნა მეთვალყურეობის გაძლიერებული ზომები. დაკრძალვიდან ერთი დღით ადრე, ბერლინის კედლის აშენების დაწყებამდე, სტაშინსკიმ ცოლთან ერთად შეძლო დასავლეთ ბერლინში გაქცევა. იქ მან მიმართა ამერიკის წარმომადგენლობას, სადაც აღიარა სტეპან ბანდერას მკვლელობა, აგრეთვე სტეპანის მკვლელობამდე ОУН-ის აქტივისტის პროფესორ ლ. რებეტის ორი წლის წინანდელი მკვლელობა. გაჩაღდა საერთაშორისო სკანდალი, რის გამოც კომპარტიის ყრილობაზე სსრკ-მ ოფიციალურად უარი თქვა საერთაშორისო ტერორიზმის პოლიტიკაზე. სტაშინსკიმ სასამართლოზე მისცა ჩვენება, რომ ის მოქმედებდა სსრკ-ს ხელმძღვანელობის მითითებით. 1962 წლის 19 ოქტომბერს ქალაქ კარსრუეში გამართულმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: 8 წელი მკაცრი რეჟიმის ციხეში.

სტეპან ბანდერას ქალიშვილმა თავისი გამოსვლა სასამართლო სხდომაზე დაასრულა შემდეგი სიტყვებით: „ჩემი დაუვიწყარი მამა ჩვენ გვზრდიდა უფლისა და უკრაინის სიყვარულით. ის ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო და დაიღუპა, ის შეეწირა ღმერთსის რწმენასა და დამოუკიდებელ თავისუფალ უკრაინას - მთელი კაცობრიობის თავისუფლებას. ჩემი ცხონებული მამა, რომელიც განასახიერებდა ამ უდიდეს იდეალს, დარჩება მეგზურ ვარსკვლავად მთელს ჩემს ცხოვრებაში, ჩემი დედმამიშვილებისა და უკრაინის ახალგაზრდობის ცხოვრებაში“.

საბჭოთა ისტორიული კონცეფციის ფორმატში ბანდერა განიხილება როგორც კოლაბორაციონისტი, დამნაშავე და საკუთარი ხალხის გამყიდველი, მის მომხრეებს კი უთანაბრებენ ფაშისტებს, რომელთა წინააღმდეგაც გმირულად იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფო;

1991 წელს სსრკ-ს დაშლისა და უკრაინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე წარმოიშვა საბჭოთა მსოფლმხედველობისაგან კარდინალურად განსხვავებული ხედვა სტეპან ბანდერას ფიგურისადმი. ამას გარდა მეოცე საუკუნეში უკრაინელი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლა განუყოფლად არის მის სახელთან დაკავშირებული.

ცხოვრების უკანასკნელ 15 წელიწადში სტეფან ბანდერამ გამოაქვეყნა თეორიული მუსაობის დიდი რაოდენობის შრომები. ამ სტატიებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა ჩვენი დროისთვის. „დამოუკიდებელი“ უკრაინის დღევანდელი მშენებლების ჩრდილოელ მეზობლებთან ჩახუტებისას მისი სიტყვები სტატიიდან: „Слово к украинским националистам-революционерам за границей" ("Визвольний шлях".—Лондон.—1948.—№№ 10,11,12):

„მთელი უკრაინის პოლიტიკის უმთავრეს მიზანს და უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ერთიანი უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა ბოლშევიკური ოკუპაციის ლიკვიდაციის გზით და რუსეთის იმპერიის გახლეჩვა დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებად. მხოლოდ მაშინლა გახდება შესაძლებელი ამ თვითმყოფადი ეროვნული სახელმწიფოების გაერთიანება ბლოკებში ან კავშირებში გეოპოლიტიკური, სამეურნეო, თავდაცვითი და კულტურული ინტერესების მიხედვით ზემოთ წარმოდგენილ საფუძვლებზე. სსრკ-ს გარდაქმნის ევოლუციური კონცეფციით ან სსრკ-ს გადაქცევა თავისუფალ სახელმწიფოთა კავშირად, მაგრამ იმავე შემადგენლობით გაერთიანებულნი, რუსეთის უპირატესობით ან ცენტრალური მდგომარეობით - ასეთი კონცეპციები ეწინააღმდეგებიან უკრაინის გათავისუფლების იდეას, რომლებიც საბოლოოდ უნდა ამოიძირკვოს უკრაინის პოლიტიკიდან. უკრაინელ ხალხს შეუძლია თავისუფალი სახელმწიფოს მიღწევა მხოლოდ ბრძოლითა და შრომით. საერთაშორისო მდგომარეობის სასიკეთოდ განვითარება შეძლებს მნიშვნელოვნად დაეხმაროს ჩვენი გამათავისუფლებელი ბრძოლის განვრცობასა და წარმატებებს, მაგრამ მას ძალუძს მხოლოდ ითამაშოს ხელშემწყობი როლი და ერთობ სასარგებლო როლიც. უკრაინელი ხალხის აქტიური ბრძოლის გარეშე საუკეთესო ხელსაყრელ ვითარებისასაც კი არასოდეს მოგვეცემა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მხოლოდ შეცვლის ერთ დამონებას მეორეთი. რუსეთი თავისი ღრმად ფესვგადგმული, მაგრამ თანამედროვე ეპოქისათვის ზედმიწევნით გამოწრთობილი დამპყრობლური იმპერიალიზმით. რუსეთი ყოველ ვითარებაში, ყოველ მდგომარეობაში, ყოველი ძალით, თავისივე გამხეცებით იბრძოლებს უკრაინისთვის, რათა დაიჭიროს ის თავისი იმპერიის შემადგენლობაში ან ხელახლა დაამონოს. როგორც განთავისუფლება, აგრეთვე უკრაინის თვითმყოფადობის დაცვა, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დაეყრდნოს საკუთარ უკრაინულ ძალებს, საკუთარ ბრძოლასა და გამუდმებულ მზადყოფნას თავდაცვისათვის“. - დიახ, მართალი და გონიერი ადამიანები ხშირად ერთგვარ წინასწარმეტყველებადაც გვევლინებიან! როგორ ეხმიანება და ნათლად წარმოაჩენს დღევანდელი უკრაინის, და არა მარტო უკრაინის ვითარებას სტეპან ბანდერას ეს სიტყვები! ჩვენ, ქართველებმაც ყურად უნდა ვიღოთ ამ დიდი მამულიშვილის ეს შეგონება!

უკრაინულ საზოგადოებაში კი დღესაც იმართება რთული კამათი ამ თემაზე. განსაკუთრებით ის 2004 წლის მერე გამწვავდა, როდესაც უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ სტეპან ბანდერას მიანიჭა უკრაინის გმირის წოდება, რომელიც შემდგომ, 2010 წელს დონეცკის საოლქო ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ იქნა გაუქმებული (ოხ, ეს დონეცკი, მეხუთე კოლონის ბუდე!).

ის ფაქტი, რომ ტელეარხ ინტერის ინტენსიურ პროექტში „დიდი უკრაინელები“ ბანდერამ დაიკავა მესამე ადგილი, იაროსლავ ბრძენისა და ნიკოლაი ამოსოვის შემდეგ, მეტყველებს უკრაინელებს შორის მის მაღალ ავტორიტეტზე.

ცალსახაა მხოლოდ ერთი რამ: ყოველ დამოუკიდებელ ნაციას აქვს უფლება თავიანთ გმირებზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის არ აღიქმებიან დადებითად სხვა ერის წარმომადგენლებში.

ლივერპულ ლოუდის ფეშენებლური ქუჩის N200-ში, თითქმის ლონდონის ცენტრში, სტეპან ბანდერას მუზეუმში ინახება უკრაინელი მამულიშვილების მეთაურის პირადი ნივთები, ტანსაცმელი სისხლის კვალით, სიკვდილისდროინდელი ნიღაბი. მუზეუმი ისეა მოწყობილი, რომ მასში შეღწევა მხოლოდ შენობის შიგნიდანაა შესაძლებელი. დადგება დრო - ამ მუზეუმის ექსპონანტები გადატანილ იქნება უკრაინაში, რომლისთვისაც მთელი თავისი ცხოვრება იბრძოდა და რომლისთვისაც აღესრულა მისი დიდი შვილი!

სტეპან ბანდერა - ეს არის ისტორია ვაჟკაცობისა და უკრაინის დამოუკიდებლობისა, მას ტალახს ვერ შეაწვდენენ.

მასალა ინტერნეტსაიტების მიხედვით მოამზადა

ა. სანდუხაძემ

მეფე სოლომონ პირველი

2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით ქართველ წმინდან მეფეთა დასს კიდევ ორი სახელოვანი მმართველი შეუერთდა: იმერეთის მეფე სოლომონ პირველი (1752-1784) და ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ მესამე (975-1014). დღევანდელ სტატიაში ჩვენ სოლომონ პირველის მეფობაზე ვისაუბრებთ.

1752 წლის მარტში იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის (მეფე 1720-1741, 1741–1746, 1749–1752 წლებში) გარდაცვალების შემდეგ ტახტი მემკვიდრეობით ერგო მის უფროს ძეს, 17 წლის სოლომონს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ხელისუფლება საკმაოდ დასუსტებული იყო. მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ გადამდგარი მთავრები აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, ასევე ურჩობდნენ იმერეთის გაძლიერებული თავადებიც. მთელი დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა. იმერეთის მთავარი ციხეები ქუთაისი, შორაპანი, ცუცხვათი ოსმალთა გარნიზონს ეკავა. ასევე შავი ზღვის სანაპიროს ციხეები: ბათუმი, გონიო, ფოთი, სოხუმი. მძვინვარებდა „ტყვეთა სყიდვა“, რომელმაც დიდ მასშტაბებს მიაღწია, სწორედ ასეთ ვითარებაში მოუწია სოლომონ პირველს ტახტზე ასვლა.

გამეფებისთანავე დაუპირისპირდა ოპოზიცია, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრებიც, მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ ბიძები მამუკა და გიორგი ბატონიშვილები, ასევე სოლომონის ბაბუა ლევან აბაშიძე, შეთქმულთა შორის იყო სოლომონის დედა ლევან აბაშიძის ასული, დედოფალი თამარი. შეთქმულთა შორის იყვნენ: გურიის მთავარი მამია IV გურიელი, რაჭის ერისთავი როსტომი, აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი ბესარიონი.

მეფეს არ აღმოაჩნდა საკმარისი ძალა, გამკლავებოდა ამ ამბოხს, მის გვერდით ხომ აღარავინ დარჩა. სწორედ ამიტომ სოლომონმა დატოვა იმერეთი და ახალციხეს შეაფარა თავი, სადაც ფაშას ჰაჯი-აჰმედ ჯაყელს სთხოვა დახმარება. მან მოახერხა და დაარწმუნა ოსმალები მისთვის დახმარება აღმოეჩინა, ოსმალთა ჯარით სოლომონმა მოახერხა და დაიბრუნა იმერეთის ტახტი, ბიძა მამუკა ბატონიშვილი და დედა-დედოფალი თამარი იმერეთიდან გააძევა, მეორე ბიძა გიორგი საპყრობილეში ჩასვა, ბაბუას ლევან აბაშიძეს ჩამოართვა სამკვიდრო კაცხი, გადააყენა გურიის მთავარი მამია IV გურიელი და მის ნაცვლად გურიელის ძმა გიორგი V გურიელი დასვა. იმერეთის მეფემ გამოიყენა პოლიტიკური ქორწინება გაეყარა რა მეუღლეს, აფხაზთა მთავრის ზურაბ შერვაშიძის ასულ თინათინს, ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავარ კაციია II დადიანის და მარიამი. სოლომონის ეს ნაბიჯი რა თქმა უნდა მიზნად ისახავდა სამეგრელოსთან მჭიდროდ დაკავშირებას.

აუცილებელი იყო, რომ მეფეს სამეფოს შიგნით პოზიციები გაემყარებინა, სწორედ ამ მიზნით შექმნა ეგრეთ წოდებული „ფიცის კაცების“ ერთობა, ესენი იყვნენ ძირითადად აზნაურობის, თავადების წარმომადგენლები, ისინი მეფესთან ფიცით იყვნენ დაკავშირებულნი და მათ მთავარ მოვალეობას ომის დროს ჯარში სამსახური წარმოადგენდა. აღსანიშნავია რომ ასეთი ინსტიტუტი არც ერთ ქართულ სამეფო-სამთავროში არ არსებობდა. ძველი თავადების ნაცვლად დააწინაურა ერთგული ფეოდალები: წერეთლები, ღორთქიფანიძეები, მესხები, წულუკიძეები, მაჭავარიანები, აგიაშვილები და სხვ. გლეხები გაათავისუფლა სამეფო გადასახადებისგან.

ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმედ ჯაყელი ჩაერია გურიის საქმეებში და სოლომონს მის მიერ გაძევებული მამია IV გურიელი კვლავ მთავრად დაამტკიცებინა, ოსმალეთი ფიქრობდა, რომ იმერეთის მეფე მათ იმედებს გაამართლებდა და მათთვის მისაღები ფიგურა იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, სოლომონ პირველმა დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ, რაც ეწინააღმდეგებოდა ოსმალთა ინტერესებს, მათთვის ქართველი ტყვეები საკმაოდ ძვირად ფასობდა, ეს მიუღებელი აღმოჩნდა თავადების იმ ნაწილისათვის, ვისთვისაც „ტყვეთა სყიდვა“ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, ისინი უკავშირდებიან ოსმალებს და იწყებენ მეფის წინააღმდეგ გამოსვლას, იმერეთის მეფემ 1757 წელს ხარკის გადახდა შეუწყვიტა ახალციხის ფაშას, რაც საბაბად გამოიყენეს მოწინააღმდეგეებმა, სოლომონის ბაბუა ამჯერადაც მედროვე გამოდგა და ის პირადად შემოუძღვა ოსმალთა ჯარს იმერეთში, მათ მიემხრო რაჭის ერისთავი როსტომი, 1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილის ველზე სოლომონი, სამეგრელოსა და აფხაზეთიდან გამოგზავნილ ჯართან ერთად, მოულოდნელად თავს დაესხა მტერს, 22 წლის მეფემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. სამი ფაშა ტყვედ ჩავარდა, გაბრაზებულმა სულთანმა ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმედ ჯაყელი ჯერ გადააყენა, შემდეგ კი სიკვდილით დაასჯევინა, აღსანიშნავია სამურზაყანოს მფლობელის ხუტუნია შერვაშიძის გმირობა, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა, მან სიკვდილამდე 16 თურქი გამოასალმა სიცოცხლეს, ხრესილის ველზე დაიღუპა ლევან აბაშიძეც, რაც შეეხება რაჭის ერისთავ როსტომს, მან მოასწრო რაჭაში გაქცევა. მეფეს ამ ეტაპზე არ შეეძლო აქტიურად ემოქმედა რაჭის ერისთავის წინააღმდეგ, რის გამოც მიუტევა და დაუტოვა რაჭის ერისთავობა. როსტომმაც პირობა დადო, რომ ამიერიდან მეფის ერთგული იქნებოდა.

1758 წელს ქალაქ გორში იმერეთის მეფე სოლომონ I-მა, კახეთის მეფე ერეკლე II-მ და ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ დადეს თავდაცვითი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მტრის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას.

1759 წლის 4 დეკემბერს მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც აკრძალა „ტყვეთა სყიდვა“, დადგინდა, რომ ანათემას გადაეცემოდა ყველა ის პირი, რომელიც გარეული იქნებოდა ტყვეების გაყიდვაში, სიკვდილით დასჯაც კი დააწესეს ტყვით მოვაჭრეებზე. მართალია ამით არ აღმოფხვრილა ეს პრობლემა, მაგრამ ამის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა „ტყვეთა სყიდვა“, სოლომონი აღმშენებლობით მოღვაწეობასაც ეწეოდა, ამაგრებდა ციხე-სიმაგრეებს, მისი ბრძანებით აშენდა კაცხის, გოგნის, ჭალატყის ტაძრები, შეიმკო გელათის მონასტერი.

ერთგულ პირთა გასამრავლებლად მეფე მოხერხეულად იყენებდა მსხვილ ფეოდალთა შორის არსებულ დაპირისპირებებს. 1757-1759 წლებში მეფის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა იმერეთის სამეფოს დასავლეთ საქართველოში დიდი გავლენა მოუპოვა. როგორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „მეფემ (სოლომონ პირველმა) თავის მოღვაწეობას მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა, ის ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა „

1763 წლის იანვარში იმერეთს სამხრეთიდან შემოუტია 13 ათასიანმა თურქთა ჯარმა ერზერუმის ფაშა იბრაჰიმის სარდლობით. სოლომონმა მოახერხა და მოიგერია მომხდურნი. ამ ყველაფერს თურქები ვერ ეგუებოდნენ, ისინი ყველანაირ გზას ეძებდნენ, როგორმე იმერეთის არასასურველი მეფე ჩამოეშორებინათ, ოსმალები ამჯერად, სოლომონის ბიძაშვილთან თეიმურაზ მამუკას ძესთან ერთად შემოვიდნენ. მათ მხარეს აღმოჩნდნენ გუ-

რიელი, დადიანი, როსტომ რაჭის ერისთავი და სოლომონის ძმა გიორგი. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა იმერეთის მეფემ თავი „მოდინახეს“ ციხეს შეაფარა, იმერეთში ორმეფობა დამყარდა, ოსმალებმა მეფედ თეიმურაზი გამოაცხადეს, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობამ თეიმურაზი მეფედ არ მიიღო. ამით ისარგელა სოლომონმა, ჯარი შეკრიბა, ასევე დაიქირავა ლეკთა 200 კაციანი რაზმი და მოახერხა იმერეთის დაკავება, 1768 წელს ჩხარის მახლობლად, სოფელ ცხრაწყაროსთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში სოლომონმა ოსმალები დაამარცხა. ძმა გიორგი და ბიძაშვილი თეიმურაზი მუხურის ციხეში გამოკეტა.

ამ პერიოდში ოსმალეთს ურთიერთობა უფუჭდებოდა რუსეთის იმპერიასთან, სწორედ ამიტომ სულთანმა მუსტაფა მესამემ გამოსცა საგანგებო სიგელი, რომლის მიხედვითაც სოლომონ პირველს იმერეთის მეფედ ცნობდა. ხელშეკრულებით თურქეთმა იმერეთი ცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ.

სოლომონ პირველის მესამე მეუღლე იყო წულუკიძის ასული გულქანი, რომელიც თავად მიქელაძის აზნაურის ქაჯაიას ნაცოლარი იყო. ამ ამბავს რაჭის ერისთავი ხშირად ირონიულად ახსენებდა ხოლმე.

1767 წელს სოლომონ პირველმა სცადა როსტომ ერისთავი დაესაჯა და რაჭაში შეიჭრა, რისთვისაც ლეკების ჯარი დაიქირავა. მართალია რაჭა დაიკავა, მაგრამ ერისთავის შეპყრობა ვერც ამჯერად მოახერხა, როსტომი ოდიშში, კაცია მეორე დადიანთან გაიქცა. 1769 წელს სოლომონ მეორე კვლავ შევიდა რაჭაში, თუმცა ვერც ამჯერად მოახერხა როსტომის შეპყრობა. ამ პერიოდში პოლიტიკურ მოვლენებში აქტიურად ერევა როსტომის ძმა ბესარიონი, რომელიც იყო აფხაზეთის, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, სოლომონმა ბესარიონი გადააყენა და ამ თანამდებობაზე თავისი ძმა იოსებ გენათელი დანიშნა, ამით მეფემ მეტად განიმტკიცა პოზიციები.

1769 წელს სოლომონ პირველსა და როსტომ ერისთავს შორის დაიდო შეთანხმება. ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს, მაგრამ, სამი თვის შემდეგ სოლომონმა შეიტყო, რომ როსტომი მაინც განაგრძობდა მეფის წინააღმდეგ საქმიანობას, მეფე მიხვდა, რომ მასთან შეთანხმებას აზრი არ ჰქონდა, გადაწყვიტა მისი შეპყრობა და მოახერხა კიდეც. დანამდვილებით არაა ცნობილი როგორ მოახერხა სოლომონმა ეს, არსებობს სხვადასხვა ინფორმაცია, სავარაუდოა, რომ რაჭის ერისთავის შეპყრობა ღალატითა და ეშმაკობით მოხერხდა, ერისთავი და მისი 7 ვაჟი სასტიკად დასაჯეს: როსტომს ორივე თვალი დასთხარეს, მის შვილებს კი სავარაუდოდ თითო-თითო, სოლომონმა რაჭაში საერისთავო გააუქმა, ჩამოართვა ყმამამული, ქონების ნაწილი დაუბრუნა იმერეთის მეფის ერთგულ წულუკიძეებს, ჯაფარიძეებს, წერეთლებს.

რაც შეეხება სოლომონის საგარეო პოლიტიკას, ჯერ კიდევ 1764 წელს დაიწყო მეფემ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები, 1768 წლის ივნისში რუსეთში რწმუნებით გაიგზავნა ქუთაისელი მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე, რუსეთში ამ დროს უკვე აქტიურად ფიქრობდნენ, თუ როგორ ჩაებათ საქართველო თურქეთის წინააღმდეგ ომში. სოლომონი გაგზავნილ სიგელში რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებასა და სამხედრო დახმარებას მოითხოვდა. იმერეთის მეფეს სურდა რუსეთის ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა ურჩი მთავრები, თავადები, დაებრუნებინა ოსმალების მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა ისინი დასავლეთ საქართველოდან.

რუსეთს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, სურდა საქართველო აქტიურად ჩაება ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი დაუკავშირდნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესაც. 1770 წლის 20 აპრილს გაიმართა ასპინძის ბრძოლა, რომელშიც ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი იბრძოდა თურქების წინააღმდეგ, რუსთა ჯარს მეთაურობდა გენერალ-მაიორი გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენი, მართალია ტოტლებენმა და რუსებმა ბრძოლაში მიატოვეს ქართველები, მაგრამ ერეკლე მეორემ მაინც მოახერხა ახალციხის ფაშას დამარცხება.

ტოტლებენი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ის ორმაგ თამაშს თამაშობდა, სოლომონ პირველმა ისარგებლა ასპინძასთან ახალციხის ფაშას დამარცხებით და თურქებისაგან შორაპნისა და ცუცხვათის ციხეები გაათავისუფლა. 1770 წლის 2 ივლისს იმერლებმა და რუსებმა ბაღდადის ციხეს შემოარტყეს ალყა, თურქეთის გარნიზონი მალე დანებდა. ამის შემდეგ სოლომონ-ტოტლებენის გაერთიანებულმა ძალებმა ქუთაისის ციხეს შეუტიეს. მალე ტოტლებენსა და სოლომონს შორისაც გამწვავდა ურთიერთობა. ტოტლებენმა თავისი სურვილით სოლომონთან შეუთანხმებლად 1770 წ. 3 ოქტომბერს ფოთის ციხის ალყა დაიწყო, მაგრამ ის კარგად იყო გამაგრებული და ვერ აიღო. რუსებმა მალე გაიწვიეს იგი და მის ნაცვლად გამოგზავნეს გენერალი სუხოტინი, საბოლოოდ 1772 წელს იმპერატორ ეკატერინე მეორის ბრძანებით რუსთა ჯარმა საქართველო დატოვა. ამით ისარგებლეს თურქებმა და გურიის სამთავროს ერთი ნაწილი ქობულეთის მხარე მიიტაცეს.

1774 წლის 21 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი. ხელშეკრულების 23-ე მუხლი საქართველოს ეხებოდა. მართალია რუსეთმა სცნო თურქების უფლებები დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ ოსმალეთი ამიერიდან საბოლოოდ იღებდა ხელს იმერეთისაგან ხარკის მოთხოვნაზე და საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შევიწროვებაზე.

1776 წლის იანვარში სოლომონმა გურიის ჯარის თანხლებით სამეგრელო დალაშქრა, რამდენიმე ციხე აიღო და კაციია II დადიანი დაიმორჩილა. იმავე წელს სოლომონს მორჩილება განუცხადა გურიის ახალმა მთავარმა გიორგი V-მ, სოლომონმა გურიელის შვილები მძევლად წაიყვანა და მას საჯავახოც ჩამოართვა, ამ ღონისძიებების შედეგად დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის უფლებები გაფართოვდა და განმტკიცდა.

1778 წელს სოლომონს კვლავ საშინაო პრობლემები შეექმნა, მის წინააღმდეგ დაიგეგმა შეთქმულება, რომელსაც მეთაურობდა სამეფოს სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, მოურავი თამაზ მესხი, მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე, მათ გადაიბირეს ტახტის მემკვიდრე სოლომონის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ მეფემ მოახერხა შეთქმულების ჩახშობა, გადააყენა დავით აბაშიძე, დავით გიორგის ძე იმერეთიდან გააძევეს, ალექსანდრე ბატონიშვილმა ერეკლე მეორესთან შეაფარა თავი, ის 1780 წელს გარდაიცვალა, რის შემდეგაც დღის წესრიგში დადგა ტახტის მემკვიდრის საკითხი.

ამ პერიოდში სამეგრელოს სამთავრო იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა, სწორედ ამიტომ 1779 წლის ბოლოს თურქებმა განიზრახეს სამეგრელოს დაპყრობა, სოლომონმა იმერეთ-გურიის გაერთიანებული ჯარით 1780 წლის დასაწყისში რუხის ციხესთან სასტიკად დაამარცხა ოსმალები.

სოლომონ I-ს კარგად ესმოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთში ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდებოდა და გადაწყვიტა მემკვიდრე დაენიშნა. 1783 წლის 16 ნოემბერს სოლომონის მოძღვარი ერეკლე II-ს ეახლა და მას სოლომონის გადაწყვეტილება გააცნო: იმერეთის მეფე თანახმა იყო ტახტის მემკვიდრედ ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე გამოეცხადებინა, სამაგიეროდ, ერეკლეს სოლომონის ურჩთა შეფარებაზე ხელი უნდა აეღო. სოლომონის მოთხოვნით და ერეკლე მეორემ დავით არჩილის ძე იმერეთს გაგზავნა.

1784 წელს სოლომონ მეორემ იმერეთ-გურიის ჯარით ბათუმში ილაშქრა, სამწუხაროდ დადიანმა ფოთის ფაშას წინასწარ აცნობა ამ ლაშქრობის შესახებ, რის გამოც თურქები იმერეთის მეფეს ჩაუსაფრდნენ, 1784 წლის 9 მარტს ჩაქვთან, ნაჭიმკრევთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მეფეს ცხენი მოუკლეს და მან ძლივს დააღწია ბრძოლას თავი. ამ მარცხმა მეფეზე უარყოფითად იმოქმედა, ის ხშირად ავადმყოფობდა, სოლომონი მალევე 1784 წლის 23 აპრილს, 49 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალეს გელათის ტაძარში, მეფეთა საძვალეში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სოლომონ I-მა საქართველოს ისტორიაში წარუშლელი კვალი და დიდი სახელი დატოვა. ალექსანდრე ამილახვარმა მას პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ მიუძღვნა.

მოსახლეობაში იმერეთის მეფემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მისი სახელი ისტორიას შემორჩა როგორც: „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე იმერთ მეფე სოლომონ!“

ვიტალი მაჭავარიანი
თსუ ისტორიის ფაკულტეტის
მე3-ე კურსის სტუდენტი

ნაცარქექიას პროტესტიანი გაპაზრებისათვის

დასაწყისი გვ. 7

მავლის მიმართ. მაგალითად, სანადიროდ თუ საჭმლის მოსამზადებლად წასულმა დევებმა თავიანთი კერა უცხოს ჩააბარეს – მიგვიხედეო, მან კი სათანადოდ ვერ შეძლო მისი მოვლა; ღვინის ამოღებაც, რომელიც ასევე საკრალური მნიშვნელობისაა, სხვას მიანდეს; ბოლოს კი საერთოდ დაარღვიეს სტუმარ-მასპინძლობის წესი – ერთ-ერთმა მასპინძელმა დევმა სუფრასთან დაახველა (დააცემინა) და სტუმარი შეაწუხა. ეს კი უკვე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ისინი იმ საცხოვრისის პატრონებად აღარ ჩათვლილიყვნენ და საერთოდ გადახვეწილიყვნენ იქიდან.

საერთოდ, ზღაპრის მორალი ის არის, რომ ტრადიციულ სიწმინდეს, წესსა და ადათს განსაკუთრებული მოვლა და დაცვა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში უღირსი დაისჯება, მისი მარცხი გარდუვალია. გამარჯვებით კი ის გაიმარჯვებს, ვინც ადათს პირ-ნათლად დაიცავს და ტრადიციულ წესს შეასრულებს. ამ შემთხვევაშიც გამარჯვებულმა ნაცარქექიამ დევების სარჩო და სიმდიდრე, რაც რამ ჰქონდათ, სულ მთლად აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო. რძალი გაამდიდრა და ისევ დაიწყეს ტკბილი ცხოვრება. ე.ი. კანონზომიერია, როგორც ნაცარქექიას – ოჯახის კერიის წმინდა ცეცხლისა და „ფუძის ანგელოზის“ დამცველის გამარჯვება ზღაპარში, ასევე მათი დამვიწყებელი დევების მარცხი.

რაც მთავარია, ის შემოდგომას სახლიდან გაგდებული გაზაფხულზე ბრუნდება უკან და ჯადოსნური ზღაპრის გმირის მსგავსად მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების მითოსური სახიდან იღებს სათავეს და გენეტიკურად მის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს.

გამოყენებულია ვ. ბარდაველიძის, ლ. ბედუქიძის, პ. ბუხრაშვილის, ი. კიკვიძის, კ. კუშნარევას, ა. ნეიმანის, ი. სურგულაძის, ჯ. ფრეზერის, მ. ჩართულანის, ე. ხოშტარიას, ივ. ჯავახიშვილის შრომები.

თამარ მეფის სიტყვა სამღვდელოების მიმართ (1185წელი):

„წმინდანო მამანო, თქვენ დადგენილნი ხართ ღვთისაგან მოძღვრებად და გამგებლებად ეკლესიისა, თქვენ მოგთხოვთ ღმერთი პასუხისგებას ჩვენი ცხონების შესახებ. მიაქციეთ მკაცრი ყურადღება ქრისტიანეთა ცხოვრებას, კეთილი მხარე ამ ცხოვრებისა განამტკიცეთ, ხოლო რაც უგვანო და ბოროტი რამაა მასში, უსათუოდ მოსპეთ, მოჭკვეთეთ და ასაცილად აკრძალეთ დადგენილებით.

გასწორება იწყეთ ჩემიდგან, რადგანაც სიდიდეს ვაცარებ მეფობისათვის და არა ღვთის საგმობლად. ნუ მოერიდებით მთავრებს მათი დიდკაცობის გამო და ნურც უბრალო პირებს შეურაცხყოფთ მისთვის, რომ იგინი უბრალონი არიან. თქვენ კეთილი დადგენილებანი მოახდინეთ, და მე მათი შესრულებით დაგეხმარებით, თქვენ სწავლა მოგვეცით, და მე თქვენს სწავლას შევითვისებ და სხვებსაც შევათვისებ, თქვენ მაგალითი დაგვიყენეთ წინ და მის განხორციელებას მე ვიღებ თავს. ორივე მხარემ ხელი ხელს მივცეთ საერთო საქმეების დაცვაში, რომ არ ჩავცვივდეთ ღვთის პასუხისგებაში. თქვენ, როგორც მღვდლები, მე, როგორც მეფე, თქვენ, როგორც უფროსი გამგენი, მე, როგორც უბრალო დარაჯი.“

კონსტანტინე გამსახურდია მიგვანიშნებს... მარად გვახსოვდეს თარაშ ემხვარის ხვედრი...

..."თარაშ ემხვარს გადაწყვეტილი აქვს, თბილისს ჩასვლის უმალვე აუდენცია სთხოვოს ბერიას და პირდაპირ ეტყვის მას:

მრავალ გზებზე მიყიალნია, მრავალ გზაჯვარედინზე მიყოყმანია და ბოლოს ავირჩიე გზა სტალინისა"....

ღმერთო შენ მიშველე და სრულიად ახალგაზრდა კაცი რომ ამ სტრიქონებს ვკითხულობდი წერილი დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას" მთვარის მოტაცებიდან", ადიდებულ, თავაწყვეტილ ენგურის პირას მდგარ საყვარელ და მისაბაძ გმირს თარაშ ემხვარს ფიქრთა სრბოლას, რომ წარმოადგენენ ცივი ოფლი მასხამდა, და აცახცახებული ვშფოთავდი - ნუთუ ეგაც.... და როს თარაშ ემხვარი ენგურში დაიხრჩო თავისუფლად ამოვისუნთქე, ამოვისუნთქე და წამს მივუხვდი სიტყვის დიდოსტატს ჩანაფიქრს - წამს მივუხვდი. დიდი მწერალი ამით გვაფრთხილებს, ვინც ამ გზას, ბოლშევიკთა გზა რომ ჰქვია, დაადგება, რაიც რუსეთუმეობის ტოლფასია, იგი თუნდაც თარაშ ემხვარისნაირი უბადალო ვაჟკაცი იყოს, დასაღუპად განწირულია, რადგანაც ეს გზაა-გზა ეშმაკისა, გზა ჯოჯოხეთისა და გზა ერის ღალატისა, ამიტომაც ვერ გადასცურავს ის აქაფებულ მდინარეს, რომელშიც სამშობლოს ავბედითი სულისკვეთება იგულისხმება. რამ გამახსენა ახლა ეს სცენა ამ ბრწყინვალე რომანიდან რამ და-დღესაც ვატყობ ზოგ ვაჟკაცს მჭმუნვარება შეპარვია და ფიქრში უელვებს ხომ არ დაადგეს თარაშ ემხვარის გზას, იქნებ..... არ გაბედო, არ გაბედო მასე ფიქრი, ნუ გაიმეტებ თავს მარადიული კრულვისათვის, რომელიც ფიზიკურ დაღუპვაზე უარესია, გესმის ჩემი ჩემო „თარაშო" - მე შენ ამისთვის არ მემეტები და საქართველოსაც სჭირდები შენ, ამიტომაც გიმეორებ: არამც და არამც არ გაბედო!

ისტორიულ მეხსიერებაზე

ორასი წელი გავიდა, რაც თურქეთმა საბერძნეთის დამოუკიდებლობა სცნო, მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, პირველი მსოფლიო ომის დროს ბერძნებმა იზმირიც კი აიღეს, ხოლო ეგეოსის ზღვის ულამაზესი კუნძულების 90 პროცენტი ბერძნების ხელში გადავიდა, გაცვალეს მოსახლეობაც, მაგრამ მაინც ვერ ხერხდება ამ ორი ერის შერიგება, თუმცა მცდელობას არცერთი მხარე აკლებს და არც მეორე, მაგრამ რომ იტყვიან (ვიქნები ბანალური), კუს ნაბიჯებით მიიწევენ წინ.

პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სომხებმა(რომლებიც ეკონომიურად თურქებზე ასჯერ უკეთესად ცხოვრობდნენ), წამოაყენეს ბოდვითი იდეა-ისტორიული დიდი სომხეთის აღდგენისა ანატოლიის ტერიტორიაზე, დაიწყეს დივერსიები რათა თურქების არმიის ბრძოლისუნარიანობა დაქვეითებულიყო, ამას თურქების მხრიდან მკვეთრი რეაქცი მოჰყვა, ამ ამბავს შეეწირა ძალიან ბევრი უდანაშაულო სომეხი, ბევრი მათგანი ოჯახებითურთ ამოწყდა. ეს გადამეტებული სიმკაცრე შემდგომ თურქეთის ხელისუფლებამაც დაგმო, მას მერე საუკუნე გავიდა და ვერა და ვერ მოხერხდა ამ სამი ერის შერიგება....ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ამ ერთა კოლექტიური ისტორიული მეხსიერება თავისას შვრება, რომელიც თვითგადარჩენის ერთგვარი ინსტიქტიცაა მათვის.

საქართველო, 1801 წელს, რუსეთმა განა მარტო როგორც სახელმწიფო, არამედ როგორც ერი გააუქმა, რაც არ ჩაუდენია არცერთ დამპყრობს, ქართულ ენას ძაღლის ენა უწოდა და აკრძალა იგი, მათმა ეგზარხოსმა ლებედევმა დაწყევლა „ერთმორწმუნე"ქართველი ხალხი, ეს რაინდი ხალხი ჩარჩებად და მოცეკვავე ლაქიებად გადაგვაქციეს. ხანდახან საქმე იქამდისაც მიდიოდა რომ დგებოდა საკითხი, საერთოდ ხომ არ გაესახლებინათ ქართველები, ციმბირსა თუ ყაზახეთის სტეპებში....1921 წელს ძლივსძლიობით აღდგენილი ქართული სახელმწიფოებრიობა თავზე დაგვამხეს, იმ ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა, რომლებმაც საზღვარგარეთ ვერ ან არ გაასწრეს, აქ სამშობლოში ჯოჯოხეთის ცხრავე გარსი გაიარეს და მერე მათი უმრავლესობა დახვრიტეს. სამაგიეროდ წარმოაჩინეს ის მოღალატე კოლაბორაციონისტები, რომლებსაც ხალხმა სამართლიანად წითელი ინტილიგენცია უწოდა და ამ მენტალობა შეცვლილთა ლაქიობამ კრემლის მიმართ საზღვარი არ იცოდა და არ იცის. მათ დანერგეს ფარისევლური ცხოვრების წესი, ქურდობა და ქურდები საპატიო მოქალაქეთა რანგში იქნა აყვანილი და მათ შეძლეს შეუძლებელი, უზნეობა და სამშობლოს ღალატი ზნეობრივ და პატრიოტულ კატეგორიაში გაიყვანეს და შესაბამისი ჩინ-მედლებიც ჩამოურიგეს. ამან კი გახრწნა ისედაც პოლიტიკურ სუბსტანციად ვერ შემდგარი ქართველი ერი. ის კი არადა 25 წელიც არაა გასული რაც ტერიტორის 20 პროცენტი ჩამოგვაჭრა, საქართველოში ნახევარ მილონზე მეტი კაცი თავის სამშობლოში ლტოლვილად იქცა, ჩვენ კი მაინც გავიძახით, მოძმე ერთმორწმუნე ერიო. არადა, ეკლესია სხვა თემაა, რუსეთი სწორედაც ეკლესიაში ჩანერგილი რუსული აგენტურით ცდლობს ქართველთა ისედაც ფესვგამჯდარ მონურ-სულისკვეთების საბოლოო ფორმირებას რაც თუ არ იქნა დროულად აღმოფხვრილი და შეჩერებული, ქართულ სახელმწიფოს კი არა თვით ქართველობას დიდი დღე არ უწერია. რა მოგვივიდა ხალხო, რამ დაგვაჩლუნგა, რამ დაგვამონა, რამ დაგვცა ასე,რომ აგერ ჩვენს თვალწინ ახდენენ ჩვენი ქართული სახელმწიფოს არშემდგარ სახელმწიფოდ ქცევას, რათა შემდგომ ერთ ლუკმად არ ვეყოთ, ჩვენ კი მოძმე რუსეთიო. მეხსიერების ატროფია დაგვემართა თუ გადაგვარებულები ვერცა ვგრძნობთ რა დოლაბის დატრიალებას აპირებენ საქართველოს თავზე. რა დაგვემართაო ჰკითხეთ თავს და იქნებ ცოტა დაფიქრდეთ, დაფიქრდეთ და გაიხსენოთ -- „ვისი გორისანი ვართ"!

ქართველებო აღვიდგინოთ იტორიული მეხსიერება და დავიბრუნოთ ჩვენი სახე!

ნოდარ პოპერიძე,

ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიათა ლაურეატი

ილია მეორე: რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რუსეთთან ურთიერთობის შესახებ გააკეთა განცხადება. ინფორმაციას სააგენტო IPN ავრცელებს.

„დაუსრულებლად ეს არ შეიძლება გაგრძელდეს. რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები", - განაცხადა ილია მეორემ სკანდინავიისა და ბალტიის რვიანის წევრ ქვეყანათა პარლამენტის თავმჯდომარეებსა და ვიცესპიკერებთან შეხვედრაზე, რომელიც საპატრიარქოში მიმდინარეობს.

„მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20% დაპყრობილია რუსეთის მიერ და თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი. დღესაც ვითვლები ხელმძღვანელი აფხაზეთის ეპარქიისა, მაგრამ მე არ მაქვს საშუალება, რომ ჩავიდე და ყურადღება მივაქციო ჩვენ მორწმუნე ხალხს. მე მოხარული ვარ, რომ თქვენ ინახულეთ ის საზღვრები, სადაც ხელოვნურად დაყოფილია ჩვენი ტერიტორია. დაუსრულებლად ეს არ შეიძლება გაგრძელდეს. რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები. ამიტომ თქვენი ჩამობრძანება საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ მადლობას გწირავთ ამისთვის. მე კიდევ ერთხელ მადლობელი ვარ თქვენი ჩამობრძანებისათვის და დარწმუნებული ვარ, თქვენი ვიზიტი იქონიებს დიდ გავლენას", - განაცხადა ილია მეორემ შეხვედრაზე.

წყარო: http://imedinews.ge/ge/saqartvelo

მოთქმით ტირილი....

და რომ ძმას შეიცხადებს, ცხრა ეკლესიის კარი შეიძრებაო – ასე იტყოდა დედა.

მე შვილის დამკარგავმა, სულიერი შვილების დამტირებელმა, ჩემი ქვეყნის ტრაგედიის თვითმხილველმა ეს ვერ შევძელი.

უკანასკნელად მეორე სულიერი ძმის ზაურ ქობალიას დასაფლავებაზე ვნახე ვალტერი. ბოლო სატელეფონო საუბარში მშვიდად მითხრა: ჩვენ მხოლოდ იმ ქვეყნად შევხვდებით ერთმანეთსო. გრიგოლ აბაშიძის „დიდი ღამე" გამახსენდა. ჩვენ ყველაზე ბედნიერი და უბედური თაობა ვართ. ვნახეთ გაღვიძებული მამული, აბობოქრებული ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა, ვუსმენდით ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას.

ვალტერ შურღაიამ გზა დამოუკიდებლად განვლო ეროვნულ მოძრაობამდე. იგი სრულიად ახალგაზრდა აცნობიერებდა არჩეული გზის სირთულეს იმ საშინელ ეპოქაში. არ ერიდებოდა დაპირისპირებოდა ურჩხულს: და იმ გამარჯვებაში, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ 1990 წლის 28 ოქტომბერს ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით მოიპოვა, მან გარკვეული როლი შეასრულა. არც ის იყო მოულოდნელი, რომ თავიდანვე მტრის და მოყვასის სამიზნე გახდა.

დეკემბერ–იანვრის ცეცხლმოკიდებულ დღეებში ვალტერ შურღაია თავისი ერთგული ბიჭებით ბოლომდე იცავდა კანონიერ ხელისუფლებას და საქართველოს მომავალს.

ჯემალ შამათავას შესახებ ვალტერი წერდა, რომ ბედნიერია და რჩეული ვისაც წილად ხვდა სამშობლოსათვის თავის გაწირვაო. უბედური მე ვარო. არადა, მართლა შეწირული გახდა თვითონ. სხვისი ტკივილიც მასში იყრიდა თავს. მის თვალწინ „მხედრიონმა" და ე. წ. ეროვნულმა გვარდიამ ზათქით დალაშქრეს საქართველო. ჩვენ გვახსოვს, პოეტმა იზა ორჯონიკიძემ, როგორ მიმართა შევარდნაძის მომიტინგეებს თბილისში: „ნუ ზვიადობთო" და შეიარაღებული ბანდიტები გააცილა სამეგრელოსკენ, ჩვენ გვახსოვს, როგორ დაარქვა ჭაბუა ამირეჯიბმა დეკემბერ–იანვარის გადატრიალებას სახალხო–დემოკრატიული რევოლუცია, შემდეგ კი აცხადებდა: „საჭირო არ გახდა, თორემ იარაღს ავიღებდი ხელშიო!"...

9 წლიანი დიქტატურაო, გვახსენებენ მავანნი და არავის ახსოვს შევარდნაძის თვალწინ დახვრეტილი ბიჭები: გოჩა ესებუა, ელიავა, გვილავა, ნოდია, ჯემალ შამათავა და ვინ იცის რამდენი.

20 წლიანი დიქტატურა – შევარდნაძე – მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა, ბურჯანაძე – დემოკრატები. ეს ერთიანი სისტემა იყო, რომლებსაც, თუ საქართველო გადარჩა, უთუოდ მოეკითხებათ.

ვალტერ შურღაია წერდა, ოთხმოცდათორმეტი წლის დასაწყისში, მამულისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში, სულ ახალგაზრდები იყვნენ ჩემს გვერდით, მათ ჩემს დამტირებელს ვეძახდიო. გოჩა ოთხოზორიას დასაფლავებაზე ცრემლმორეულმა მითხრა: ჩვენ ვინ დაგვიტირებსო. ვიცოდით, ვალტერის გული ვერ გაუძლებდა აურაცხელ ტკივილს. არ გავაგებინე გოჩა გურულის დაღუპვა. გოჩასი, რომელსაც არაამქვეყნიურად უყვარდა იგი.

ოცი წელი, ეს დიდი დროა. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა 5–ზე მეტი პარტია გამოიცვალა. ვალტერ შურღაიას, არც უცდია მრწამსის შეცვლა.

დღეს ვალტერ შურღაიას ვაცილებთ. იგი პირნათელი წარდგება წინაპართა წინაშე. იქაც გულში ჩაიტევს ტკივილებს, არ ეტყვის წამებულ პრეზიდენტს, რომ დღესაც ეშინიათ მისი სახელის ხსენების, ემალებიან 9 აპრილს – დამოუკიდებლობის დღეს, ერთმანეთს ეჯიბრებიან დასავლეთის ან რუსეთის სიყვარულში. არ ახსოვთ საქართველო. წარმოვიდგინე მისი შეხვედრა ბიჭებთან, რომელთაც უნდა დაეტირათ იგი და ახლა იქ ელოდებიან. მათი უმრავლესობა სულიერ მამას ეძახდა. მე ვიგრძენი ყველაზე დიდი შვება, ტირილით მოგვრილი... მე შევძელი ტირილი ჩემი სულიერი ძმის გარდაცვალების გამო.

საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა ქართველ ხალხს არ აპატიეს ზვიად გამსახურდიას სიყვარული და ტყვია ესროლეს, რომლის წივილი დღესაც მესმის და თითოეული ჩვენთაგანის სულს აწამებს.

ბედნიერი ხარ, ძმაო ვალტერ, სხვაზე მეტად რომ გაისარჯე, სხვაზე მეტად რომ გაქეს და გტანჯეს კიდეც. უკუნეთში თოფის გასროლას ჰგავს შენი სიკვდილის ამბავი. მჯერა გიჭირისუფლებს საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, ვინაც სიყვარულის, ჭეშმარიტების და თავისუფლების ფასი იცის. მჯერა მათი რიცხვი, არც ისე ცოტა იქნება. მათ ზეციური საქართველოდანაც სჭირდები ვალტერ!.

ლია კაკაძე

საქ. რეს. უზენაესი საბჭოს წევრი
ქ. ქუთაისი

ჯანმრთელობის გვერდი

ეს სასმელი ქაღარა თმას აქრობს, აუმჯობესებს მხედველობას და კანის მდგომარეობას

სასმელი, რომლის რეცეპტსაც გთავაზობთ, წარმატებით უმკლავდება ქაღარა თმას. ამასთან, აუმჯობესებს კანის მდგომარეობას და მხედველობას.

ინგრედიენტები:

200 გრამი სელის ზეთი.
3 კბილი საშუალო ზომის ნიორი.
4 ლიმონი. 1 კილოგრამი თაფლი.
მომზადების წესი:

გათლილი ლიმონი და გაფცქვნილი ნიორი მოათავსეთ ბლენდერში და კარგად დააქუცმაცეთ, შემდეგ დაუმატეთ თაფლი და სელის ზეთი და ბლენდერის მეშვეობით კიდევ აურიეთ.

მიღებული ნაზავი გადაიტანეთ შუშის ჭურჭელში, მჭიდროდ დაახურეთ თავზე და მაცივარში შეინახეთ.

გამოყენების წესი:

1 სადილის კოვზი ნაზავი დალიეთ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. უკეთესი იქნება, თუ რკინის კოვზის ნაცვლად ხის კოვზს გამოიყენებთ.

სოფიო ბულაური

წყარო: http://www.reitingi.ge/thavis-movla/GE

სვით ეს სასმელი დღეში ორჯერ მთელი კვირის განმავლობაში და მოიშორეთ დაკიდებული მუცელი!

ზაფხულისთვის ნებისმიერი ქალი გეგმავს წონაში დაკლებას - ვეძებთ სხვადასხვა საშუალებას, რომლებიც ეფექტურად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გვეხმარება მიზნის მიღწევაში.

კარგი ამბავი უნდა გამცნოთ: არსებობს ერთი ბალახი, რომლის ყოველდღიურ რაციონში დამატებით, შევძლებთ წონაში დაკლებას; ამასთან, გაიწმენდთ თირკმელებს. და კიდევ ერთი კარგი ამბავი - ეს ბალახი ყველგან იყიდება და

ძალიან იაფია!

საუბარია ოხრახუშზე! ოხრახუში - შესანიშნავი მწვანილია, რომელსაც ჩვენ ხშირად ვიყენებთ სხვადასხვა კერძის მომზადებისას. თუმცა, კერძიდან მიღებული ოხრახუში საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სხეული ფორმაში მოვიყვანოთ. ამიტომაც გთავაზობთ ოხრახუშის ნაყენის რეცეპტს,

რომელიც დაგეხმარებათ ზედმეტ წონასთან გამკლავებაში.

მასალა:

- 1 ლიტრი წყალი
- 5 ჩ.კ. წვრილად დაჭრილი ოხრახუში

მომზადების წესი:

ეს ძალზე მარტივია: დაამატეთ ოხრახუში 1 ლიტრ მდუღარე წყალში, ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში, დაწურეთ და მიირთვით ნაყენი. ოხრახუშის ჩაის რბილი და ეფექტური თვისებები გააჩნია.

ოხრახუში დაგეხმარებათ მავნე ტოქსინებისა და ზედმეტი სითხის გამოდევნაში. ჩაის მიღება რეკომენდებულია დღეში 2-3-ჯერ.

წყარო:http://www.marao.ge/silamaze/dieta

კრემი, რომლითაც ქალმა 1 კვირაში ყველა ნაოჭი გაიქრო !

ინგრედიენტები:
2 ჩაის კოვზი ვაზელინი
1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი
1 კვერცხის გული
1 ავოკადო
1 ჩაის კოვზი თაფლი
მომზადების წესი:

დაადნეთ ცეცხლზე ვაზელინი რამდენიმე წუთის განმავლობაში და შემდეგ დაუმატეთ: კვერცხის გული, თაფლი და ზეითუნის ზეთი და ავოკადო. შეურიეთ

ყველა ინგრედიენტი ჯამში კარგად მანამ, სანამ ერთ მთლიან მასას არ მიიღებთ.

წაისვით სახეზე ეს კრემი ნელ-ნელა მრგლოვანი შეზელვითი მოძრაობით

დაიტოვეთ მიქსტურა სახეზე 30 წუთით და ჩამოიბანეთ სახე წყლით

შედეგებს 1 კვირაშიც კი შეამჩნევთ

წყარო: http://news.lider.ge/sakitxavi/rchevebi/1875--1-.html

ნუ გადააგდებთ ძველ, ღივებიან ნიორს – ის კიბოსგან დაგიცავთ

ღივებიანი ნიორი (ძველი ბოლქვი მწვანე ყლორტებით) ხშირად მას გამოუსადეგრად მიიჩნევენ და სანაგვე ყუთში მოისვრიან ხოლმე. მეცნიერები იუწყებიან რომ ძველი ნიორი გულისათვის სასარგებლო ანტიოქსიდანტებს გაცილებით დიდი ოდენობით შეიცავს ვიდრე ვიდრე ახალი. ის გამოიმუშავებს სხვადასხვა მეტაბოლიტებს და გაღვიებული ყლორტები სპეციფიურ ნივთიერებებს გამოყოფს. ძველი ნივრისგან მიღებული ექსტრაქტები ლაბორატორიულ სინჯარაში დაკვირვების შედეგად უჯრედებს აპოპტოზისგან ანუ სიკვდილისგან იცავდა.

“ „ამგვარად, გაღივებულ ნიორს მეტი ანტიოქსიდანტული მოქმედების პოტენციალი გააჩნია,ის თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისგან იცავს თითოეულ უჯრედს თქვენს ორგანიზმში და აქედან გამომდინარე ხელს უშლის მათ ავთვისებიან ტრანსფორმაციას,“ „ დაასკვნეს მეცნიერებმა.

იონ–სან კიმი და მეცნიერ თანამშრომლები დასძენენ რომ ნიორს სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულებით ათასობით წლის წინ იყენებდა ადამიანი. მისი დადებითი ეფექტები დღესაც აქტუალურია. ქოლესტეროლის დაბალი დონე სისხლში, არტერიული წნევის დარეგულირება და გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების პრევენცია, ეს და არა მხოლოდ, ნივრის სასარგებლო თვისებებს მიეწერება. ის წარმოადგენს იმუნოსტიმულატორს და კარცინოგენეზის პროცესს აფერხებს. ეს თვისებები ახალ ნიორს მიეწერებოდა. ღივებიანი ბოლქვები კი ნაკლებად იმსახურებდა ადამიანის ყურადღებას. ცნობილია რომ თესლზე ამოსული მცენარე, ჩითილი, ბევრ ახალ ნივთიერებას გამოიმუშავებს, მათ შორს ისეთს რომელიც ახალგაზრდა მცენარეს პათოგენებისგან იცავს. პროფესორ კიმის სამეცნიერო გუნდი მოიაზრებს რომ იგივე ეფექტი აქვს ღივებიან ნიორს. სხვა კვლევებმა აჩვენა რომ ღივებიანი ლობიო და წვრილმარცვლოვანი კულტურები ანტიოქსიდანტების უდიდეს მარაგს შეიცავს.

საბოლოო ჯამში, მეცნიერები გვირჩევენ, ნუ გადავაგდებთ დაძველებულ, მწვანე ყლორტებიან ნიორს. მათ გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლიათ ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

წყარო: http://www.kirurgia.ge/ka/msoflio-samedicino-siakhleebi

რჩევა დიასახლისებისათვის

სუკეთესო წათხის რეცეპტი ყველის დიდი ხნით შესანახად

მეცნიერებმა კიბოს საწინააღმდეგო რეცეპტს მიაკვლიეს, მათი მტკიცებით, ეს ბაბუაწვერას ფესვებია, რომელთაც სასწაულის მოხდენა შეუძლიათ.

როგორც უცხოური მედია-საშუალებები წერენ, კანადაში ექსპერიმენტი ჩატარდა, სადაც მცენარე გამოსცადეს და დააკვირდნენ თუ როგორ იმოქმედებდა ის ონკოლოგიურად დაავადებული ადამიანის ორგანიზმზე.

მამაკაცმა, რომელიც კიბოს 3 წლის მანძილზე ებრძოდა, ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო. ის ყოველ დღე იღებდა ბაბუაწვერას ფესვების ნაყენს



და შედეგად 4 თვეში სრულიად გამოჯანმრთელდა.

ბაბუაწვერას ფესვებმა კიბოს უჯრედები გაანადგურა და ახლის წარმოქმნას ხელი შეუშალა. გასაოცარი შედეგი კი 48 საათში დაფიქსირდა.

რეცეპტის მომზადების წესი:

2 სადილის კოვზ ბაბუაწვერას გარეცხილ და დაქუცმაცებულ ფესვს უნდა დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩეროთ დაახლოებით ერთი საათით. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე.

წყარო: http://galanews.ge

ცრუ წმინდანი ცრუ მართლმადიდებლური ეკლესიისა,

დღეს ჩვენში მოდაშია ასეთი კომპოზიტის ხმარება – „მართლმადიდებლური რუსეთი“ და მისდამი ლოიალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა-დანერგვა...

ჩვენ წინანდელ პუბლიკაციებში განვიხილავდით რუსული ეკლესიის ნამდვილ არსსა და სახეს, განსაკუთრებით იმპერატორ პეტრე პირველის საეკლესიო რეფორმებიდან მოყოლებული და ამის შესახებ აღარ ვისაუბრებთ.

ახლა კი მივუბრუნდეთ მთავარ სათქმელს, სინამდვილეში ვინ იყო დღევანდელი რუსული ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი წმინდანი ალექსანდრე ნეველი, ნოვგოროდის მთავარი (1236-1251) 1252 წლიდან ვლადიმირის დიდი მთავარი, შვილი იაროსლავ ვსევოლოდისა, (სიკვდილის შემდეგ რუსულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. 1724 წელს პეტრე პირველის ბრძანებით ალექსანდრე ნეველის ნეშტი პეტერბურგში გადაასვენეს, 1725 წელს რუსეთში დაწესდა მისი ორდენი, 1942 წელს კი ალექსანდრე ნეველის საბჭოთა სამხედრო ორდენი) და ნათელი გავხადოთ ისტორიული სიმართლე, ვინ იყო ნეველი?

აი, რას წერს ისტორიკოსი ალექსეი ვოლოვიჩი თავადის არაოდიოზური ფიგურის შესახებ:

„პრაქტიკულად მთელი ევროპული ისტორიული მოსაზრება ერთიანია იმის შესახებ, რომ „სწორედ ალექსანდრეს კოლაბორაციონიზმმა თათარ-მონღოლთა მიმართებაში და ძმების - ანდრეი და იაროსლავლისადმი ღალატი გახდა მიზეზი 1252 წელს ოქროს ურდოს უღლის დამყარების სრულიად რუსეთში“.

გამოდის რომ, სწორედ ალექსანდრე ნეველი არის მათ შორის, ვინც დამნაშავეა რუსის ხალხების 240 წლოვან მონობაში, ასე რომ მან ბრძოლის გარეშე აიძულა ხალხი ეღიარებინა ოქროს ურდო“.

ვოლოვიჩის აზრს იზიარებს ინგლისელი ისტორიკოსი ჯონ ფენელი ნაშრომში „შუასაუკუნეების რუსეთის კრიზისი: 1200- 1304“.

ალექსანდრე ნეველის დადანაშაულება გამცემლობაში არ წარმოადგენს ჩვენი თანამედროვეების მოგონილს. დასავლურ საისტორიო მეცნიერებაში ჯერ კიდევ წინარე დროში წერდნენ პოლონელი მეცნიერი უმინსკი და გერმანელი ისტორიკოსი ამანი.

დიახ, მეცხრამეტე საუკუნის რუსული საისტორიო მეცნიერებაც ალექსანდრე ნეველისადმი იჩენს გულგრილ დამოკიდებულებას. მართალია, მაშინდელი მეცნიერები ბოლომდის ვერ ბედავდნენ წმინდა მთავრისადმი ბრალის ღიად დადებას, რადგან ეს იყო საწმინდანოს შელახვის ტოლფასი. ამიტომაც რუსული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლების ნაშრომებში ძუნწად მოიხსენიება იგი, თუნდ ლმობიერადაც.

საერთოდ ინტრიგანი, მოღალატე და რუსი ხალხის მჩაგვრელი, ეკლესიასთან ერთად მიეყიდა ოქროს ურდოს. ასე იყო მიჩნეული გარკვეულ დრომდისაც... მხოლოდ საბჭოთა პერიოდში ისტორიის სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს ცნობები და ხსენება ოქროს ურდოსადმი მისი მონური ქვეშევრდომობის შესახებ...

ალექსანდრე თავის მხრივ იყო ჩინგისიდების შთამომავალი, რამეთუ შვა ბათო ყაენის ქალიშვილმა. ჩინგისიდები კი ქალის მხრიდან სარგებლობდნენ უდიდესი პატივით ოქროს ურდოში, თუმც არ შეეძლოთ პრეტენზია განეცხადებინათ სამეფო ტახტზე. ასეთი იყო დიდი იასის (ჩინგისიდების კანონი) განჩინება.

ოფიციალურად ალექსანდრე ითვლებოდა აგრეთვე თავად იაროსლავ ვსევოლოდოვიჩის ძედ, რომელიც მთავრობდა სუზდალის მიწაზე და 1245 წელს მოუწოდა რუს მთავრებს ეღიარებინათ ბათო ყაენი „თავიანთ მეფედ“. რის შემდეგაც ის აქტიურად თანამშრომლობდა დამპყრობლებთან, ასრულებდა რა პოლიციურ ფუნქციებსა და რუსის მიწებიდან თათრებისათვის კრეფდა ხარკს.

ის რომ იაროსლავ ვსევოლოდოვიჩმა გაგზავნა თავისი ღვიძლი შვილი ალექსანდრე ბათოს სახანოში, იცის ყველამ. მაგრამ იმის შესახებ, რომ ბათუს მიერ ის იწოდა ბათუ ყაენის ძედ და ბათუს ძის სარტაკის ძმადნაფიცად იქცა და ატარებდა სახელ ნევრიუის, შემდგომსი ის სწორედ ამის გამო გახდა ნეველი, რატომღაც დუმან.

იმისათვის, რომ მას მიაწერონ ნევის ბრძოლა, მისი დაბადების წლად ოფიციალური ბიოგრაფები ასახელებენ 1220 წელს, მაგრამ სინამდვილეში იაროსლავ ვსევოლოდოვიჩის ძე დაიბადა 1230 წელს და მისი მცირეწლოვანობის გამო ნევის ბრძოლასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ძმადნაფიცი სარტაკი, რომელთანაც ალექსანდრემ შეასრულა მონღოლური ადათისამებრ ძმადნაფიცობა ხელის გადასერვით, კუმისში გარეული სისხლის დალევით, ნიშნად სამარადისო ძმობისა, სრულდებოდა ბავშვობის ასაკში.

სარტაკი კი როგორც ცნობილია დაბადებულა 1229-1232 წლებს შორის, რაიც მომდინარეობს ისტორიკოს ვლადიმერ ბელინსკის გამოთვლებიდან, რომელიც ანგარიშობდა შემდეგნაირად: ვინაიდან თუ ცნობილია ბათუს ამქვეყნად მოვლინების თარიღი 1208 წელი, მაშინ მისი შვილი უნდა დაბადებულიყო ოცი წლის შემდგომ და არა ათი წლისა.

1238-1249 წლებში, კიდევ უფრო მეტიც,1252 წლამდე ალექსანდრე ნეველი ცხოვრობდა ურდოში, რასაც ადასტურებს უამრავი საბუთი.

საგმირო საქმენი

ზემოთქმულიდან გამოდის, რომ 1240 წელს ნევისა და შემდგომ 1242 წელს ჩუდის ტბაზე გამართულ ბრძოლაში მას მონაწილეობის მიღება არ შეეძლო.

ნევის ბრძოლა, არარუსული წყარეობის მიხედვით გაიმართა მდინარე ნევაზე და იყო არაუმეტეს ჩვეულებრივი შეტაკება დანაკარგებით 30 კაცის საერთო რაოდენობით და არა ცხედართა მთებით, როგორც ამას ეკლესიის ჟამთააღმწერლები წერენ. უფრო მეტიც, ხსენებული ბრძოლა გაიმართა ახლოს მიმავალ სავაჭრო ქარავანზე ჩვეულებრივ ყაჩაღური თავდასხმით.

მეტსახელ ნეველის არცთუ სახარბიელო ზედდებულებით, შემდეგია - ნეველი ყაჩაღი, ვაჭრების მძარცველი!

ჩუდის ტბაზე სახელგანთქმულ ტევტონელებთან შეტაკების ისტორია საერთოდ ფანტასტიურია.

ცნობილი კინოლენტის ვერსია, რომელიც მას გმირად წარმოაჩენს, განზე გადავდოთ და ყურადღება მივაქციოთ გერმანულ ქრონიკას:

გერმანული ორდენის წარმომადგენლები, ამ დროისთვის მათი რაოდენობა იყო არაუმეტეს 150 კაცისა, რომლებიც თავს აღწევდნენ ნოვგოროდელების თავდასხმას, ვერ გაითვალისწინეს გარემოება და აღმოჩნდნენ ყინულის ქვეშ. ჩუდის ტბაში ჩაიძირა 20-მდე გერმანელი.

დავუშვათ, ვერ მიაღწია ალექსანდრე ნეველმა მის მიერ ჩადენილი გმირობების ადგილამდის, აქვე ჩნდება მეორე კითხვაც, მაშ რისთვის შერაცხეს იგი წმინდანად?

იმისათვის, რომ ის იცავდა ურდოს მიწებს? აგროვებდა ხარკს და ახშობდა რუსების ანტითათრულ გამოსვლებს?

დასავლელი მეზობლებისაგან თათარ-მონღოლური იმპერიის ტერიტორიალური ერთიანობის დაცვისათვის?

ვინ იყო ალექსანდრეს მამა?

დროებით შევეშვათ ალექსანდრეს და თავისივე მივაგოთ მამამისსაც.

იგი, სანამ ვაჟიშვილი იზრდებოდა, ოქროს ურდოსადმი თავისი დამსახურებების გამო აამაღლეს კიევის მთავრობამდის. თუმცა, დაწინაურებას ველარ მოესწრო, გარდაიცვალა ტახტისკენ მიმავალი.

მივუბრუნდეთ ისევ ვაჟიშვილს:

გაიგო რა, რომ თავისმა ძმამ ანდრეიმ, მმართველმა როსტოვისა, თავადმა დანილმა და იაროსლავ ტვერელმა გადაწყვიტეს გამოსულიყვნენ ურდოს წინააღმდეგ, გასცა ისინი, თავისივე ძმის ჩათვლით.

ამ „დამსახურებისთვის“ გახდა იგი ვლადიმირის მთავარი და მიიღო დიდძალი ლაშქარი, რომლის მეშვეობითაც მთელი რუსეთი ჩაახშო სისხლსა და ცეცხლში.

სათვალავი არ ჰქონდა მონებად წასხმულ ადამიანებს, გადამწვარ სოფლებს, ქალაქებსა და დაბებს.

ალექსანდრეს მრისხანების შესახებ საუბრის ეშინოდათ კიდეც, მასობრივი ჩამოხჩობები და მხეცური წამებები, აი რითაც ის ზღავდა რუსზედ ბატონობას. ხალხს სვამდა ძელზე, ადამიანებს თხრიდა თვალებს, ჭრიდა ცხვირებს.

11 წელი რწყავდა ის რუსის მიწას სისხლით და განახორციელა ხუთი შემმუსვრელი ექსპედიცია, არ დაინდო რა საკუთარი შვილი ვასილიც, რომელმაც ააჯანყა ნოვგოროდი მამის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნეველმა სახელი გაითქვა მოსახლეობის აღწერითაც, რის წყალობითაც მან შემოიღო კანონიერი მონობა, ოჯახის თითოეულ წევრზე დაადო გადასახადი და აუკრძალა „ჩაწერის ადგილის“ დატოვება საოკუპაციო ხელისუფლების თანხმობის გარეშე.

ეკლესიის რეაქცია

რას აკეთებდა ეკლესია?

ეკლესიამ ნეველი წმინდანად გახადა.

გგონიათ რომ ის შეცდა?

არა, ეკლესიამ კანონიზაცია გაუკეთა თავის ნამდვილ გმირს, იმდენად, რამდენადაც ეს გასაკვირი არაა, დრო თათარ-მონღოლური უღლის ქვეშ ყოფნისა, ეკლესიისთვის აყვავების ხანა იყო. როგორც საფუარზე ისე იზრდებოდა მონასტრების რაოდენობა, აშენდა ოთხასამდე მონასტერი, სადაც ხდებოდა გახრწნილობა, მომხვეჭველობა და ლოთობა.

ეკლესია აკონტროლებდა ხალხს, აღიარებდა თათართა ღვთივრჩეულობას, ქადაგებდა თათრის უღლის მორჩილებას, ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ჩინგისხანის შვილთაშვილი დაირა ყაიდაღული - „წმინდა პეტრე, ურდოს უფლისწულის“ სახელით, აგრეთვე ვლადიმირის ბასყაყის შვილიშვილი ამირხანი.

ეკლესიამ ის დააჯილდოვა იმისათვის, რომ მან უკრაინას არ დაანება დასავლური არჩევანი. დანილ გალიცელმა, აგრძელებდა რა ბრძოლას თათრების წინააღმდეგ, დაიწყო ევროპასთან დაახლოების პოლიტიკა.

მაინც რომელი აღმსარებლობის იყო თვით ნეველი?

ერთი პერიოდი ის იყო მართლმადიდებელი, მაგრამ ვითარებათა მიხედვით ის იცვლიდა თავის აღმსარებლობას:

ის იყო კათოლიკეც: 1248 წელს, მამამისის იაროსლავის მაგალითის მსგავსად მან მიიღო კათოლიკობა, რაზეც მეტყველებს პაპ ინოკენტ მეხუთის სამადლობელი წერილი, სადაც ის მადლიერებასთან ერთად წერს, რომ აგზავნის ნეველის პროტექციით ფსკოვში აშენებულ საყდარში კათოლიკე არქიეპისკოპოსს.

მუსულმანი: სიკვდილის წინ 1263 წელს მონღოლთა სატახტო ქალაქში მიიღო მუსულმანობა, რამეთუ ოქროს ურდოს ახალი ყაენი ბერყე მუსულმანი იყო, ნეველი კი მოქნილი პოლიტიკოსი გახლდათ.

დასკვნა

ხალხში ამგვარი პოლიტიკური „მოქნილობა“ იწოდება სხვა თუ არაფერი - პროსტიტუციად. ალექსანდრე ნეველი იყო აშკარა, განუმეორებელი თათარ-მონღოლური პოლიტიკური პროსტიტუტკა.

ისტორიკოსი იური აფანასიევი მასზედ წერს: „Сегодняшнее мифологическое сознание воспримет известие о том, что князь фактически являлся „первым коллаборационистом", совершенно однозначно — как антипатриотическое очернительство".

ინგლისელი ისტორიკოსი ჯონ ფენელი აცხადებს: „როგორი დასკვნების გაკეთება შეიძლება ყველაფერ იმისაგან, რაც ჩვენ ალექსანდრე ნეველზე, მის ცხოვრებასა და მმართველობაზე ვიცით?

გადაარჩინა კი მან რუსეთი ტევტონელი რაინდებისა და შვედი დამპყრობლებისაგან? იყო კი მისი თვითდამცირება ნაკარნახევი მამულის გადარჩენის სურვილით? ის ფაქტები, რომ-

MVC იურიდიული კომპანია

კვალიფიციური ადვოკატი
ადმინისტრაციულ საქმეში

მანანა ბოლქვაძე

595 307207

ჭავჭავაძის 49 ბ

bolkvadzemana1@gmail.com

ანუ ნამდვილი სახე და არსი ალექსანდრე ნეველისა

ლებიც შეიძლება მოვაგროვოთ არსებული წყაროებიდან, გვაიძულებენ სერიოზულ ჩაფიქრებას, სანამ დამაჯერებლად ვუპასუხებდეთ აქ დასმულ კითხვებს.“

დაფიქრდით, რად ღირს ის ქვეყანა, რომლის გმირიც იყო არა უბრალოდ გამყიდველი და კაპიტულანტი, არამედ „ვლასოველი“, მისი წინამორბედი, კოლაბორაციონისტი, ჯალათი, იუზერი, პოლიტიკური და როგორც შემდგომ გამომჟღავნდა რელიგიური პროსტიტუტკაც...

„ალექსანდრე ნეველი იყო პირველთაგანი რუსის დიდი მთავრებისაგან, რომელიც თათართა მიმართ წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად წავიდა მათთან პირდაპირ თანამშრომლობაზე. თათრებთან მოკავშირეობით მან მოქმედება დაიწყო სხვა რუსი მთავრების წინააღმდეგ: ის ისე სჯიდა რუსებს - მათ რიცხვშიც ნოვგოროდელებს - დამპყრობლისადმი დაუმორჩილებლობის გამო, რომ თვით მონღოლთაც არ დაესიზმრებოდათ... მაგრამ დღევანდელი პატრიოტული მითოლოგიური თვითშეგნება ისე ცალსახოვნად აღიქვამს ცნობას იმის შესახებ, რომ მთავარი ფაქტიურად იყო „პირველი კოლაბორაციონისტი“, ასევე ანტიპატრიოტულ გამოვლინებას“, იუ. აფანასიევი, ჟურნალი „Родина“ .

„რუსი ხალხი, რუსეთის თავისუფლება შიგნიდანვე გაიყიდა. ისინი გახდნენ ერთგვარი შეთქმულების მსხვერპლნი. და ამაში წამყვანი ფიგურა იყო ალექსანდრე ნეველი... ალექსანდრე დაიბადა იაროსლავის ოჯახში... სწორდე მისგან (იაროსლავისაგან) მომდინარეობდა იდეა ისტორიული გამყიდველობისა, სწორედ მათთან იყო მიღებული საბედისწერო გადაწყვეტილება რუსის გადაცემა აზიატი მომხვდურებისადმი დესპოტური მმართველობის დასამყარებლად. რუსული ისტორიული შეგნების სირცხვილი, რუსული ისტორიული მეხსიერება იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ნეველი გახდა... თვით იმ ხალხის ალამი, რომლის ისტორიული ბედი მან დაუნდობლად გააუბედურა“ - მ. სოკოლსკი „Неверная память», М., 1990.

წერილობით წყაროებში ლაპარაკია თათრების მიერ დამორჩილებულ 14 ქალაქზე. რუსეთში კი ორასამდე ქალაქი იყო. ასე რომ იარაღის ძალით ახშობდნენ მას, ვინც ურდოს წინააღმდეგ გამოვიდოდა. ალექსანდრე ნეველის მამა, იაროსლავი, საერთოდ არ მონაწილეობდა რუსული მიწების დაცვაში და ასევე მისი ვაჟებიც. ბათო ყაენი სამხრეთისაკენ მიიწევდა, იაროსლავი დარჩა ვლადიმირის სამართავად, მანამდე კი იქ მთავრობდა იური, ძმა იაროსლავისა, რომელიც თავის ვაჟიშვილებთან ერთად შეეწირა რუსული მიწების დაცვას მონღოლი დამპყრობლებისაგან. როგორც ვხედავთ, ეშმაკმა იაროსლავმა თათართა თარეშისაგან იხეირა.

უკვე 1242 წელს იაროსლავი მიდის ურდოში და ბათო ყაენი მას რუსი მთავრების უფროსად სვამს.

1249 წელს ალექსანდრე და მისი ძმა ანდრეი, დაბრუნდნენ რა ყარაყუმიდან, ჩამოიტანეს თათართაგან გამოთხოვილი იარლიყები და ხალათები თავადობაზე. ანდრეიმ მიიღო ვლადიმირი, ალექსანდრემ კი როგორც ბათო ყაენის შვილობილმა კიევი და სრულიად რუსეთი. მამამისი იაროსლავი 1246 წელს მოკვდა, მოასწრო რა ურდოში თავისი დასმენით დაეღუპა მიხეილ ჩერნიგოვსკი და შემდეგ შემოიერთა მისი მიწები.

1250 წელს დანილ გალიცელმა თავისი ქალიშვილი შერთო ვლადიმირის დიდ მთავარ ანდრეის (ალექსანდრეს ძმას), ამ სახით მან შეჰკრა საიდუმლო სამხედრო კავშირი თათრების წინააღმდეგ, რომელსაც იაროსლავ ტვერელიც შეუერთდა.

1252 წელს ანდრეიმ შესთავაზა მის ძმას ალექსანდრეს შეერთებოდა მათ კავშირს თათრების წინააღმდეგ, მაგრამ ალექსანდრემ ის ყაენთან დაასმინა.

აი თქვენი წმინდანიც!

ყაენმა ერთგული სამსახურისთვის ალექსანდრეს ვალდიმირის სამთავროც უბოძა. თვით ალექსანდრემ კი წაასხა ნევრიუს ურდო ანდრეიზე შურისსაძიებლად, მან მოასწრო გაქცევა შვეციაში. ალექსანდრემ დაასმინა აგრეთვე დანილ გალიცელი. ხანმა დანილის წინააღმდეგ გაგზავნა ყურემსის ურდო.

1257 წელს ალექსანდრე ნეველი დასთანმხდა რუსში აღწერის ჩატარებას მისთვის ღალის დასადებად და ნოვგოროდის ყაენისადმი დასამორჩილებლად.

ნოვგოროდმა კი უარი თქვა თათართა მორჩილებაზე. აჯანყებულ მოქალაქეებს მხარი დაუჭირა თავადმა ვასილიმ, ალექსანდრეს შვილმა. ალექსანდრე ფსკოვში შევიდა თათრებთან ერთად, შეიპყრო შვილი და წაიყვანა ვლადიმირში. მხოლოდ 1259 წელს დამორჩილდა ნოვგოროდი, მაგრამ ალექსანდრე გამყიდველს (როგორც მას უწოდებდნენ იმ დროს) ეს ცოტა ეჩვენა. 1262 წელს მთელს რუსეთში იფეთქა აჯანყებამ თათარ-ბასყაყების, ხარკის ამკრეფების წინააღმდეგ. ნოვგოროდში, სუზდალში, იაროსლავში, ვლადიმირში რუსიჩები ანადგურებდნენ თათრებსა და ალექსანდრე ნეველის ზედამხედველებს.

დაუჭირა კი მხარი ალექსანდრე ნეველმა ხალხის აჯანყებას უცხოელი მომხვდურის უღლის წინააღმდეგ? არამც და არამც! ალექსანდრე ნეველმა თავისი არჩევანი ისე გააკეთა, როგორც ეს ადრე სჩვეოდა, მხოლოდ და მხოლოდ თავის სასარგებლოდ - თათრის ჯარებთან ერთად მან დაუჯერებელი სისასტიკით ჩაახშო აჯანყება. ალექსანდრეს მეომრები არ ჩამოუვარდებოდნენ თათრის მეომრებს სისასტიკეში, ხალხს აჭრიდნენ ყურებს, თითებს, ცხვირებს, ამათრახებდნენ და აბრმავებდნენ. წვავდნენ რუსს! აჯანყების ჩახშობის შემდეგ ალექსანდრემ ბრძანა ყველა ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქიდან ვეჩეს გარეკვა, რომლებიც ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ.

ამის შემდეგ კი ხალხმა ალექსანდრე კიდევ ერთი წოდებით შეამკო - რუსის ჯალათი!

მთავარმა ალექსანდრე ნეველმა თავი წარმოაჩინა არა როგორც გმირმა და რუსის დამცველმა, არამედ უპრინციპო ინტრიგანმა, გამცემმა და ჯალათმა, რომელიც საკუთარი მიზნებისათვის არ ერიდებოდა თავისი თანამორწმუნე ძმებისა და დების სისხლის ნთხევას.

მაშ რისთვის შერაცხა ის წმინდანად ეკლესიამ?

თათრის ხანის ერთგულებისთვის, რომელმაც ეკლესია გაათავისუფლა გადასახადებისაგან, რომელმაც 1279 წელს გამოცემულ თავის ბრძანებაში აკრძალა მართლმადიდებლობის ძაგება და შეურაცხყოფა, აკრძალა რუსი მღვდლების ძარცვა და ხოცვა. ჯერ კიდევ 1261 წელს ურდოში დაწესდა საეპისკოპოსოები, ეკლესია კი აგიტაციას უწევდა თათრის უღლისადმი მორჩილებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მონღოლები იმ დროისათვის აღიარებდნენ ქრისტიანულ სექტას ნესტორიანობას, რუსეთის ეკლესია კი მჭიდრო კავშირში იყო მათთან.

ალექსანდრე იაროსლავის ძე, რუსის გამყიდველი და ჯალათი, აგრეთვე ივანე მრისხანისათვის გახდა მაგალითი ვერაგობისა და უპრინციპობისა.

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ეროვნულ გმირად ალექსანდრედ წოდებული თათრისადმი კუდის მქიცინებელი, კაპიტულანტი და კოლაბორაციონისტი? რომელმაც თავის ხელებით დაამკვიდრა უცხო ტომელთა ბატონობა, მოუწოდებდა მონღოლურ რაზმებს საკუთარ ძმების განადგურებისაკენ?... ძმადნაფიცად გაუხდა ბათუ ყაენის ძეს სარტაკს და შემდეგ ხელი მოაწერა ბერკესთან სრულ ვასალობასა და მოხარკეობას...

ამის შემდეგ აღარც რცხვენოდა შეესია თავისი რაზმები ამ ქმედების მოწინააღმდეგე რუსი მოსახლეობისთვის. სტალინისა და ლენინის კულტი ამხილეს ისეთი ზედმიწევნითი წარმატებით და დამაჯერებლობით,რომ მათი აღდგენის შანსებიც არ დარჩა. პეტრე პირველისაგან კულტი ვერ გამოდის. რჩება ერთი ალექსანდრე იაროსლავის ძე, რიურიკების მოდგმიდან ნეველად წოდებულისა. მის მიმართ ინტერესი არასდროს დამცხრალა, მაგრამ მან მოიპოვა ახალი შტრიხები, რომლებიც არ ჩამორჩება სტალინის განდიდების ფორმებს. ზუსტად ასევე ხდება ფაქტების იგნორირება, წინააღმდეგობებისა და სრულიად ცხადი მოვლენებისა. ეს განეკუთვნება საზოგადოებრივი პათოლოგიის განტვირთვას.

„როგორ უნდა განსაჯო ხალხი, რომელმაც თვით შეთხზა, თითიდან გამოწოვა და წამოაყენა მთავარ ეროვნულ გმირად და სიმბოლურ ფიგურად, რომელსაც, როგორადაც არ უნდა აბრუნო, გამცემის გარდა სხვას ვერას უწოდებ?“ (ნიკოლაი ჟურავლიოვი ინტერნეტ-ჟურნალი „Арба„).

ისტორიულ მეცნიერებაში მორალური შეფასებების გარდაუვალობა უდავოა: წარსულის შეფასებისას თითოეული თაობა განსაზღვრავს თავის შემდგომ გზას, მაგრამ „ისტორიის სამსჯავრო“ ხშირად არასამათლიანიცაა, „მსაჯულთა“ როლი ხანდისხან სინამდვილეში, ისტორიკოსებისათვის ხდება „ეშმაკისეულ ცდომილებად“. სრულიად თვალსაჩინოა ამასთან მიმართებაში დისკუსია, რომელიც უკანასკნელ ხანებში არის გამართული მთავარ ალექსანდრე ნეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიის ირგვლივ.

ამ მთავრის ბედის არსი სამამულო კულტურულ ტრადიციებში იყო ცალსახად ბედნიერი: ასწლეულების განმავლობაში ის ეკლესიის მიერ იყო პატივდებული როგორც კეთილმორწმუნე წმინდანი, ეს ტრადიცია დამკვიდრდა ისტორიკოსებს შორისაც. მოკრძალებით წერდნენ მასზედ ნ. მ. კარამზინი, ს. მ. სოლოვიოვი და სკეპტიკოსი ნ. ი. კოსტმაროვიც კი.

ბოლო დროს გამოიკვეთა სხვა ხედვაც. გადახედა რა „სუზდალის მიწის მზეს“ „დაბურული მინით“ მოსკოველმა ისტორიკოსმა დანილევსკიმ, აღმოაჩინა მასზედ მრუმე ლაქების მთელი მასა. აღმოჩნდა რომ კეთილმსახური წმინდა მთავარი მთელი ამ ხნის განმავლობაში სარგებლობდა სრულიად დაუმსახურებელი პატივით.

აღმოჩნდა, რომ ნევის ბრძოლა და ლაშქრობა ყინულზე - ეს ჩვეულებრივი შეტაკებები იყო და მასში არც ისე ბევრი ადამიანი დაღუპულა, პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენა იყო ძალზედ მცირე. ლიტვის მთავარმა შეძლო გაცილებით მეტი გერმანელის განადგურება. როგორც ჩანს, მისი განდიდება მიტროპოლიტ კირილესათვის წარმოადგენდა ერთგვარ საჭიროებას. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას ურდოსადმი, აქ ალექსანდრე ნეველი გამოიყურება გენერალ ვლასოვის პირდაპირ შთამომავლად (მხოლოდ მეტად წარმატებულადაც კი) სწორედ მისი წყალობით შეიქნა ურდოს „უღელი რუსი ხალხის კისერზე ხელდასმული“ .

რათქმა უნდა, რუსულმა იმპერიულმა სახელმწიფოებრივმა იდეოლოგიამ და პოლიტიკამ, გარკვეული როლი ითამაშა და თავისი გავლენა მოახდინა თვით რუსულ ისტორიოგრაფიაში ამ პერსონის შეფასებისას, რომლის ერთი წყება წარმომადგენლები ცდილობენ ეკლესიის მსგავსად დიდებით შემოსონ ალექსანდრე ნეველის ცხოვრება და მოღვაწეობა. ჩვენ ამჯერად შევეცადეთ წარმოგვედგინა მედლის მეორე მხარე, რომელიც ნამდვილად არის ანგარიშგასაწევი ჩვენს წარმოდგენებზე და მიდგომაზე რუსეთის ამ საერო პიროვნებაზე და რუსული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ პერსონაზე.

ალექსანდრე სანდუხაძე

(სტატიის ავტორს წყაროები მითითებული აქვს - რედ.).

✠ სულთათანა ✠

გაზთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია გულითად სამძიმარს უცხადებს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელს ნინელი კოდუას, მეუღლის

გურამ ბერაიას

გარდაცვალების გამო და შესთხოვს ღმერთს, რათა ნათელში დაამკვიდროს ახალშესვენებულის სული, ამინ!

შეიძლება თუ არა ნათლიობაზე უარის თქმა და რა უნდა აჩუქოს ნათლიამ ნათლულს?

ყველა ქრისტიანულ ოჯახში ნათლობის პროცესი დიდ სამზადისთან არის დაკავშირებული. ჯერ ნათლიას (ან ნათლიებს) ვირჩევთ. სამწუხაროდ, ეს არჩევანი ზოგჯერ მომავალი ნათლიის საზოგადოებრივი ან ფინანსური მდგომარეობით არის განპირობებული... შემდეგ წვეულების ორგანიზება იწყება... თავად ნათლიასაც ბევრი საზრუნავი აქვს: ოქროს ჯვარი, საჩუქრები... თუ ფინანსური მდგომარეობა ხელს არ უწყობს, მაინც იჭირვებს, რადგან ფიქრობს, რომ „ნათლიობაზე უარის თქმა არ შეიძლება".

სინამდვილეში როგორია ქრისტიანული წესი, როგორ უნდა შევარჩიოთ ნათლია, როდის უნდა დავთანხმდეთ ნათლიობაზე და რა უნდა აჩუქოს ნათლიამ ნათლულს. ამ საკითხებზე წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, ღვთისმეტყველების მაგისტრი, წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, მღვდელ-მონაზონი ანდრია (სარია) გვესაუბრება.

- როგორი ადამიანი უნდა ავირჩიოთ ნათლიად?

- ნათლიის არჩევისას უმთავრესი და გადამწყვეტი პირობა მისი ეკლესიურობა, რელიგიური ცნობიერება, საღმრთო საკითხებისადმი წვდომა უნდა იყოს. როდესაც იურიდიული საკითხები გვაქვს მოსაწესრიგებელი, კარგ იურისტს მივმართავთ, სახლის მოწყობისას - დიზაინერს, ავადმყოფობისას - რჩეულ ექიმს, მანქანის გასამართად - საუკეთესო ხელოსანს და ა.შ. მით უფრო, სული უნდა ვანდოთ ისეთ პიროვნებას, ვისაც ყოველკვირეული გამოცდილება აქვს ტაძარში სიარულისა, ჰყავს მოძღვარი, აბარებს აღსარებას. არაფრით არ შეიძლება შერჩევა მატერიალური ნიშნით, „დავიმოყვრებ და შვილს ფინანსურად არ გაუჭირდება", „მიხედავს", „ოქროს ჯვარს აჩუქებს", „კარგი ნათლია" ეყოლება. სადაც მიწიერი ცნობიერება ერთვება, იქ სულიერი ღირებულებები კვდება.ეცადეთ, ისეთი ნათლია დაუყენოთ ბავშვს, რომელიც ქრისტიანულად აღზრდაში შეეწევა ოჯახს. ნათლიამ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ ფულზე მნიშვნელოვანი სულიერი ცხოვრებაა. შეიძლება ჩვენგან ოქროებს მოელიან (ეს მიწიერი ხედვაა), მაგრამ ჩვენ გული რასაც გვთხოვს, ის უნდა გავცეთ. ოქრო და ბრილიანტის ჯვარი საერთოდ არ არის სავალდებულო, უფალმა ხის ჯვარი იტვირთა და მით გამოიხსნა კაცობრიობა. მასალა გადამწყვეტი რომ ყოფილიყო, საუკეთესო ბრილიანტს აირჩევდა ქრისტე. სულიერ ხედვას განაპირობებს ქრისტიანული ცხოვრება, ხოლო ხარჯებზე ფიქრი მიწიერი საზომია. ქრისტიანი ფინანსების გამო ნათლობაზე თავს არ შეიკავებს, უფრო სულიერი პასუხისმგებლობა თუ გვაიძულებს უარის თქმას.

- რა მოვალეობა აკისრია ნათლიას?

- სულიერი მშობლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, ხორციელ ნათესაობას უტოლდება. ნათლულზე ისე უნდა ვფიქრობდეთ, როგორც საკუთარ შვილზე. მისი განცდა, ტკივილი, მწუხარება, სიხარული ერთნაირად უნდა გავიზიაროთ. თუ ვიცი, რომ კვარტალში ერთხელ ვნახავ ნათლულს და ვერაფრით დავეხმარები, უმჯობესია უარი ვთქვა, ვიდრე ტაძარში აღთქმა დავდო აღმზრდელობითი და სიტყვა არ შევასრულო. შეუსრულებელი სიტყვისთვის ადამიანი ისჯება ღვთისგან. იმდენი სული უნდა ვიტვირთოთ, რამდენზეც შევძლებთ პასუხისგებას. კარგად უნდა ვერკვეოდეთ სახარების სწავლებაში, ვიცოდეთ მრწამსის მნიშვნელობა და თან გარანტი უნდა ვიყოთ ნათლულის ქრისტიანულ ცხოვრებაზე. ჩვილი მშობლებისა და ნათლიის სარწმუნოებით ინათლება, რადგან მას არჩევანის უფლება არა აქვს.

თუ პატარას ვნათლავთ, აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ თუ მშობლები მორწმუნენი არ არიან, მაშინ ჩვენ მოგვიწევს მისი წაყვანა ტაძარში, რომ ეზიაროს. სამწუხაროდ, არსებობენ მონათლული „ათეისტებიც", რომელთაც ეკლესიის სწამთ, მაგრამ არა მღვდლის. არადა სწორედ იმ მღვდლის ხელით მოინათლა, რომლისაც არ სწამს.

- გამართლებულია თუ არა რამდენიმე ნათლიის ყოლა?

- ნათლია ანათესავებს თავის ნათლულებს და ხორციელი ნათესაობის ხარისხს უტოლებს. ხორციელის მსგავსად ერთი სულიერი მამა უნდა ვიყოლიოთ. სულიერი მოძღვარი ერთი გვყავს, ხორციელი მამა ერთი, ასევე უნდა იყოს სულიერი ხელმძღვანელიც ერთი. ძველად გოგოსთვის გოგოს ირჩევდნენ, ხოლო ჭაბუკებისთვის - კაცებს. არის ნიუანსები, რომელსაც კარგად უხსნიან ნათლულებს ერთი და იგივე სქესის წარმომადგენლები. ნათლია იქნება ის, ვინც უწინამძღვრებს და საკურთხევლის წინ წარმოთქმულს უერთგულებს. პასუხი ყველას მოეთხოვება. მრავალი ნათლიობა შემოვიდა მეთოთხმეტე საუკუნიდან. ახლობელს რომ არ ვაწყენინოთ, იმიტომ ყველას ვანათლინებთ ერთდროულად. ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ ბევრი შვილის ყოლას არ ვაპირებთ და ქრისტიანული ცნობიერება არ გვაქვს. მრავალშვილიანობა მრავალნათლიობის პრობლემასაც ხსნის და უხერხული მომენტებიც ნაკლებად იქნება. თუ ქრისტიანულად ვცხოვრობთ, მერე აღარ გვერიდება უარის თქმაც.

- მრავალნათლიობამ ჯვრების სიმრავლეც ხომ განაპირობა? რამდენად საჭიროა ორი-სამი ჯვარი?

- ჯვარი გვეძლევა ხსნის სიმბოლოდ და ამავე დროს სულის გასაძლიერებლად,. ერთი ჯვარი საკმარისია. თუმცა, მრავალნათლიობამ ჯვრების სიმრავლე განაპირობა. ყველა ერთმანეთს უყურებს, ვინ როგორი ოქრო აჩუქა და ა.შ.

- რა დანიშნულება აქვს ნათლობის დროს პირსახოცს და ნათლობის შემდეგ როგორ უნდა გამოვიყენოთ?

- პირსახოცი სულიერი, ნათლის სამოსია. ერთი საკმარისია, იგი სიკვდილამდე ინახება უხმარად, არაფერში არ გამოიყენება. წესით, კარგი იქნება, თეთრი კვართი შევაკერინოთ ნათლობამდე და ისე მოვინათლოთ, ხოლო გარდაცვალების შემდეგ სწორედ ამ კვართით დაგვმარხონ.

- ნათლობის სანთლები...

- სანთელი დაბადების დღეებზე, ქორწილისა და სასიხარულო პერიოდებში შეგვიძლია დავანთოთ და თან გავიხსენოთ სულიერი ნათლიის ემბაზში შობის დღე.

- რა უნდა აჩუქოს ნათლიამ ნათლულს?

- საუკეთესო საჩუქარი ქრისტიანულად აღზრდაა. ნივთიერ მხარეს რაც შეეხება, რომელიც ისევ სულიერებამდე მიგვიყვანს, ეს გახლავთ: ხატი, ლოცვანი, სულიერი ლიტერატურა, სიწმინდეები და ა.შ.

- შეიძლება თუ არა ნათლულებს შორის ქორწინება?

- ნათლულებს შორის ქორწინება არ შეიძლება. უწმინდესის განსაზღვრება მოტივირებულია გამრავლების მიზნით და იკონომიის პრინციპით...საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 2007 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე გადაწყდა, რომ კონკრეტულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნათლულებთან დაკავშირებით იქნას გამოყენებული საეკლესიო იკონომია და მომავალში, თუ შეიქმნება ამის პრეცედენტი, დაიშვას მათ შორის ქორწინება.

თეა ცაგურიშვილი

წყარო: http://www.mshoblebi.ge/

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: **404511658**
რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***